603/2ო 16012
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№152 (12528) 1 ივლისი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

Beijing 2008
ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 38 დღე



## კახა ცოლს ირთავსო...

...მაიაკმა გადმოსცა 3

# ფიესტა

## ევროპის თასი მადრიდშია

2

## არველაძე და კლუივერტი ვან გაალის სკამზე

ემოციები 8-9





## შოთას პირველი ნაბიჯები სამწვრთნელო ასპარეზზე

## ჩელსიმ დეკუ იყიდა

"ჩელსიმ" ოფიციალურად განაცხადა, რომ პორტუგალიელი პლეიმეიქერი **დეკუ სოუზა** შეიძინა. 30 წლის ნახევარმცველის "ბარსელონიდან" გადაბირება "არისტოკრატთა" ახალი მწვრთნელის **ლუიშ ფელიპე სკოლარის** მთავარი მოთხოვნა იყო. ამრიგად, პორტუგალიის ნაკრების შემდეგ, "დიდი ფილი" და დეკუ კვლავ ერთად იმუშავებენ და ახლა "ჩელსის" კეთილდღეობაზე იზრუნებენ, ხოლო თუ სადამდე, ამას დრო გვიჩვენებს.

გარიგების საფასური არ აფიშირებულა. პრესა ვარაუდობს, რომ ლონდონელებს ეს ოპერაცია სადღაც 10 მილიონი ევროს ფარგლებში დაუჯდებოდათ. კონტრაქტი კი ორწლიანია.

ევროლაურეატები 10



## ჩავი და სხვები



## ისევ სკოლარისთან ერთად

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# დღეს, უეფას შტაბბინაში...

ევროტურნირების წილისყრა. ქართული გუნდების სავარაუდო მეტოქეები და ყველა მონაწილე 2,5

UEFA CUP

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს, უეფას შტაბბინაში...

დღეს უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა მოეწყობა. საკუთარი მეტოქეების ვინაობას შეიტყობენ საქართველოს ჩემპიონი "დინამო", ვიცე-ჩემპიონი "ვიტ ჯორჯია" და თასის მფლობელი "ზესტაფონი". დღესვე გაირკვევა ის გუნდი, რომელიც "დინამოს" პირველი რაუნდის დაძლევის შემთხვევაში მეორე ეტაპზე შეხვდება.


ვენის რაპიდმა შარშან დინამოს თბილისში სამი ბურთი აკმარა, სტუმრად ხუთი - წლეულს რაინერ ცობელის გუნდისგან უკეთეს ევრომონაგარს ველით

ჩემპიონთა ლიგის წილისყრა ნიონში თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება, უეფას თასისა კი ერთი საათის შემდეგ.

"დინამო" ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე განთესილთა შორის მოხვდა. მისი სავარაუდო მეტოქეები არიან:

**ბატე (ბელარუსი)**
**ლევადია (ესტონეთი)**
**ინტერი (აზერბაიჯანი)**
**დინამო (ალბანეთი)**
**პიუნიკი (სომხეთი)**
**აქტობე (ყაზახეთი)**
**ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)**
**ლანელი (უელსი)**
**რუნავიკი (ფარერები)**
**დუდელანჟი (ლუქსემბურგი)**
**ვალეტა (მალტა)**
**ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)**
**სანტა კოლომა (ანდორა)**
**მურატა (სან მარინო)**

არასასურველი უნდა იყოს ბელარუსის, ყაზახეთის, ალბანეთისა და აზერბაიჯანის ჩემპიონებთან თამაში. ჩერნოგორიულ საკლუბო ფეხბურთს ჯერჯერობით, მცირე რეიტინგი აქვს, მაგრამ "ბუდუჩნოსტიც" ძლიერი გუნდი უნდა იყოს. ევროთასებზე "დინამო" უკვე შეხვედრია ბატე-ს, "ლევადიასა" და "ლინფილდს". ბატე-ს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი უეფას თასზე ორჯერ გადაეყარა და ერთხელ დაჯაბნა, "ლევადიასა" და "ლინფილდს" კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სძლია.

"ზესტაფონი" და "ვიტ ჯორჯია" კი განუთესავები არიან. პირველად მოხდა, უეფას თასზე გასული ქართული კლუბები წყვილად რომ არიან ქვედა კალათაში. შარშან და შარშანწინ თითო განთესილი გვყავდა, მანამდე კი სულაც ორ-ორი. შარშანდელმა წარუმატებელმა ევროკამპანიამ, ბუნებრივია, საკლუბო რეიტინგში კიდევ უფრო დაგვაქვეითა.

**ჰერტა (გერმანია)**
**აუსტრია (ავსტრია)**
**ზალცბურგი (ავსტრია)**
**ვროცლავი (პოლონეთი)**
**ლეგია (პოლონეთი)**
**ბელინცონა (შვეიცარია)**
**ტრნავა (სლოვაკეთი)**
**ჟილინა (სლოვაკეთი)**
**დებრეცენი (უნგრეთი)**
**გიორი (უნგრეთი)**
**ნისტრუ (მოლდოვა)**
**დაჩია (მოლდოვა)**

დაგვეთანხმებით, საკმაოდ ძლიერი კლუბებია. სასურველ მეტოქეებად ალბათ მოლდოველები და უნგრელები უნდა მივიჩნიოთ. სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან "ზესტაფონსა" და "ვიტ ჯორჯიას" ვინძლო უფრო გაუჭირდეთ. ამ სიიდან ერთადერთი კლუბი, რომელთანაც საქართველოს წარმომადგენელს საქმე ჰქონია, ბერლინის "ჰერტაა" - გერმანელებს შარშანწინ "ამერმა" მედგარი ბრძოლა გაუმართა (0:1,2:2).

**ლევან ჯანეზაშვილი**

# არველაძე და კლუივერტი ვან გაალის სკამზე


მიხელ ვონკი, პატრიკ კლუივერტი, ლუის ვან გაალი და შოთა არველაძე

გუშინ "ალკმაარი" **ლუის ვან გაალის** ხელმძღვანელობით ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად პირველად შეიკრიბა და ბაზაზე მრავლად მისული გულშემატკივრის თვალწინ საჩვენებელი ვარჯიში გამართა. გუშინვე ოფიციალურად გაცხადდა, რომ **შოთა არველაძის** ცხოვრებაში პირველად სამწვრთნელო მოვალეობებზე მოუწევს ზრუნვა და არა ფეხბურთელისა – ამიერიდან, ორი წლით საქართველოს ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ფორვარდი ლუის ვან გაალის ასისტენტია ჰოლანდიურ აზ-ში, სადაც კარიერის ორი ბრწყინვალე სეზონი გაატარა (60 თამაშში 36 გოლი გაიტანა). მართალია, კონტრაქტი ოფიციალურად ჯერ არ ფორმდება, თუმცა ეს ჰოლანდიური „დე ტელეგრააფის" ცნობით უკვე გადაწყვეტილი ამბავია და მხოლოდ დროის საკითხია.

გუშინ აზ-ს ბაზაზე მისული გულშემატკივრები გაოცებულნი და აღფრთოვანებულნი დარჩნენ, მათ არა მარტო შოთა არველაძე იხილეს ბაზაზე, არამედ მასთან ერთად მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი **პატრიკ კლუივერტიც** დახვდათ. არველაძეს და კლუივერტს სხვებისგან განსხვავებული, სამწვრთნელო ეკიპირება ემოსათ (აზ-ს ფეხბურთელები ცისფერი მაისურებით გამოვიდნენ სავარჯიშოდ, მწვრთნელთა შტაბი კი – თეთრით). შოთა არველაძესთან ერთად ლუის ვან გაალის ასისტენტი პატრიკ კლუივერტიც გახდა. არველაძე და კლუივერტი **მიხელ ვონკთან** ერთად მწვრთნელთა ტრიოს შექმნიან, რომელიც ვან გაალს აზ-ს განვრთნაში დაეხმარება. სამივე მათგანს მათთვის სპეციფიკური ფუნქცია ექნება.

როგორც ლუის ვან გაალმა "ალკმაარის" ოფიციალურ საიტს განუცხადა: *„შოთას მწვრთნელის დიპლომი ესაჭიროება, რომელიც, შესაძლოა, სულ მალე მიიღოს კიდეც. საქართველოში ის უახლოეს ხანებში გამოცდებს ჩააბარებს და თუ იყოჩაღებს B ლიცენზიას მიიღებს. ამ კლასის ლიცენზია საკმარისი არ არის ჰოლანდიაში თუნდაც მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობის ოფიციალურად ჩაბარებისთვის. ამის მიუხედავადაც შოთა ძალზე მესაჭიროება სამწვრთნელო საქმიანობაში, არველაძე ჯერაც ფეხბურთელთა ენაზე ლაპარაკობს, ეს კი დიდი პლუსია".*

*„არველაძე ძალიან კარგად „კითხულობს" თამაშს, ასე რომ, ხშირად მისი გამოყენება მატჩების გაანალიზების დროსაც შეიძლება. კონკრეტულად კი ის ავარჯიშებს შემტევ ფეხბურთელებს, ისევე როგორც პატრიკ კლუივერტი. მიხელ ვონკმა საფეხბურთო კარიერა დაცვაში გაატარა, ეს სულ სხვა პოზიცია, ასე რომ, დამცველებს უფრო ვონკი მიხედავს",* - განაცხადა ლუის ვან გაალმა, რომელიც ერთი პირობა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატადაც მოიაზრებოდა.

*„პატრიკ კლუივერტს, როგორც ფეხბურთელსაც შეუძლია აზ-ს დაეხმაროს, თუმცა პატრიკი ჯერ ამ თემაზე ჩემთან საუბარს გაურბის. მან ვონკის გზა აირჩია და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში დაიწყო სწავლა".* კლუივერტმა ერთი თვე ითხოვა, თუ ის ვერ მოძებნის საჭირო კლუბს, მაშინ მთელ ყურადღებას ლუის ვან გაალის ასისტენტობას დაუთმობს. გუშინ საჩვენებელ ვარჯიშზე პუბლიკას ახალწვეულები, სვერტსი, მოისანდერი და ვან დერ ველდენი წარუდგინეს.

*„მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შოთა და პატრიკი ჩემს განკარგულებაში იქნებიან"* – ამცნო ლუის ვან გაალმა გულშემატკივრებს. აზ ახალ სეზონში ზელანდიური ფირმის „კენტერბერის" მაისურებით ითამაშებს, სწორედ ახალი ფორმის წარდგენით დასრულდა გუშინდელი სიახლეების დღე "ალკმაარში."

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. მე-5 გვერდზე,მასალაში, რომელიც ეხება მოსკოველ და თბილისელ დინამოელთა ამხანაგურ მატჩს მოსკოვში,თბილისელთა შემადგენლობა ასეთი უნდა იყოს:

დინამო (თბილისი): **ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო, ნერგაძე, ოდიკაძე, დილმელაშვილი, ხმალაძე, ფორცხალავა (46. გველესიანი), ჯიშკარიანი, სპასოევიჩი (46. ქანთარია).**

სათადარიგოები: **ლოსაბერიძე, თომაშვილი, გუგავა, მერებაშვილი, ვანაძე.**

ჩარჩოში გამოტანილი ანგარიშის ქვეშ კი უნდა იყოს 28.06. მოსკოვი "დინამო". 1000 მაყურებელი.

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაიაკი იუწყება: კალაძე ანუკი არეშიძეზე იქორწინებსო

ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** ნანატრ სასიძოებშია. რატომაც არ უნდა იყოს, კარგ ფეხბურთელობასთან ერთად, კახას არც პოპულარობა აკლია და არც ფინანსები. კალაძის საცოლის შესახებ ადრეც გავრცელებულა ხმები. ყველაზე პოპულარული ვერსიის თანახმად, კახა კალაძის საცოლე, არც მეტი არც ნაკლები, "მილანის" პრეზიდენტისა და იტალიის პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი **ბარბარა ბერლუსკონია**. თუმცა ეს მხოლოდ ჭორია და თავად კახამაც არაერთხელ უარყო. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ბარბარას კარგად იცნობს, მაგრამ ისინი მხოლოდ მეგობრები არიან.

კალაძისადმი დიდი სიმპათიები აქვს ერთ-ერთი რუსული თოქ შოუს წამყვან **ვიქტორია ლოპირევას**. ქართველი მცველისადმი თბილ ურთიერთობას მომღერალი **ჟანა ფრისკეც** არ მალავს. კალაძემ არაერთხელ, საჯაროდ განაცხადა, რომ მხოლოდ ქართველ გოგონაზე იქორწინებს.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც თბილისში ხმები დაირხა, კალაძემ მოდელ **ანუკი არეშიძეზე** იქორწინაო. ქორწილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ 30 წლის ფეხბურთელზე გუშინ რუსულმა რადიო "მაიაკმა" ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

*"კახა კალაძე ქართველ მოდელ ანუკი არეშიძეზე დაქორწინდება. ეს ინფორმაცია ფეხბურთელთან და მის ოჯახთან დაახლოებულმა პირებმაც დაადასტურეს. კახიმ და ანუკიმ მიმდინარე წლის დასაწყისში, მილანში გაიცნეს ერთმანეთი. არეშიძე მილანში პოპულარულ სამოდელო სააგენტო "ელიტის" მოდელია. კახამ ანუკი უკვე გააცნო ოჯახის წევრებს. მალე კი მათი ქორწილიც შედგება".*

**დავით ცაბაძე**


ანუკი არეშიძე


კახა კალაძე

ლეგიონერი

# ტატანაშვილმა პლზენი სლავიათი დააგემოვნა


დიმიტრი ტატანაშვილი

თბილისის "ამერის" ყოფილ ფორვარდ **დიმიტრი ტატანაშვილს** ახალ გუნდ "ვიქტორია პლზენში" არაოფიციალური დებიუტი ჰქონდა. პრაღის "სლავიასთან" ჩატარებული ამხანაგური მატჩი "პლზენმა" 1:0 მოიგო. ტატანაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და **ვესელიმ** 88-ე წუთზე შეცვალა. "პლზენის" ვებგვერდის ცნობით, **პეტრჟელას** მიერ 63-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის კომბინაციაში ქართველიც მონაწილეობდა. გოლის გატანიდან 7 წუთის შემდეგ ქართველ ფორვარდს ანგარიშის გაზრდაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული სანტიმეტრებით ასცდა "სლავიის" კარს.

"პლზენი" მომდევნო ამხანაგურ მატჩს 2 ივლისს ავსტრიულ "რიდთან" გამართავს.

**დავით ცაბაძე**

# ჩიხრაძე ნალჩიკში ბრუნდება

**ალექსანდრე ჩიხრაძე**, რომელსაც თავის დროზე საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსი ჰქონდა, მშობლიურ ნალჩიკის "სპარტაკში" დაბრუნებას ცდილობს. ქართველი მეკარე გუნდში ისინჯება და მისი საკითხი რამდენიმე დღეში გადაწყდება. გასული სეზონი მან ვლადივოსტოკის "ლუჩში" გაატარა, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა. "სპარტაკის" მწვრთნელები გუნდში ან ჩიხრაძეს დაიტოვებენ, ან რუსეთის ნაკრების ყოფილ გოლკიპერ **რუსლან ნიგმატულინს**, რომელიც ფეხბურთიდან ორწელიწადნახევრის წინ წავიდა და ერთი თვეა, რაც "სპარტაკში" ვარჯიშს შეუდგა.

გუშინდელ საკონტროლო მატჩში კი ნალჩიკელთა ქართველმა ნახევარმცველმა **გოგიტა გოგუამ** გოლი გაიტანა. მან გროზნოს "ტერეკის" კარი დალაშქრა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# გუუს ჰიდინკი: კალაძეც რომ მყოლოდა...

წავიდა, დასრულდა წყეული საბჭოთა ეპოქა. ისტორიის სანაგვემ ყველაფერი ჩაიბარა, რაც საბჭოთა კავშირთან ასოცირდებოდა – მათ შორის, საფეხბურთო ნაკრებიც, სადაც თხუთმეტი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებს ათამაშებდნენ.

რუსები სიზმარშიც აღდგენილ „სოიუზს" ხედავენ და მასზე ოცნებას ვერა და ვერ ელევიან. რუსულ ინტერნეტ-გამოცემა „ევროფუტბოლში" რუსეთის ნაკრების ჰოლანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **გუუს ჰიდინკმა** გულშემატკივართა კითხვებს უპასუხა.

ერთ-ერთი კითხვა ასეთი გახლდათ – ახლა საბჭოთა კავშირის ნაკრები რომ არსებობდეს, გუნდში **შევჩენკო, კალაძე, ტიმოშჩუკი** და **გლები** გვეყოლებოდა. მაღალი დონის სპეციალისტის ხელში, მაგალითად, თქვენი ხელმძღვანელობით, ასეთ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე რა ამოცანები ექნებოდა?

*"რა თქმა უნდა, შედეგის არანაირი გარანტია არ გვექნებოდა, რადგან ყველა სერიოზულ საფეხბურთო ქვეყანაში ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია. თუმცა თქვენ მიერ დასახელებული მოთამაშეებით ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოსახვედრად ბრძოლა სავსებით რეალური იქნებოდა."* – ბრძანა ჰიდინკმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართველი დნეპრელები სეზონისთვის მზად იქნებიან

ქართველი ფეხბურთელები დნეპროპეტროვსკის "დნეპრს" ავსტრიულ შეკრებაზე ვერ გაჰყვნენ - ლეოგანგში მოსამზადებელ ეტაპს **სანდრო კობახიძე** და **ჯაბა კანკავა** გამოაკლდნენ.

"დნეპრის" ფიზიოთერაპევტ **ვლადიმერ კოვალენკოს** კლუბის ოფიციალური ვებ გვერდის ჟურნალისტი ესაუბრა და კითხვა ქართველ ლეგიონერებზეც დაუსვა.

- კანკავასა და კობახიძეს იდენტური პრობლემები შეექმნათ და მხრის ოპერაცია დასჭირდათ. ოპერაცია ორივეს გერმანიაში ჩაუტარდა და საკმაოდ წარმატებულადაც. ქართველების სარეაბილიტაციო კურსი ნორმალურად მიდის. შევეცდებით, გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, ჩემპიონატის დაწყებამდე კანკავამ და კობახიძემ საერთო ჯგუფში ივარჯიშონ და კლუბის ხელმძღვანელობას მათი იმედი ჰქონდეს – განაცხადა კოვალენკომ.

ჯაბა კანკავასა და სანდრო კობახიძეს მხარზე ოპერაცია ივნისის დასაწყისში გაუკეთეს და ამ ტრავმის გამო 27 და 31 მაისს ესტონეთ-პორტუგალიასთან სანაკრებო ამხანაგურ მატჩეში ვერ ითამაშეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ჭელიძეს ნეფთჩიში თავის გამოჩენა სურს

**გიორგი ჭელიძე** ბაქოს "ნეფთჩიში" წელს ჩაირიცხა და მედიის ყურადღებაც მიიქცია. ბოლო დროს, ჩვენი მეზობლები საკმაოდ ნორმალური კლასის ვეტერანების ჩაყვანით გააანებივრეს. მათთან შედარებით, შესაძლოა, ჭელიძე ცნობილი ფეხბურთელი არაა. ამის მიუხედავად, მოსკოვის "ლოკომოტივიდან" 22 წლის ფეხბურთელის გადაბირება მაინც მნიშვნელოვანია. ის აზერბაიჯანელებმა ნახევარწლიანი არენდით დაიმატეს.

*"აზერბაიჯანში დიდი იმედებით ჩამოვედი და თავის გამოჩენა მსურს. აქ კარგი ნაცნობები დამხვდნენ, მაგალითად, დმიტრი კრუგლოვი, რომელთან ერთადაც მოსკოვის "ლოკომოტივში" გამოვდიოდი. აქვეა ჩემი სეხნია და თანამემამულე გიორგი ადამიაც, რომელთანაც არასდროს მითამაშია, მაგრამ, დიდი ხანია ვიცნობ. "ნეფთჩიში" კარგად მიმიღეს, ცუდ დამოკიდებულებას ვერავისგან ვგრძნობ. მოედანზე თავდამსხმელის მთავარი ამოცანა ბურთის გატანაა და ამ ამოცანას თავი უნდა გავართვა"* – ასე იმედიანადაა ქართველი თავდამსხმელი, რომელმაც თავისი ასაკის მიუხედავად უკვე მოას წრო "თბილისის", მოსკოვის "ლოკომოტივის", ლუგანსკის "ზარიას", ოდესის "ჩერნომორეცის", ბათუმის "დინამოს" და "ზესტაფონის" მაისურების მორგება.

გიორგი ჭელიძემ მოსკოვის "ლოკომოტივში" დამკვიდრება ვერ მოახერხა და უკვე მეორე სეზონია, კლუბიდან კლუბში მოგზაურობს.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზვიად სიჭინავასთან

# ბაიას პრეზიდენტი გაოცებულია: რატომ ფერხდება გაერთიანება?

## ჰერბერტ ცანკერი ზუგდიდში იმუშავებს



ზვიად სიჭინავა

**შარშან, მაისში გაცხადდა, რომ ზუგდიდის "მგლები" უმაღლეს ლიგაში იასპარეზებდა. საგულისხმოა ისიც, რომ ამავე ქალაქში კიდევ ერთი მასშტაბური და კარგი გაგებით, ამბიციური კლუბია - "ბაია", რომელსაც ფილიალები სამეგრელოს სხვა რეგიონებშიც აქვს. რამდენიმე ბავშვთა გუნდი, ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი და სხვა ინფრასტრუქტურა, სწორედ "ბაიას" საკუთრებაა. "მგლებს" "ბაიას" სტადიონი იჯარით აქვს აღებული და ამ არენის რესტავრაციას სწორედ "ბაია" და მისი ხელმძღვანელი, მოსკოვში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი ზვიად სიჭინავა უძღვება.**

**ზამთარში, როცა მგლებს" გაუჭირდა, სწორედ "ბაია" და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია დაეხმარნენ. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ითქვა, "ბაია" და "მგლები" რომ გაერთიანდეს უკეთესია როგორც ზუგდიდური, ასევე მთლიანად ქართული ფეხბურთისთვისო. ხმები ამ ორი კლუბის გაერთიანებაზე ჯერ კიდევ ზამთარში გავრცელდა. გასული სეზონის მიწურულს კი გაჟღერდა, "ბაიასა" და "მგლების" გაერთიანების საკითხი პრაქტიკულად, გადაწყვეტილიაო.**

**როგორც ირკვევა, "მგლები" სულაც არ არის გაერთიანების წინააღმდეგი. "ბაიას" პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ამას მიესალმება და მზადაა, კლუბში დამატებითი ინვესტიცია ჩადოს. უფრო მეტიც, იგი გაოცებულია, თუ რატომ ჭიანურდება ეს საქმე.**

**ამ დროს კი "ბაიას" დიდი გეგმები აქვს - გერმანელი მწვრთნელი, ადგილობრივი კადრების აღზრდა, ბიუჯეტის გაზრდა, ინფრასტრუქტურის გაფართოება... ერთი სიტყვით, ამ და სხვა საინტერესო თემებზე ზვიად სიჭინავა გვესაუბრება, რომელსაც მოსკოვში დავუკავშირდით.**

- "მგლებისა" და "ბაიას" გაერთიანებაზე" მოლაპარაკება დაწყებულია. ზუგდიდში ხშირად ჩავდივარ და ყველაფრის საქმის კურსში ვარ. ვიცი, ქართულ პრესაში არაერთხელ დაიწერა "მგლებისა" და "ბაიას" გაერთიანების შესახებ. ისიც ეწერა, თითქოსდა, შეთანხმება მიღწეულია. არადა, სამწუხაროდ, ასე ნამდვილად არაა საქმე. ძალიან მინდა, ეს საქმე გამოვიდეს და ზუგდიდური ფეხბურთის პოტენციალი გაერთიანდეს. ასე უკეთესი იქნება ჩვენი ქალაქისა და საერთოდ, ქართული ფეხბურთისთვის...

**- ჩვენი ინფორმაციით, "მგლებიც" არ არის გაერთიანების წინააღმდეგი. მაშინ რა აფერხებს ამ საქმეს?**

- მოლაპარაკებები დაიწყო, მაგრამ, რატომღაც ეს საქმე შეჩერებულია. ჩვენ "მგლებისგან" საბოლოო პასუხს ველით. ამ გუნდს ზამთარში რომ გაუჭირდა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია და ჩვენ ამოვუდექით მხარში. გვინდა, ზუგდიდი ქართულ საფეხბურთო რუკაზე უფრო მსხვილი წერტილი იყოს. ზუგდიდელი, პატრიოტი ადამიანი ვარ, ფეხბურთი უზომოდ მიყვარს და მინდა, ზუგდიდში ძლიერი გუნდი გვყავდეს. საამისოდ დიდი გეგმები გვაქვს და ფინანსებსაც არ დავიშურებ. არადა, როგორც გავიგე, პრესაში იწერება და ისეთი აზრი მუსირებს, თითქოსდა "მგლები" თანახმაა და ჩვენ თავს ვიკავებთ. ეს არასწორია, ასე ნამდვილად არაა საქმე. გვითხრან საბოლოო პასუხი და შეთანხმება გაფორმდეს, თორემ დიდი დრო ნამდვილად აღარ დარჩა.

**- დროში რას გულისხმობთ?**

- თუ შეთანხმება გაფორმდება, უმაღლესი ლიგისთვის უნდა მოვემზადოთ. ასეთ შემთხვევაში, გუნდს ორი მოსამზადებელი შეკრება ექნება, მათ შორის ერთი უცხოეთში. საჭიროა კონტინგენტის გაძლიერება და შეთამაშებასაც დრო სჭირდება. გამეხარდა, როცა გავიგე, ეროვნული ჩემპიონატის ახალი სეზონი აგვისტოს დასაწყისში კი არა, 23-ში იწყებაო. ამით ოციოდე დღეს მაინც მოვიგებთ. "ბაიასთვის" ახალი მწვრთნელი უკვე შერჩეული გვყავს... ერთი სიტყვით, დიდი გეგმები გვაქვს.

**- "ბაიას" მწვრთნელად ვინ შეარჩიეთ?**

- გერმანელი ჰერბერტ ცანკერი. ის 6 ივლისს ჩამოვა ზუგდიდში და სამწლიან კონტრაქტს გავუფორმებთ. ცანკერი იმიტომ შევარჩიეთ, რომ მინდა, გუნდში გერმანული დისციპლინა და წესრიგი დაამყაროს. ობიექტურად, უპროტექციოდ შეარჩიოს გამორჩეული მოთამაშეები და ისინი სწორად აღზარდოს. ცანკერი ნამუშევარია ჩვენს ფეხბურთში, კარგად ესმის ეს საქმე, ქართულიც ისწავლა და ქართველი ფეხბურთელის ფასიც იცის. ცანკერს ქართველი ასისტენტები ეყოლება. მოგვიანებით კი ფიზმომზადების მწვრთნელს ჩამოვიყვანთ რუსეთიდან, ამ საკითხზე უკვე მიღწეულია შეთანხმება.

**- ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ "ბაიასა" და "მგლებს" შორის შეთანხმება არ გაფორმდა, მაშინ ცანკერი გამოირიცხება?**

- არანაირად, ცანკერი მაინც იქნება "ბაიას" მთავარი მწვრთნელი. ასეთ შემთხვევაში გერმანელ მწვრთნელს მიზნად დავუსახავთ, ორ წელიწადში გადაიყვანოს გუნდი უმაღლეს ლიგაში. თუ "მგლებთან" შეთანხმება გაფორმდა და იმედი გვაქვს ასე იქნება, მაშინ უმაღლეს ლიგაში პოზიციების გამყარებისთვის ვიბრძოლებთ. მერე კი მაღალი მიზნებიც გვექნება. მინდა, ზუგდიდში ძლიერი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა შევქმნათ. დამატებით ორ მოედანს ვაკეთებთ, 15 აგვისტოს უკვე მზად უნდა იყოს...

**- რა მოედნებზეა საუბარი?**

- ხელოვნურსაფარიანი, ფრანგული წარმოების მე-6 თაობის ორი საფარი შევიძინეთ საბერძნეთში და უკვე ჩამოვიტანეთ. ამ ორს კიდევ ქვიშის მოედანი დაემატება. გვინდა ზუგდიდში ბაზა, ტექნიკური მომზადების ცენტრი გვქონდეს, ისეთი ან უკეთესი თბილისში "ბასა" რომ არის. ამ ბაზაზე საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებებიც მოემზადებიან. ჩვენს სკოლაში უფასოდ ვარჯიშობენ ბავშვები. უფრო მეტიც, გამორჩეულ 12-13 წლის ბავშვებს ხელფასიც კი აქვთ დანიშნული, რომელთა ჯამაგირი მშობლებისას უტოლდება.

**- მაინც რამდენია?**

- "ბაია" მხოლოდ ამ ხელფასებისთვის წელიწადში 250 ათას დოლარს ხარჯავს. ამაში არ შედის გუნდების ტრანსპორტირება და ეკიპირება. 12-13 წლის ტალანტების თვიური ხელფასი კი 300-400 ლარია. "ბაიაში" ნიჭირი ბავშვები ფოთიდან და ბათუმიდანაც გვყავს ჩამოყვანილი. მხოლოდ სამეგრელოთი არ შემოვიფარგლებით, მალე მთელ დასავლეთ საქართველოს მოვიცავთ.

**- თუ გაერთიანდებით და უმაღლეს ლიგაში იასპარეზებთ, გუნდში უცხოელ ლეგიონერებსაც ხომ არ ვიხილავთ?**

- თუ ამის საჭიროება იქნება, არ ვიტყვით უარს. თუმცა მირჩევნია, ისევ ქართველი ფეხბურთელები ალვზარდოთ. სწორედ ესაა ჩვენი კურსი. მინდა ჩვენმა მოთამაშეებმა ადრეული ასაკიდანვე იცოდნენ ქართული ფეხბურთის ისტორია. ვიდეოთეკას გავაკეთებთ "ბაიას" ბაზაზე, სადაც საფეხბურთო სკოლის მოთამაშეებს ვაჩვენებთ მესხის, მეტრეველის, იამანიძის, პაიჭაძის, ხურცილავას, ყიფიანის, გუცაევისა და სხვათა თამაშის ვიდეოფირებს. მათ უნდა იცოდნენ, თუ ვისი შთამომავლები არიან ფეხბურთში... ამას წინათ, ზუგდიდში ვიყავი ჩასული, "ბაიას" საფეხბურთო სკოლაში 9-10 წლის ბავშვებს ვკითხე - ვინაა თქვენი კუმირი ფეხბურთში-თქო. ზოგმა თქვა კაკა, ზოგმა მესი, ზოგმა, რონალდინიო... გული დამწვა, მესხი, მეტრეველი, ყიფიანი და ძველი თაობის ფეხბურთელები არ იციან, მაგრამ არც ერთს არ გახსენებია არველაძე, კალაძე... ასე აღარ იქნება. ვნუკოვოში ვცხოვრობ და ჩემი სახლის წინ საქართველოს დროშა ფრიალებს. არაერთხელ მითხრეს, მოხსენიო, მაგრამ არ მოვხსნი. პატრიოტებად მინდა გავზარდო ქართველი ფეხბურთელები.

**დავით ცაბაძე**

# რა ხდება მგლებში:

## ეყოლება თუ არა კლუბს ახალი მეპატრონე?

**ზუგდიდის "მგლებში" გაურკვეველი მდგომარეობაა. აქამდე კლუბს სამხარეო და ქალაქის ადმინისტრაცია ინახავდა, მაგრამ მათი რესურსები ამოიწურა და კლუბი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.**

**ერთი ხანობა ისიც ითქვა, თითქოს, კლუბი დაიშალა და უმაღლესში სათამაშოდ თანხა არ გააჩნდა.**

**მას შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, რომ "მგლების" შესყიდვა მოსკოვში მცხოვრებ ზუგდიდელ ბიზნესმენ ზვიად სიჭინავას სურდა.**

**გვიმტკიცებდნენ კიდეც, რომ საკითხი გადაწყვეტილიც იყო. თუმცა, როგორც გაირკვა, ჯერ კიდევ ყველაფერი დასადგენი, შესათანხმებელი და ხელმოსაწერია, რაც თავად ზვიად სიჭინავასგან შევიტყვეთ.**

**ბუნებრივია, "მგლების" ბედით დავინტერესდით და ვითარებაში გასარკვევად "მგლების" პრეზიდენტ ლაშა დარასელიას დავუკავშირდით.**

**- ბატონო ლაშა, უამრავი ჭორ-მართალი ისმის "მგლების" შესახებ და იქნებ, გვითხრათ - რა ხდება კლუბის თავს, შესძლებს თუ არა უმაღლეს ლიგაში მონაწილეობას და საერთოდ, მის არსებობას საფრთხე ხომ არ ემუქრება?**

- ჩათვალეთ, რომ ყველა პრობლემატური საკითხი მოხსნილია და უმაღლეს ლიგაში ვითამაშებთ. გასარკვევი მხოლოდ ისაა, ახალ სეზონში "მგლების" მეპატრონე ვინ იქნება.

**- მეპატრონე თუ არ გარკვეულა, მაშინ უმაღლესში მონაწილეობის გარანტიებს როგორ იძლევით?**

- მეპატრონეს არ ვეძებთ, უბრალოდ, ორი ფინანსური ჯგუფია დაინტერესებული, რომელთაგან ერთი ახალი მეპატრონე გახდება. მათთან მოლაპარაკებას უახლოეს დღეებში დავასრულებთ.

**- ერთი მათგანი, ზვიად სიჭინავაა. მეორე ბიზნესმენის ვინაობას არ დაგვისახელებთ?**

- ჯერ მის ვინაობას ვერ გეტყვით, რადგან საჯაროდ დაფიქსირება თავად არ სურს.

**- რამდენად მართალია, თითქოს ზვიად სიჭინავასთან კლუბის გამოსასყიდ თანხაზე ვერ შეთანხმდით და მოლაპარაკება ჩაიშალა?**

- არ ჩაშლილა, მოლაპარაკება გრძელდება, მაგრამ არაა გამორიცხული, "მგლების" მეპატრონე არა სიჭინავა, არამედ სხვა პიროვნება გახდეს.

**- მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია მართლა წავიდა, თუ ესეც გასარკვევია?**

- ასე კი ბრძანა, მაგრამ კლუბში მე თუ დავრჩი, შეროზიაც აუცილებლად დარჩება.

**- ანუ, შესაძლოა, "მგლები" თქვენც დატოვოთ?**

- მე კლუბის დამფუძნებელი და მეპატრონე ვარ და თუკი "მგლები" სხვამ იყიდა, ასეთ შემთხვევაში, ჩემი წასვლა გამორიცხული არაა. თუმცა, ჯერ კიდევ დასადგენია, ახალ მეპატრონესთან რა შეთანხმება გაფორმდება, შესაძლოა, ერთიანი ძალებით ვიმუშაოთ.

**- შემთხვევით, "ბაიასთან" ერთად, ჰერბერტ ცანკერი "მგლებსაც" ხომ არ ჩაიბარებს?**

- ცანკერი სიჭინავამ არა კლუბის, არამედ, "ბაიას" სკოლის მთავარ მწვრთნელად დანიშნა. არააა გამორიცხული, ზვიად სიჭინავამ "ბაიას" სკოლასა და გუნდში კიდევ რამდენიმე უცხოე[ლი] ჩამოიყვანოს, მთავარ მწვრთნელად კი ესპანელი სპეციალისტი დაინიშნოს. თუმცა, ვიმეორებ, ჯერ ყველაფერი დასადგენია და ზუსტი ინფორმაცია არ გამაჩნია.

**მერაბ მამულაშვილი**



მგლებო, სწორდით - ახალი პატრონი მოდის!

# ზესტაფონში სტადიონი სრულდება

უეფას წარმომადგენელმა უკვე შეამოწმა ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარე სამუშაოები. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო თავისი სომეხი წარმომადგენლის **არნო სარგსიანის** პატაკს განიხილავს და რამდენიმე დღეში გადაწყვეტს, მისცეს თუ არა "ზესტაფონს" უეფას თასზე მეტოქეების საკუთარ ქალაქში მიღების უფლება.

სტადიონის სარეკონსტრუქციო პროცესი კი დასასრულს უახლოვდება. უკვე დამონტაჟებულია 4 ათასამდე ინდივიდუალური სკამი. მანამდე მოეწყო გასახდელები, მოედანზე გასასვლელი გვირაბი, საპატიო სტუმართა ლოჟა, ავტოსადგომი და ა.შ. დარჩენილია მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოები.

ამასობაში კი გუნდი თურქულ შეკრებას განაგრძობს. "ზესტაფონი" ანკარის მიმდებარე ტერიტორიაზეა, სადაც ზღვის დონიდან 1 250 მეტრის სიმაღლეზე მდებარე კეთილმოწყობილ სასტუმრო "პატალიაში" დაბინავდა. "ზესტაფონი" ანკარაში შარშან ზაფხულშიც იყო შეკრებაზე.

**თემურ მახარაძის** გუნდი თურქეთში ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. ფეროველთა პირველი მეტოქე აზერბაიჯანის ჩემპიონი "ინტერი" იქნება. "ზესტაფონი" ბაქოელებს 3 ივლისს გაეჯიბრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სიონის მეორე მარცხი

ორდღიანი ინტერვალით ბოლნისის "სიონი" რუსთავის "ოლიმპს" ამხანაგურად ორჯერ გაეჯიბრა და ორჯერ დამარცხდა. მეორე საკონტროლო მატჩში **ოთარ კორღალიძის** გუნდმა 1:2 წააგო.

"სიონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მამალაძე, ქურასბედიანი, სვანიძე, შავგულიძე, ოქროპირიძე, დაუშვილი, ბ. ნოზაძე, სანიკიძე, ბაჯელიძე, კოშკაძე, ჯიქიძე.** *შეცვლაზე შევიდნენ:* **ბობლიაშვილი, ვაშაკიძე, შ. ჯიქია, ი. შენგელია, სებისკვერაძე.**

"ოლიმპი" **ოქროპირიძის** ავტოგოლის წყალობით დაწინაურდა, პირველი ტაიმის მიწურულს კი **ჯიქიძემ** ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრის მეორე ნახევარში გადამწყვეტი გოლი **გაგა ჩხეტიანმა** გაიტანა. "ოლიმპთან" დაკავშირებით აქვე იმას გეტყვით, რომ გუნდის სამწვრთნელო შტაბმა გასინჯვაზე მყოფი კამერუნული დუეტი დაიწუნა. "სიონის" ბოლო ახალწვეული კი ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **მურთაზ დაუშვილია**, რომელიც ბოლოს "ზესტაფონში" ასპარეზობდა.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს "სიონი" 10 ივლისს, თბილისში ჩაატარებს აზერბაიჯანული "სიმურგის" წინააღმდეგ. ხვალიდან გუნდი უკვე სრულად დაიტვირთება და ბოლნისში ორჯერად ვარჯიშებს შეუდგება, 14 ივლისს კი "სიონი" გრიგოლეთში გაემგზავრება და დასკვნით შეკრებას იქ მოაწყობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ცხადაძეს მჟავანაძე სურს

ბაქოს "სტანდარდი" **კახა მჟავანაძის** გადაბირებას აპირებს, მაგრამ უკრაინული წყაროების ვარაუდით, **კახა ცხადაძის** კლუბს ამ ჩანაფიქრის განხორციელება ძალიან გაუჭირდება. საქმე ისაა, რომ შესაძლოა, ქართველ მცველს მახაჭყალის "ანჟიმ" და ლენქორანის "ხაზარმა" უკეთესი ფინანსური პირობები შესთავაზონ. მჟავანაძე ამჟამად ოდესის "ჩერნომორეცის" საკუთრებაა, თავის დროზე კი "ანჟის" შემადგენლობაში 155 მატჩი ჩაუტარებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სიმურგს ბოლქვაძემ მოაგებინა

ბაქოურ შეკრებაზე მყოფმა ზაქათალის "სიმურგმა" აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონ "ოლიმპიკს" ამხანაგურად 1:0 სძლია. გამარჯვების გოლი ქართველი ნახევარმცველის, **დავით ბოლქვაძის** ანგარიშზეა. ბოლქვაძემ "სიმურგთან" თანამშრომლობის გაგრძელება რამდენიმე დღის წინათ გადაწყვიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროთასები. მონაწილენი

# დღეს წილისყრაა

დღეს, მონაკოში, 2008-09 წლების ჩემპიონთა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა გაიმართება, ორი კვირის შემდეგ კი, პირველი მატჩების ჩატარებაა დაგეგმილი. წლევანდელი გათამაშების ფორმატი უცვლელია. ჯგუფურ ეტაპზე ისევ 32 გუნდი იქნება, რომელთაგანაც ნახევარი იქ პირდაპირ ხვდება (იხილეთ ცხრილი), დანარჩენი 16 გუნდი კი, სამი საკვალიფიკაციო ეტაპის ჩატარების შემდეგ გაირკვევა.

ჯგუფური ეტაპის წილისყრა 28 აგვისტოს გაიმართება, პირველი ტურის გამართვა 16-17 სექტემბერს არის დაგეგმილი. გაისად, 27 მაისს, ფინალს რომის "ოლიმპიკო" უმასპინძლებს.

დღესვე იმართება უეფას პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა, სადაც 74 გუნდი გაარკვევს ურთიერთობას. მეორე საკვალიფიკაციოზე 37 საუკეთესოს კიდევ 27 გუნდი დაემატება, რომელთა შორის იქნება ინტერტოტოს თასის 11 გამარჯვებული და ასე გაგრძელდება იქამდე, სანამ ჯგუფური ტურნირის 40 მონაწილე არ გახდება ცნობილი.

სხვათა შორის, წელს საინტერესო უეფას თასი გველის. გათამაშებაში ჩაებმება ჩემპიონთა თასის სამი ყოფილი მფლობელი - "მილანი", "ბენფიკა" და "ცრვენა ზვეზდა". აქვე არიან უეფას თასის ყოფილი გამარჯვებულები - "ვალენსია", "სევილია", "ტოტენჰემი"...

ფინალი 20 მაისს სტამბოლში გაიმართება.

## ჩემპიონთა ლიგა 2008/09



| | ჯგ. ტურნირი | III საკვ. ეტაპი | II საკვ. ეტაპი | I საკვ. ეტაპი |
|---|---|---|---|---|
| მფლობელი | მანჩესტერ იუნ | | | |
| ესპანეთი | რეალი<br>ვილიარეალი | ბარსელონა<br>ატლეტიკო | | |
| ინგლისი | ჩელსი | არსენალი<br>ლივერპული | | |
| იტალია | ინტერი<br>რომა | იუვენტუსი<br>ფიორენტინა | | |
| საფრანგეთი | ლიონი<br>ბორდო | მარსელი | | |
| გერმანია | ბაიერნი<br>ვერდერი | შალკე | | |
| პორტუგალია | პორტუ<br>სპორტინგი | გიმარაეში | | |
| რუმინეთი | კლუჟი | სტიაუა | | |
| ჰოლანდია | ეინდჰოვენი | ტვენტე | | |
| რუსეთი | ზენიტი | სპარტაკი | | |
| შოტლანდია | სელტიკი | | რეინჯერსი | |
| უკრაინა | | შახტარი | დინამო | |
| ბელგია | | სტანდარდი | ანდერლეხტი | |
| ჩეხეთი | | სლავია | სპარტა | |
| თურქეთი | | გალათასარაი | ფენერბახჩე | |
| საბერძნეთი | | ოლიმპიაკოსი | პანათინაიკოსი | |
| ბულგარეთი | | ლევსკი | | |
| შვეიცარია | | | ბაზელი | |
| ნორვეგია | | | ბრანი | |
| ისრაელი | | | ბეითარი | |
| სერბეთი | | | პარტიზანი | |
| დანია | | | ოლბორგი | |
| ავსტრია | | | რაპიდი | |
| პოლონეთი | | | ვისლა | |
| უნგრეთი | | | მტკ | |
| სლოვაკეთი | | | | არტმედია |
| ხორვატია | | | | დინამო (ზ) |
| კვიპროსი | | | | ანორთოსისი |
| შვედეთი | | | | გიოტებორგი |
| სლოვენია | | | | დომზალე |
| ბოსნია | | | | მოდრიცა |
| ლატვია | | | | ვენტსპილსი |
| ლიტვა | | | | კაუნასი |
| ფინეთი | | | | ტამპერე |
| მოლდოვა | | | | შერიფი |
| ირლანდია | | | | დროგედა |
| საქართველო | | | | დინამო (თ) |
| მაკედონია | | | | რაბოტნიჩკი |
| ისლანდია | | | | ვალური |
| ბელარუსი | | | | ბატე |
| ალბანეთი | | | | დინამო (ტ) |
| ესტონეთი | | | | ლევადია |
| სომხეთი | | | | პიუნიკი |
| აზერბაიჯანი | | | | ინტერი |
| ყაზახეთი | | | | აქტობე |
| ჩრ. ირლანდია | | | | ლინფილდი |
| უელსი | | | | ლანელი |
| ფარერები | | | | რუნავიკი |
| ლუქსემბურგი | | | | დუდელანჟი |
| მალტა | | | | ვალეტა |
| ჩერნოგორია | | | | ბუდუჩნოსტი |
| ანდორა | | | | სანტა კოლომა |
| სან მარინო | | | | მურატა |

## უეფას თასი 2008/09




| | I რაუნდი | II საკვ. ეტაპი | I საკვ. ეტაპი |
|---|---|---|---|
| ესპანეთი | ვალენსია, სევილია<br>რასინგი | | |
| ინგლისი | პორტსმუთი, ევერტონი<br>ტოტენჰემი | | მანჩესტერ სიტი |
| იტალია | მილანი, სამპდორია<br>უდინეზე | | |
| საფრანგეთი | ნანსი, სენტ ეტიენი<br>პსჟ | | |
| გერმანია | ჰამბურგი, ვოლფსბურგი<br>დორტმუნდი | | ჰერტა |
| პორტუგალია | ბენფიკა, მარიტიმუ<br>ვიტორია | | |
| რუმინეთი | რაპიდი, დინამო (ბ)<br>უნირეა, პოლიტეხნიკა | | |
| ჰოლანდია | ფეიენოორდი, აიაქსი<br>ჰერენვეენი, ნიიმეგენი | | |
| რუსეთი | ცსკა | მოსკოვი | |
| შოტლანდია | მოზერველი | ქუინი | |
| უკრაინა | მეტალისტი | დნეპრი | |
| ბელგია | ბრიუგე | გენტი | |
| ჩეხეთი | ბანიკი | ლიბერეცი | |
| თურქეთი | ქაისერი | ბეშიქთაში | |
| საბერძნეთი | | აეკ, არისი | |
| ბულგარეთი | | ლიტექსი, ლოკომოტივი | ჩერნო მორე |
| შვეიცარია | | იანგ ბოიზი, ციურიხი | ბელინცონა |
| ნორვეგია | | ლილესტრიომი, სტაბეკი | ვიკინგი |
| ისრაელი | | მაკაბი (ნეთ) | ჰაპოელი (ქ-შ), ჰაპოელი (თ-ა) |
| სერბეთი | | ცრვენა ზვეზდა | ვოივოდინა, ბორაცი |
| დანია | | | ბრონდბიუ, მიდტიულანდი<br>კოპენჰაგენი, ნორდსილანდი |
| ავსტრია | | | ზალცბურგი, აუსტრია |
| პოლონეთი | | | ლეგია, ლეხი |
| უნგრეთი | | | დებრეცენი, დიორი |
| სლოვაკეთი | | | ჟილინა, ტრნავა |
| ხორვატია | | | სლავენი, ჰაიდუკი |
| კვიპროსი | | | აპოელ, ომონია |
| შვედეთი | | | კალმარი, იურგორდენი |
| სლოვენია | | | ინტერბლოკი, კოპერი |
| ბოსნია | | | ჟრინსკი, შიროკი ბრიეგი |
| ლატვია | | | მეტალურგსი (ლ), ოლიმპსი |
| ლიტვა | | | სუდუვა, ვეტრა |
| ფინეთი | | | ჰაკა, ჰონკა |
| მოლდოვა | | | დაჩა, ნისტრუ |
| ირლანდია | | | კორკი, სტ. პატსი |
| საქართველო | | | ზესტაფონი, ვიტ ჯორჯია |
| ლიხტენშტაინი | | | ვადუცი |
| მაკედონია | | | მილანო, პელისტერი |
| ისლანდია | | | ჰაფნარი, აკრანესი |
| ბელარუსი | | | მტზ-რიპო, გომელი |
| ალბანეთი | | | ვლაჟნია, პარტიზანი |
| ესტონეთი | | | ფლორა, ტვმკ |
| სომხეთი | | | არარატი, ბანანცი |
| აზერბაიჯანი | | | ხაზარი, ოლიმპიკი |
| ყაზახეთი | | | ტობოლი, შახტიორი (კ) |
| ჩრ. ირლანდია | | | გლენტორანი, კლიფტონვილი |
| უელსი | | | ბანგორი, ნიუ საინტსი |
| ფარერები | | | სტეიმური, ბ36 ტორსჰავნი |
| ლუქსემბურგი | | | გრევენმახერი, რასინგი |
| მალტა | | | ბირკირკარა, მარსაქსლოკი |
| ჩერნოგორია | | | მორგენი, ზეტა |
| ანდორა | | | სანტ ჯულია |
| სან მარინო | | | იუვენესი |

## შვაინი რონალდოს ნაცვლად?

"დეილი მეილის" მტკიცებით, "მანჩესტერ იუნაიტედი" **ბასტიან შვაინშტაიგერისთვის** ბრძოლაში ჩაერთო. ინგლისური ტაბლოიდი იუწყება, რომ "ბაიერნის" ნახევარმცველის შეძენა პრემიერლიგის ყველა გრანდს სურს. "დეილი მეილის" თანახმად, "იუნაიტედს" სურს, შვაინი კრისტიანო რონალდოს ნაცვლად იყიდოს. ეს უკანასკნელი მადრიდის "რეალში" მიდის. სპეკულაციების თანახმად, სამეფო კლუბი მზადაა, 100 მილიონი ევრო (!) გადაიხადოს. შვაინშტაიგერი რონალდოზე ხუთჯერ იაფი ღირს. გარიგების შემთხვევაში, "ეშმაკები" დიდ ფინანსურ სარგებელს ნახავენ, სპორტული თვალსაზრისით კი, ბევრი არაფერი დააკლდებათ.

"ბაიერნის" ხელმძღვანელობას კომენტარი არ გაუკეთებია. გუნდის ახალმა თავკაცმა **იურგენ კლინსმანმა** პირველი ვარჯიში გუშინ, გერმანიის დროით, სალამოს ოთხის ნახევარზე ჩაატარა. ვარჯიშს მხოლოდ 12 ფეხბურთელი დაესწრო. ერთი დღით ადრე "ბაიერნის" საუკეთესო მოთამაშეებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშეს. მათ მინიმუმ ორკვირიანი შვებულება ელოდებათ.

## ბენ არფა: ლიონიდან მარსელში

**ჰატემ ბენ არფა** "მარსელში" გადადის. "ლიონი" ფეხბურთელის შესანარჩუნებლად ძალას არ ზოგავს. შაბათს, კლუბის ახალმა მწვრთნელმა **კლოდ პიუელმა** გვაუწყა, რომ ბენ არფას ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. კვირას კი ჰატემმა "მარსელის" საკლუბო არხს მისცა ინტერვიუ და განაცხადა, რომ მოუთმენლად ელოდება "ოლიმპიკთან" ხელშეკრულების გაფორმებას: *"მიხარია, რომ მარსელში ვითამაშებ. გული მეუბნება, სწორად ვიქცევი. რომელი ფეხბურთელი არ ისურვებდა "ოლიმპიკში" თამაშს? კმაყოფილი ვარ, რომ რამდენიმე სარფიან შეთავაზებას შორის, მარსელი ავირჩიე."*

ბენ არფასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა ერთი კვირის წინათ დაიწყო. "მარსელის" ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს აუწყა, რომ ახალგაზრდა ნახევარმცველი შეიძინა. "ლიონმა" ინფორმაცია მაშინვე უარჰყო. გასულ უქმეებზე ორი კლუბის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ფეხბურთელის განცხადებამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. "ლიონს" ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება ჯერაც არ გაუკეთებია.

## თერიმს იტალიაში უხმეს

თურქეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ფათიჰ თერიმს** იტალიაში დაბრუნება შესთავაზეს. "გაძეტა დელლო სპორტის" ცნობით, მას "ნაპოლიში" ეპატიჟებიან. 54 წლის სპეციალისტს "ფიორენტინასა" და "მილანში" უმუშავია. სპეკულაციების თანახმად, ნეაპოლელთა გარდა, მისი დანიშვნა "ჯენოამ" და "პალერმომაც" მოინადინეს. თერიმი ბუნდესლიგის წარმომადგენლებმა, "შტუტგარტმა" და "ჰერტამაც" მოიკითხეს.

## რობი კინი ენფილდზე?

"ტოტენჰემის" თავდამსხმელ **რობი კინით** "ლივერპული" დაინტერესდა. "ნიუს ოფ ზე უორლდის" მტკიცებით, მერსისაიდელები მზად არიან, ირლანდიის ნაკრების 27 წლის ფორვარდში 28 მილიონი ევრო გადაიხადონ, ანდა, თანხის ერთი ნაწილის სანაცვლოდ, ლონდონელებს **პიტერ კრაუჩი** შესთავაზონ. "ტოტენჰემის" აზრით, ეს საინტერესო წინადადებაა და მას საფუძვლიანი განხილვა სჭირდება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შევჩენკო იჯარით ბარსელონაში?

### ეტოოს საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება



ანდრეი შევჩენკო

"ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, "ბარსელონას" **ანდრეი შევჩენკოსთან** საიჯარო კონტრაქტის გაფორმება სურს. ესპანელი მიმომხილველების ცნობით, სამუელ ეტოო "კამპ ნოუდან" მიდის. კატალონიელებს კი მისი შემცვლელი სჭირდებათ.

"მილანში" ასპარეზობისას, შევჩენკო ევროპის საუკეთესო თავდამსხმელი იყო. პრობლემები 2006 წლის ზაფხულში დაიწყო, როდესაც უკრაინელმა ვარსკვლავმა "ჩელსის" მიაშურა. "ბარსელონა" **ემანუელ ადებაიორისა** და **დავიდ ტრეზეგეს** შეძენას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. კლუბის ხელმძღვანელობამ შევჩენკოს ტრანსფერი უფრო რეალურად მიიჩნია.

შევჩენკო "მილანში" დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ კლუბები კომპენსაციაზე ვერ შეთანხმდნენ. "ჩელსი" დიდძალ თანხას ითხოვს. ამ ფულის გადახდას არც "ბარსელონა" დათანხმდება. კატალონიელებს იმედი აქვთ, რომ "არისტოკრატებს" ფეხბურთელის იჯარაზე დაითანხმებენ.

შევას ტრანსფერზე უკრაინელი აგენტი **დმიტრი სელიუკი** იმუშავებს. მას "ჩელსისთან" საუცხოო ურთიერთობა აქვს. ამავე დროს, "ბარსელონის" ხელმძღვანელობასაც კარგად იცნობს. ის **იაია ტურეს** აგენტია. ფეხბურთელის კამპ ნოუზე გადაყვანა მის სახელს უკავშირდება.

ევროპის ჩემპიონატის ფინალისას, **რომან აბრამოვიჩი** და ბარსელონელი პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** ვენაში იმყოფებოდნენ. მათ გულითადად მოიკითხეს ერთმანეთი, თუმცა მოლაპარაკებები არ გაუმართავთ. აბრამოვიჩი მოლაპარაკებებში, როგორც წესი, არ მონაწილეობს. ასეთ საქმეებს კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** უძღვება. კენიონი "ბარსელონას" დეკუს ტრანსფერზე უნდა მოურიგდეს. სავარაუდოდ, ამ შეხვედრისას შევჩენკოს თემასაც შეეხებიან.

აქვე გეტყვით, რომ **სამუელ ეტოო** კატალონიელთა ახალ მწვრთნელ **პეპ გუარდიოლას** შვებულების დასრულებისთანავე შეხვდება. კამერუნელ ვარსკვლავს აინტერესებს, აქვს თუ არა მომავალი ბარსელონაში. ამ საკითხზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ზოგიერთი სააგენტოს მტკიცებით, გუარდიოლას ეტოოსთან თანამშრომლობის გაგრძელება სურს. სხვები გვაუწყებენ, რომ **რონალდინიოსა** და **დეკუსთან** ერთად, გუარდიოლა ეტოოს გაყიდვასაც გეგმავს.

# არშავინი და 20 მილიონი მესის სანაცვლოდ

### რუსებს რიგი დაუდგათ: ჟირკოვი, პავლიუჩენკო, სემაკი; ვინ იქნება შემდეგი?

"ბარსელონას" **ანდრეი არშავინის** შეძენა სურს. მოლაპარაკებები უახლოეს დღეებში დაიწყება. "ზენიტი" თავადაც ამბიციურ შეთავაზებას ამზადებს - არშავინი და 20 მილიონი ევრო **ლიონელ მესის** სანაცვლოდ. ბარსელონელთა რეაქცია უცნობია. ინფორმაცია "ზენიტის" მესით დაინტერესების შესახებ სააგენტო "რია ნოვოსტიმ" გაავრცელა.

"ბარსელონა" ერთადერთი კლუბი არ არის, რომელმაც არშავინს დაადგა თვალი. რიგში დგას "ჩელსი". "არისტოკრატების" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** მზადაა, მოლაპარაკებებში პირადად ჩაერთოს და თანამემამულე ლონდონში გადასვლაზე დაიყოლიოს. რუსი ოლიგარქი მიზნის მისაღწევად, ფინანსურ რესურსებს არ დაიშურებს.

"ბარსელონას" კი იმედი აქვს, რომ საზაფხულო ტრანსფერებს, მათ შორის, არშავინის ტრანსფერს, ერთი კვირის განმავლობაში სრულყოფს. კლუბი ახალი სეზონისთვის სამზადისს ივლისის შუა რიცხვებიდან შეუდგება.



ანდრეი არშავინი

დავუბრუნდეთ რუს ფეხბურთელებს. ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების წარმატებამ მათზე მოთხოვნა საგრძნობლად გაზარდა. იტალიური სააგენტოების ცნობით, "ინტერი" ცსკა-ს მარცხენა ნახევარმცველ **იური ჟირკოვით** დაინტერესდა. 24 წლის ფეხბურთელმა ინგლისური გრანდების, "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" ყურადღებაც მიიპყრო, თუმცა ამ კლუბებს სატრანსფერო სპეკულაციებთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

ინგლისური "დეილი მეილი" იუწყება, რომ "ტოტენჰემი" **რომან პავლიუჩენკოს** შეეხმიანა. "სპარტაკის" 26 წლის თავდამსხმელს **დიმიტარ ბერბატოვის** შემცვლელად მიიჩნევენ. პავლიუჩენკოთი დაინტერესება გამოთქვეს "სელტიკმა" და "ბოლონიამაც". ევროს მეოთხედფინალში ჰოლანდიელთა დამარცხების შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პავლიუჩენკომ "რეალს", "ბარსელონასა" და "ინტერსაც" მოაწონა თავი, მაგრამ მოგვიანებით გრანდების ინტერესი არ დადასტურდა.

ფრანგული სააგენტოების ცნობით, რუსეთის ნაკრების კაპიტან **სერგეი სემაკს** მარსელის "ოლიმპიკი" დაუკავშირდა. "ეკიპს" თუ დავუჯერებთ, მარსელელები 32 წლის ნახევარმცველს **სამირ ნასრის** შემცვლელად მოიაზრებენ. მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი "არსენალში" გაემგზავრა. სემაკის გარდა, რომაელი **ლუდოვიკ ჟიულის** კანდიდატურაც განიხილება. რომაელ ნახევარმცველს "პარი სენ ჟერმენიც" ეპატიჟება.

არსენალი

# ვენგერმა მარტინსს უხმო

ინგლისურმა სააგენტოებმა კიდევ ერთხელ გაავრცელეს ინფორმაცია **ობა მარტინსით** "არსენალის" დაინტერესების თაობაზე. "სანის" ცნობით, "ნიუკასლმა" ნიგერიელ თავდამსხმელს განუცხადა, რომ შეუძლია, წავიდეს, თუ დაინტერესებული კლუბი 15 მილიონ გირვანქას გადაიხდის. შევაჭრების შემთხვევაში, ფასი შეიძლება 13 მილიონამდეც შემცირდეს.

23 წლის მარტინსს "სენტ ჯეიმს პარკზე" დარჩენა სურდა. მას ახალი კონტრაქტიც კი შესთავაზეს. ხელმოწერის შემთხვევაში, ნიგერიელს კვირაში 80 ათას გირვანქას დაუნიშნავდნენ. მაგრამ გარიგება არ შედგა. "ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ სახელფასო ბიუჯეტის შემცირება გადაწყვიტა. განაწყენებულმა მარტინსმა გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა.

"არსენალი" ობაფემის დიდი ხანია, აკვირდება. **არსენ ვენგერს** 11 მილიონი გირვანქა აქვს გამზადებული. ეს თანხა ტრანსფერისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ თუ "მეთოფეები" **ემანუელ ადებაიორს** გაყიდიან, ჯიბეზე ხელის გაკვრაც მოუწევთ. "არსენალს" თავდასხმაში პრობლემები ელის - **ედუარდო და სილვა** რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს, **რობინ ვან პერსი** კი ქრონიკული ტრავმების გამო, არასტაბილური ფეხბურთელია.



ობაფემი მარტინსი

## სამარასი: ინგლისი თუ იტალია?

საბერძნეთის ნაკრების თავდამსხმელ **გეორგიოს სამარასს** "ლაციო" ეპატიჟება. ფეხბურთელი "მანჩესტერ სიტის" საკუთრებაა. მან შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარი იჯარით "სელტიკში" გაატარა და ექვსი გოლი შეაგდო. გლაზგოელები ფეხბურთელის გამოსყიდვას აპირებდნენ. "ლაციოს" დაინტერესება იმას ნიშნავს, რომ სამარასის ფასი საგრძნობლად გაიზრდება. თავდამსხმელს სხვა მსურველებიც ჰყავს. ევროპის ჩემპიონატზე უხეირო გამოსვლის მიუხედავად, სამარასი "ვერდერმა" და "ფენერბაჰჩემ" მოიკითხეს. გამორიცხული არაა, ბერძენი ლეგიონერი "მანჩესტერ სიტიში" დაბრუნდეს. გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს. **მარკ ჰიუზი** სამარასს დიდი სიმპათიით უყურებს.

## ვილა ბერის ვერ ელევა

"ასტონ ვილა" დათმობაზე წასვლას არ აპირებს. ის კაპიტანსა და საუკეთესო ნახევარმცველ **გარეთ ბერის** 18 მილიონ გირვანქად აფასებს, რითაც "ლივერპულს" ტრანსფერის განხორციელების საშუალებას უკარგავს.

ფეხბურთელს "ენფილდზე" გადასვლა სურს. მან ბირმინგემულ კლუბს ტრანსფერში ხელის შეწყობა სთხოვა. "ვილა" ფეხბურთელის შესანარჩუნებლად ყველა ღონეს მიმართავს. ასტრონომიული თანხის მოთხოვნაც ამის დასტურია.

ბირმინგემელთა თავკაცი **მარტინ ონილი** მიიჩნევს, რომ 18 მილიონი რეალური ფასია. ონილს მაგალითად "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველები, **მაიკლ ქერიკი** და **ოუენ ჰარგრივსი** მოჰყავს, რომელთაგან თითოეული 17 მილიონი გირვანქა ღირს.

"ლივერპული" "ვილას" 13 მილიონს სთავაზობს. მერსისაიდელები გარიგების იმედს არ კარგავენ, თუმცაღა, არც მთელი სატრანსფერო ბიუჯეტის ერთ ფეხბურთელში დახარჯვა სურთ. ონილი უკან დახევას არ აპირებს. მერსისაიდელებს ან 5 მილიონის დამატება მოუწევთ, ანდა სხვა ფეხბურთელის მოძებნა, რომელიც ბერიზე იაფი ელირება.

## ატლეტიკოს სამი ტრანსფერი

მადრიდის "ატლეტიკო" სამ ტრანსფერზე მუშაობს. ამ ინფორმაციას კლუბის პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** ავრცელებს. "როხიბლანკოს" სარაგოსელი თავდამსხმელის, **რიკარდო ოლივეირას**, რეკრეატივოელი თავდამსხმელის, **ფლორან სინამა პონგოლესა** და ლიონელი მეკარე **გრეგორი კუპეს** შეძენა სურს. კუპესთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება. ინგლისური სააგენტოების თანახმად, კუპე "ტოტენჰემში" გადადის. სერესო კი ამბობს, რომ ფრანგ მეკარესთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. პრეზიდენტის თქმით, სინამა-პონგოლესთან შეთანხმება მიღწეულია. მას ერთი წლით სანტანდერის "რასინგში" უპირებენ გაშვებას. ოლივეირას საკითხი კი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

## ნიჰათი ოთხი თვე დაისვენებს

**ნიჰათ ქავეჩის** ოთხი თვე გაუცდება. თურქეთის ნაკრებისა და "ვილიარეალის" თავამსხმელმა ბარძაყის ოპერაცია გაიკეთა და იძულებითი შვებულება აილო. ფეხბურთელი ხორვატიასთან ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩისას დაშავდა. "ვილიარეალმა" პრიმერა დივიზიონის შარშანდელი სეზონი მეორე ადგილზე დაასრულა და ჩემპიონთა ლიგის ავტომატური საგზური მიილო. ნიჰათი ლიგის ჯგუფური ტურნირის უმეტეს ნაწილს გამოტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# კლინსმანის ერა დაიწყო!

## პოლდის და შვაინის გაუშვებენ... თუ გომესს და გლებს იყიდიან!

გუშინ, მიუნხენის "ბაიერნმა" მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. **იურგენ კლინსმანი** პირველად წარსდგა გულშემატკივრების წინაშე გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში. მართალია, პირველ ვარჯიშზე მის განკარგულებაში მხოლოდ 12 ფეხბურთელი იყო, მაგრამ რაც მთავარია, დებიუტი შედგა და 43 წლის სპეციალისტმა რამდენიმე ასეული ქომაგის თვალწინ, რეკორდმაისტერი პირველად ავარჯიშა.

ჟურნალისტებს კლინსისთან გასაუბრება ძალიან უნდოდათ, მაგრამ კლინსიმ მათ მიერ დასმული კითხვები უპასუხოდ დატოვა, რადგან ოთხშაბათს პრესკონფერენციის გამართვას აპირებს და კორესპონდენტებს დაპირდა, თქვენს კითხვებს ამომწურავად სწორედ ოთხშაბათს ვუპასუხებო.

*"ერთი შეხედვით ჩანს, თუ როგორი მონდომებული და მოტივირებულია იურგენი,"* - აცხადებს ბავარიელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი**, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალს სწორედ კლინსისთან და "ბაიერნის" ვიცეპრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესთან** ერთად უყურა. *"პირველივე ვარჯიშზე ისეთი მონდომებული იყო, რომ გეგონებოდა, ბუნდესლიგა მეორე დღეს იწყებაო,"* - აქებს კლინსმანს ჰიონესი.

კლინსიმ "ზებენერშტრასეზე", თავის ახალ სამფლობელოში მუშაობა ერთი კვირის წინათ დაიწყო და შტაბის წევრები მომავალი ბატალიებისთვის მოამზადა. ამ ხნის განმავლობაში მას ხშირად ჰქონდა საუბრები ჰიონესთან და რუმენიგესთან, რათა გაერკვია, რამდენადაა შესაძლებელი გუნდის გაძლიერება და თუ საჭირო გახდა, რამდენს დახარჯავენ რეკორდმაისტერის შეფები.

ყველაზე საინტერესო კითხვა, რომლის პასუხს "ბაიერნის" ფანები მოუთმენლად ელიან, ეს გახლავთ: რა ბედი ელით **ლუკას პოდოლსკისა** და **ბასტიან შვაინშტაიგერს**? ამას წინათ, მიუნხენური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ, სადაც ჟურნალისტმა კლინსმანს ევროპის ჩემპიონატზე "ბაიერნის" ფეხბურთელების ნაჩვენები თამაშის შეფასება სთხოვა. კლინსმანმა თითქმის ყველა მოთამაშეზე ისაუბრა, გარდა პოდოლსკისა...

ლუკასს, რომელსაც რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, მიუნხენის დატოვება უნდა. პოლდიმ "ბაიერნში" ორი უიღბლო სეზონი გაატარა და ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას მას ვერც მესამე სეზონის წინ მისცემს ვინმე. შვაინშტაიგერის ხელშეკრულებას ვადა 2009 წლამდე აქვს და ეს უკანასკნელი პოდოლსკის გზას ადგას, რადგან კლუბში ვერც ის ახერხებს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენას, ნაკრებში კი ყოველთვის გამორჩეულია. თანაც, "ბაიერნში" მას **ფრანკ რიბერის** სახით თითქმის უძლეველი კონკურენტი ჰყავს.

"კიკერმა" გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, თუ ბავარიელები **ალექსანდერ გლებსა** (27 წლის, არსენალი) და **მარიო გომესს** (22, შტუტგარტი) გადაიბირებენ, შვაინშტაიგერსა და პოდოლსკის გუნდის დატოვება შეეძლებათ. *"სანამ ახალი ფეხბურთელები არ გვიყიდია, ვერავის გაყიდვაზე ან განათხოვრებაზე ვერ ვიფიქრებთ,"* - ეს განცხადება ჰიონესმა შაბათს გააკეთა. "მიუნხენერ აბენდცაითუნგს" ულიმ უთხრა, წარმოიდგინეთ, გლები რომ გადმოვიდეს, შვაინშტაიგერმა სადღა უნდა ითამაშოსო. რაც შეეხება პოდოლსკის. ჰიონესი: *"ფაქტია, რომ ახალ სეზონს ორი თავდამსხმელით არ დავიწყებთ. კლოზე და ტონი აუცილებლად რჩებიან. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს."*

შვაინშტაიგერს "იუვენტუსი" ეპატიჟება და როგორც ირკვევა, ტურინელები ამ კვირაში მიუნხენელებს კონკრეტული წინადადებით მიმართავენ. "ბილდი" წერდა, "იუვე" რეკორდმაისტერს შვაინის სანაცვლოდ ტიაგოს სთავაზობსო, მაგრამ ეს ინფორმაცია ჯერ არ დადასტურებულა. ამას გარდა, "იუვენტუსს" პოდოლსკიც აინტერესებს, ზუსტად ისე, როგორც "კიოლნს", "ვერდერსა" და "ტოტენჰემს". ფაქტია ისიც, რომ შვაინისა და პოლდის წასვლა უფრო "ბაიერნისთვის" იქნება პრობლემა, ვიდრე ფეხბურთელებისთვის, რადგან მიუნხენური გრანდის ფანები ვერ გაიგებენ, თუ რატომ გაახვისა FCB-მ გერმანელი ხალხის უსაყვარლესი ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრებში ყოველთვის ამინდს ქმნიან. ფაქტია ისიც, რომ პოდოლსკიმ "ვერდერში" რომ გაამართლოს, "ბაიერნის" შეფები ამას ვერ გადაიტანენ. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ ბავარიელები გლებისა და გომესის გადაბირებისთვის იბრძვიან - ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, დიდი სატრანსფერო ციებ-ცხელება იწყება, სადაც "ბაიერნიც" ჩართულია...

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ ტორსტენ ფრინგსთან

# ნავაგეთ, რადგან ვიმსახურებდით!

## ფრინგსმა პოდოლსკისა და შვაინშტაიგერს ტვინი შეუჭამა, ბრემენში წამოდითო...

ევროპის ჩემპიონატის საფინალო სასტვენის შემდეგ, ტორსტენ ფრინგსს, ისევე, როგორც გერმანიის ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს, დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ მოგვიანებით "კიკერის" ჟურნალისტთან სასაუბროდ მაინც მოიცალა. 31 წლის საყრდენი ნახევარმცველი გულდაწყვეტილია, მაგრამ ყურების ჩამოყრას არ აპირებს...



**- მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა და იტალიასთან დამარცხდა. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე კი უკვე ფინალში გააღწია და ახლა იქ დამარცხდა. ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ 2010 წელს მუნდიალი უნდა მოვიგოთ. ეს სიტყვები გამშვიდებთ, ჰერ ფრინგს?**

- ახლა, ამ მომენტში, რა თქმა უნდა, არ მამშვიდებს. ჩვენ გვქონდა შესანიშნავი შანსი, რომ გერმანიაში გამარჯვებულები დავბრუნებულიყავით, ახლა კი იმედგაცრუებულები, დამარცხებულები ვართ. შესაბამისად, ზეიმი კოშმარად გადაიქცა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გავა რამდენიმე კვირა, ყველანი დავმშვიდდებით და ახალ მიზნებს დავისახავთ. არც ერთ ჩვენგანს არ სურს, რომ გერმანიამ პროგრესი შეწყვიტოს. 2010 წლის მუნდიალზე კვლავ მაღალი მიზნები უნდა დავისახოთ.

**- თქვენ ჯერ კიდევ ევრო 2008-ის დაწყებამდე განაცხადეთ, რომ ნაკრებიდან წასვლას არ აპირებთ და რომ 2010 წლამდე ბუნდესგუნდში რჩებით...**

- ასე გადაწყვეტით არ მითქვამს, რადგან გამორიცხული არასდროს არაფერია, მაგრამ ის კი ვთქვი და სიამოვნებით გავიმეორებ, რომ 2010 წლის მუნდიალი ჩემი მომდევნო მიზანია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრებიდან უფრო ადრე წავალ, ვიდრე კარიერას დავასრულებ.

**- ასე რატომ გადაწყვიტეთ?**

- ძალიან მინდა, რომ კარიერის უკანასკნელი სეზონი აახენის "ალემანიაში" გავატარო. ეს ჩემი მშობლიური კლუბია, სადაც კარიერას დავამთავრებ. და ვფიქრობ, რომ "ალემანიის" ფეხბურთელი გერმანიის ნაკრებში აღარ უნდა თამაშობდეს. ეს, ცოტა არ იყოს, სასაცილო იქნება.

**- ბოლო თვეებში ტრავმებმა გაგტანჯეს. იქნებ ამიტომაც ალაპარაკდით ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებაზე?**

- ცხადია, ეს ფაქტორიც ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს? სანამ ევროპის ჩემპიონატი დაიწყებოდა, მეგონა, მთებს გადავაგორებდი, მაგრამ უშუალოდ ტურნირის დროს საკუთარ თავს შევამჩნიე, თუ რამდენად დამაკლდა ის დრო, რომელიც ტრავმიანობის გამო აბსოლუტურად უსარგებლოდ გაიფლანგა. ისე, ადამიანმა იმაზეც უნდა იფიქროს, რამდენად აზრიანი და გამართლებულია ასეთ ასაკში ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგასთან ერთად, გერმანიის ნაკრებშიც თამაში.

**- განა უაზროა?**

- არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემთვის ჯერ კიდევ არ არის იმის მიზეზი, რომ სანაკრებო კარიერა ახლავე დავასრულო.

**- ფინალში გაბზარული ნეკნით ითამაშეთ. რამდენად დიდი იყო რისკი?**

- არანაირ რისკს ადგილი არ ჰქონია. ჯერ კიდევ თურქეთთან მატჩის დროსაც ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს და 90 წუთი თამაში თავისუფლად შემეძლო. ამაზე გაცილებით მძიმე ტრავმებით მითამაშია. ერთადერთი მატჩი, რომელშიც მონაწილეობას მართლა ვერ მივიღებდი, პორტუგალიასთან შეხვედრა იყო, რადგან მაშინ სუნთქვა მიჭირდა.

**- ნახევარფინალში თამაში შეგეძლოთ, მაგრამ იოახიმ ლიოვმა ძირითად შემადგენლობაში არ გაგამწესათ, რისთვისაც მასზე ძალიან გაბრაზდით...**

- ცხადია, თამაში მინდოდა და თანაც ძალიან. 2006 წელს, მუნდიალის ნახევარფინალში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ვითამაშე და არ მინდოდა, რომ ახლაც ვერ მეასპარეზა. ცოტათი ვიეგოისტე, როდესაც ლიოვი გავაკრიტიკე, რადგან მან უკეთ იცის, ვინ როდის უნდა ათამაშოს, მაგრამ ვგონებ მეპატიება.

**- როგორც გავიგეთ, ამ შემთხვევის შემდეგ თვითონვე მიხვედით ლიოვთან, მოუბოდიშეთ და უთხარით, მწვრთნელის ადგილზე მეც ასევე მოვიქცეოდიო. რამდენი ხანი დაგჭირდათ ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად?**

- დიდხანს ნამდვილად არ მიფიქრია. ერთი ან ორი საათი. ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ მწვრთნელი მართალი იყო, რადგან ექიმებს კი არა, მეც არ შემეძლო ზუსტად იმის თქმა, რამდენ ხანს გავძლებდი მოედანზე და რა გასაკვირია, რომ იოგიმ სასტარტო შემადგენლობაში არ გამამწესა.

**- თომას ჰიტცლშპერგერმა და სიმონ როლფესმა პორტუგალიასთან ძალიან კარგად ითამაშეს და მწვრთნელს არ მისცეს იმის საბაბი, რომ თურქეთთან ნახევარდაცვაში რამე შეეცვალა. კონკურენცია უკვე იგრძენით?**

- ჰიტცლშპერგერი და როლფესი ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი საყრდენი ნახევარმცველები არიან. კონკურენცია კი გუნდისთვისაც და ნებისმიერი ფეხბურთელისთვისაც ძალიან კარგი და საჭირო რამ არის. გერმანიის ნაკრებში ყოველთვის იყოს კონკურენტუნარიანი გარემო. ამ ბიჭებმა პორტუგალიასთან მართლაც ძალიან კარგად იასპარეზეს, მაგრამ გაიხსენეთ, გერმანიის ნაკრებს ჩემთან ერთად უფრო მეტი კარგი მატჩი აქვს ჩატარებული და მოგებული. თანაც, აქ ერთი რამეცაა გასათვალისწინებელი. დააკვირდით, მე რომ ტრავმა მივიღე, ლიოვმა ჩემს ნაცვლად ორი ტიპიური საყრდენი დააყენა. როცა მე ვთამაშობ, ტაქტიკა 4-4-2-ია და მოედნის ცენტრში მიხაელ ბალაკი და მე ვდგავართ. ხომ შეიძლებოდა, რომ ლიოვს ერთ-ერთი მათგანისთვის გამოეცხადებინა ნდობა, ან ჰიტცლშპერგერისთვის ან როლფესისთვის, მაგრამ არა, მან ორივე ათამაშა და 4-2-3-1 ტაქტიკაზე გადავიდა. ეს იმიტომ, რომ იმ საქმეს, რასაც მე ვაკეთებდი, ორი ფეხბურთელი დასჭირდა.

**- ბევრი ფიქრობს, რომ სასტარტო შემადგენლობაში ადგილს კარგავთ...**

- დამიჯერეთ, ეს არ მოხდება. ადრეც ვთქვი და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ: ჯერ ვინმე ისეთი უნდა გამოჩნდეს, რომელიც ჩემზე უკეთესად მხოლოდ ერთ მატჩს კი არა, ზედიზედ მინიმუმ ორ სეზონს ჩაატარებს. ჯერჯერობით, ასეთ ფეხბურთელს მე ვერ ვხედავ.

**- უშუალოდ ტურნირზე გერმანიის ნაკრებმა ორმაგი სახე აჩვენა - ზოგჯერ ძალიან კარგად გამოიყურებოდა, ზოგჯერ პირიქით, ძალიან ცუდად. რატომ?**

- არა მგონია, რომ რაიმე პრობლემასთან გვქონდეს საქმე. პოლონეთთან მატჩი ჩინებული სტარტი იყო და ამის შემდეგ ხორვატია სათანადოდ ველარ შევაფასეთ. ავსტრიასთან უნდა მოგვეგო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორ მოვიგებდით. ბუნდესგუნდი ჯგუფში კიდევ ერთხელ რომ ჩარჩენილიყო, ხალხი ამას ნამდვილად ველარ გადაიტანდა. პორტუგალიასთან ძალიან კარგად, თითქმის იდეალურად ვითამაშეთ. თურქებთან შედარებით ცუდად გამოვიყურებოდით, მაგრამ მაინც ვიბრძოლეთ და მოვიგეთ. ზუსტად თურქეთთან ვაჩვენეთ ჩვენი მენტალური სიძლიერე. აი, ფინალში კი, პირწმინდად დავმარცხდით, ესპანეთმა გვაჯობა და გამარჯვება დაიმსახურა.

**- მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც მუდმივად იმეორებდით, რომ გერმანიის ნაკრებს შემტევი ფეხბურთი უნდა ეთამაშა და ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლაში დომინანტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დანაპირები ვერ შეასრულეთ...**

- პირადად ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ფეხბურთს ითამაშებს გუნდი. მთავარი შედეგია და ჩვენ შედეგი გვქონდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ფინალამდე. დააკვირდით, ჰოლანდიის ნაკრები ხომ ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. აი, შაბათს ჰოლანდიელები მაყურებლების რანგში იყვნენ... ასეთ დიდ ტურნირებზე ყველაზე მთავარი პრაგმატული აზროვნება და საქმისადმი მიდგომაა.

**- ფინალის შემდეგ გერმანულმა პრესამ ბუნდესგუნდი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. როგორც გავიგეთ, ფეხბურთელები ჟურნალისტებზე გაბრაზებულები ყოფილხართ...**

- რა თქმა უნდა, ძალიან ვბრაზობთ. უკვე მერამდენედ ხდება ისე, რომ უცხოელი ჟურნალისტები უფრო გვაფასებენ და გვაქებენ, ვიდრე ჩვენი თანამემამულეები. არ მესმის, ეს რისი ბრალია და ასე რატომ ხდება. ორი წლის განმავლობაში, ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავედით, მერე კი ევროპის ჩემპიონატის ფინალში და მიუხედავად ამისა, მაინც ვკითხულობთ, რომ სუსტები ვართ.

**- ფინალის შემდეგ ბუნდესმწვრთნელმაც აღიარა, რომ გერმანიის ნაკრები უფრო შეკრული გუნდი უნდა ყოფილიყო. თქვენ როგორ ფიქრობთ, განიცადა თუ არა გერმანიამ 2006 წლის შემდეგ პროგრესი?**

- ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ შესანიშნავი მატჩები ჩავატარეთ. მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ გერმანიამ დასახულ მიზანს მიაღწია და ფინალში ითამაშა. კარგი იქნებოდა, რომ მოგვეგო, მაგრამ ვერ მოვიგეთ. ერთი რამ ცხადია, 2006 წლის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო დავბრძენდით.

**- ორი წლის წინათ, ლიოვი ჯერ კიდევ კლინსმანის ასისტენტი იყო. დღეს კი გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. მან თუ განიცადა პროგრესი?**

- ლიოვი თავიდანვე ღირსეული იყო ამ პოსტისთვის და პროგრესს არ საჭიროებდა. ზოგადად, კლინსმანი და იოგი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კლინსი ყველაფერს ძალიან ემოციურად აკეთებდა, ლიოვი კი გაცილებით მშვიდი და გაწონასწორებულია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას იურგენზე ნაკლებად შეუძლია ფეხბურთელების მოტივირება.

**- ფინალს კლინსმანიც დაესწრო...**

- რითაც ძალიან გაგვახარა, ზუსტად ისე, როგორც ბერნდ შნაიდერის სტუმრობამ. ევროპის ვიცეჩემპიონობაში მათაც უდიდესი წვლილი მიუძღვით.

**- როგორ ფიქრობთ, გახდება თუ არა "ბაიერნი" კლინსმანის ხელში უძლეველი გერმანული კლუბი?**

- მე უფრო იმის იმედი მაქვს, რომ კლინსის მიუნხენში პრობლემები შეექმნება. იმიტომ კი არა, რომ მას წარმატებებს არ ვუსურვებ, არამედ იმის გამო, რომ მე "ვერდერთან" ერთად მსურს წარმატებების მიღწევა და ძალიან გამიხარდება, თუ "ბაიერნში" პრობლემები შეიქმნება. რეკორდმაისტერი, რა თქმა უნდა, ტოპ-ფავორიტია. იმედი მაქვს, რომ სეზონის დაწყებამდე რამდენიმე ფეხბურთელით გავძლიერდებით.

**- ბრემენულ კლუბს განსაკუთრებით თავდასხმაში უჭირს...**

- და არა მარტო თავდასხმაში. ჩემი აზრით, ყველა პოზიციაზე უნდა გავძლიერდეთ.

**- პრესაში დაიწერა, ფრინგსი ცდილობდა, პოდოლსკი იმაში დაერწმუნებინა, რომ ამ უკანასკნელისთვის საუკეთესო ვარიანტი "ვერდერში" გადასვლა იქნებაო. პოლდის დარწმუნებას მართლა ცდილობდით?**

- ცხადია, ასეთ თემებზე მასთან ხშირად ვსაუბრობ. თუმცა საბოლოო ჯამში, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტია.

**- და როგორ გგონიათ, რა შანსი აქვს "ვერდერს"?**

- დარწმუნებული ვარ, რომ თუ ლუკასი ჩვენთან გადმოვა, ძალიან მალე დაუბრუნდება ის ხალისი, რომელიც მან "ბაიერნში" დაკარგა და რომელსაც დროდადრო გერმანიის ნაკრებიდან გვახსენებს ხოლმე.

**- იქნებ იმასაც ფიქრობთ, რომ პოლდის შვაინშტაიგერიც უნდა გამოჰყვეს?**

- ეს საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა.

**- ინტერვიუს ბოლოს ერთ საიდუმლოს გაგვიმხელთ?**

- რომელ საიდუმლოს?

**- რატომ ვერ გაიგო ვერავინ, თუ რითი იყო დაცული თქვენი ნეკნი? იქნებ აქაც დაახლოებით ისეთ საიდუმლოსთან გვაქვს საქმე, რაც 2006 წელს მოხდა - ლემანის "შპარგალკას" ვგულისხმობთ...**

- ჩემს ნეკნს ძალიან ჩვეულებრივი ნაჭერი იცავდა. თვითონაც არ ვიცი, რატომ არ მოისურვეს ექიმებმა ამის საჯაროდ თქმა. ალბათ იმიტომ, რომ მეტოქეს რაც შეიძლება ნაკლები ინფორმაცია ჰქონოდა.

**გოტფრიდ ლენცი**

EURO 2008

# CAMPEONES, CAMPEONES, OLE, OLE!

## საოცრება, მისტიკა და ფანტაზია

### არაგონესმა უკანასკნელი ტანგო იცეკვა



მადრიდის აეროპორტიდან ქალაქის ცენტრისკენ

ესპანეთი ევროპის ჩემპიონია და ასე იქნება კიდევ ოთხი წლის განმავლობაში. **ლუის არაგონესმა** და მისმა ბიჭებმა სამშობლოს საოცარი ზღაპარი აჩუქეს, ზღაპარი, რომელსაც მამები ჯერ არდაბადებულ შვილებს მოუყვებიან. ბავშვები მშობლებს თვალებში შეხედავენ და იქ ამოიკითხავენ, რომ დიდი ერის შვილები არიან. ესპანეთი 44 წლის შემდეგ მსოფლიო ფეხბურთის გრანდებში გაერია. ახლა საამაყოდ მხოლოდ 1964 წელს არ გაიხსენებენ, გულშემატკივრები, რა თქმა უნდა, ახალი გამარჯვებით მოიწონებენ თავს. ზღაპარი საოცრება, მისტიკა და უშრეტი ფანტაზიაა. ესპანეთის ნაკრებს წელს ამ სამი კომპონენტიდან არაფერი აკლდა. საოცრებაა, რომ მუდმივად ხელმოცარულმა და უიღბლო გუნდმა გრანდები ერთმანეთის მიყოლებით გააცამტვერა. მისტიკა კი თავად ეს გასაოცარი ტრანსფორმაციაა. რაც შეეხება ფანტაზიას, ამ თვალსაზრისით, "სელექსიონს" წელს მართლაც ვერავინ შეედრებოდა. ჰოლანდიის ნაკრების ჩათვლით ასეთი მრავალფეროვანი ფეხბურთი არავის უთამაშია. ესპანეთის ეროვნული გუნდის თითოეული წევრი ალსავსე იყო ფანტაზიით და შემოქმედებითი თავისუფლებით. ფანტაზიამ თვით უკმეხ, პრაგმატულ და უხასიათო მოხუცშიც გაიღვიძა. როგორ ჰგავდა ის გენიალური **ჰემინგუეის** უკვდავ მოხუცს, რომელსაც ყველაფერი ბებრული ჰქონდა, გარდა გაუტეხელი კაცის ზღვისფერი თვალებისა. მოხუცი სანტიაგოსი ალარავის სჯეროდა, ის ხომ დაბერდა და თევზს ველარ იჭერდა, მაგრამ თავად სანტიაგოს ჯეროდა წამისა და ბედისწერის. ღმერთი ისე არ გაწირავდა, რომ ზღვაში გასული შინ გამარჯვებული არ დაბრუნებულიყო. ერთი შეხედვით, სანტიაგოს არ გაუმართლა, მოხუცს ზვიგენმა აჯობა, მაგრამ ეს მაინც სიცოცხლის ზეიმი იყო. მთავარია, რომ უკანასკნელად მოქნეულ ანკესს დიდი თევზი ამოჰყვა. მერე რა, რომ მშიერმა ზვიგენმა მას მხოლოდ ჩონჩხი დაუტოვა. სანტიაგომ ოკეანეს და უიმედობას აჯობა... უკანასკნელი ტანგო ლუისმაც შეასრულა. მან მთელ ქვეყანას და შემაძრწუნებელ პესიმიზმს აჯობა. განა ბევრს სჯეროდა მისი? რას არ ამბობდნენ ხიხონელ მოხუცზე, მაგრამ სანტიაგოს მსგავსად მასაც სჯეროდა სიცოცხლის ბრწყინვალებისა და ბედისწერის სიმტკიცის. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთმა საფრანგეთთან წააგო. იმ დღის შემდეგ ამ კაცის ცხოვრებაში ჯოჯოხეთი დაიწყო, იყო უამრავი ეჭვი, ლანძღვა და ქილიკი. ავტორიტეტული გაზეთები არაგონესის საწინააღმდეგო პროპაგანდას აწარმოებდნენ, ყოველ დღე ათასნაირ გამოკითხვას ატარებდნენ და მოხუც ლუისს ეუბნებოდნენ, რომ ხალხს ის არ სჭირდებოდა, ხალხს მისი არ სჯეროდა და ესპანეთის ნაკრებს უფსკრულისკენ მიაქანებდა. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდზე აღარაფერს ვამბობთ. ლანძღვის კაკაფონიამ პიკს მიაღწია. რა თქმა უნდა, ძნელი იყო ამასთან შეგუება, მაგრამ არაგონესს ყველაზე მეტად საზოგადოებაში გამეფებული ეჭვი ტკენდა გულს. მოხუცი ისე გააბრაზეს, რომ ჟურნალისტებთან საუბარზე უარი თქვა. ერთი შეხედვით, ამ გათიშულობის, დაქსაქსულობისა და გაუტანლობის ფონზე გუნდის ჩამოყალიბება შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ არაგონესი ბედს არ შეეგუა, ფარ-ხმალი არ დაყარა და მძიმე ცხოვრება გააგრძელა. საოცრება, მისტიკა და ფანტაზია ისტორიული გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა, თუმცა გამარჯვება თავისით არასოდეს მიიღწევა, ამას დაუღალავი შრომა და რწმენა სჭირდება. პირველ რიგში, ალბათ, მაინც რწმენა იყო საჭირო. სენიორ ლუისმა ირწმუნა მისი და ბიჭების შესაძლებლობების და ესპანეთს დაუვიწყარი ემოცია აჩუქა. კვირას, ესპანეთის ყველა ქალაქს ეღვიძა. საძინებლებში მხოლოდ პატარა ბავშვები, მათი მომვლელები და უგულო ადამიანები იწვნენ. არაგონესი ქვეყნის ეროვნული გმირი გახდა...

### გმადლობ, ესპანეთო, შენ ვერტიკალური ფეხბურთი დაამარცხე

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეს დიდი გამარჯვება თავისით არ მოსულა. ფილოსოფიური აზროვნება ძალიან დიდი ხნის წინ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. შემთხვევით, რა თქმა უნდა, ესპანეთსაც არ მოუგია. როცა ფეხბურთს ყველაზე მეტად უჭირს, როცა ყოველ წამს იმას იმეორებენ, რომ ფეხბურთმა ხიბლი დაკარგა, სწორედ მაშინ გაიმარჯვებს სილამაზე ერთფეროვნებასა და რუტინაზე. წელს ესპანეთის ნაკრებმა ეგრეთ წოდებული ვერტიკალური ფეხბურთი დაამარცხა. ჰოლანდიასაც ამის სურვილი ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთელებს ძალა არ ეყოთ, ლეგენდარულ **ვან ბასტენს** კი გამოცდილება. ესპანეთმა ყველაფერს გაუძლო, უამრავი დაბრკოლება გადალახა და მწვერვალზე ავიდა. ვერტიკალური და კომბინაციური ფეხბურთის დაპირისპირების კლასიკური მაგალითი იტალიისა და ესპანეთის ეროვნული გუნდების შეხვედრა გახლდათ. გულწრფელად ვთქვათ, "სელექსიონს" მეოთხედფინალში საუკეთესო თამაში არ უჩვენებია, მაგრამ კომბინაციურ სქემაზე არაგონესს უარი მაშინაც არ უთქვამს. არადა, ყველაზე მეტად პირენეელებს სწორედ "სკუადრა აძურას" დამარცხება გაუჭირდათ. ვერტიკალურ ფეხბურთს, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ის ძალიან მომაბეზრებელია. სული გეხუთება, როცა მოწინააღმდეგის საჯარიმოში ბოძივით ჩარჭობილ ფორვარდს უყურებ და აცნობიერებ, რომ ამა თუ იმ გუნდის ფანტაზია მხოლოდ საჯარიმოში ვერტიკალური პასების ჩაგდებით შემოიფარგლება, იმ იმედით, რომ ბოძი ახტება და უსახურ თავურ გოლს შეაგდებს. გვერდზე გადაცემა მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ ცენტრფორვარდს დრო მიეცეს, რათა ის წინასწარ დახაზულ კვადრატში შევარდეს და ის ზონა დაიკავოს, რომლის დაკავებაც მას მთავარმა მწვრთნელმა თამაშის დაწყებამდე დღეებითა და კვირებით ადრე ასწავლა. ფეხბურთს არ უყვარს უწესრიგობა. არავინ ამბობს, რომ ტაქტიკასა და სტრატეგიაზე უარი უნდა ვთქვათ, მაგრამ ეს ყველაფერი ფეხბურთელებს შესაძლებლობების გამომჟღავნებაში უნდა ეხმარებოდეს. ფეხბურთი ხომ ცხოვრებასავითაა. რაც მეტია სპონტანურობა, მით უფრო საინტერესოა სიცოცხლე. ესპანეთს სხვა გუნდებისგან სწორედ სპონტანურობა გამოარჩევდა. ამასთან, "სელექსიონი" საოცრად ორგანიზებული გუნდი იყო.



ბედნიერი ფანები

### არაგონესის იდეალური გუნდი

არაგონესმა შეძლო და უკლებლივ ყველა შეგირდი საუცხოოდ მოამზადა. არადა, ბევრ მათგანს ურთულესი და იმედგამაცრუებელი სეზონი ჰქონდა გამოვლილი. მიუხედავად ამისა, ლუისმა შეგირდებს შესაძლებლობების ბოლომდე გამომჟღავნებაში ხელი შეუწყო და გუნდი ფანტასტიკურად შეათამაშა.

უდავოა, რომ ესპანეთმა ისტორიულ წარმატებას კომბინაციური ფეხბურთით მიაღწია. არაგონესმა უარი თქვა ჭიდაობაზე, მაისურების ქაჩვაზე, ფეხბურთისთვის სრულიად უცხო "სხეულების" შესისხლხორცებაზე და ყველაზე რთული გზა აირჩია. კომბინაციური ფეხბურთი ულამაზესი სანახავია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თამაში უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდი დეზორგანიზებულია და მხოლოდ ცალკეული ფეხბურთელები ახერხებენ ლამაზი კომბინაციების გათამაშებას, ისიც ეპიზოდურად. ესპანელთა შემთხვევაში კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. არაგონესმა იმთავითვე უარი თქვა **რაულსა** და **გუტიზე**. ამით მან თითქმის მთელი ესპანეთი დაიპირისპირა. დღევანდელი გადმოსახედიდან კი ნათლად მოჩანს, რომ "სელექსიონს" რაული მართლაც არ სჭირდებოდა. ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ ესპანელებმა ტიტული მოიპოვეს. საქმე ის არის, რომ არაგონესმა უფრო დინამიკური სტილი აირჩია. რაული ხშირ შემთხვევაში კართან ზურგშექცევით თამაშობს, ეს კი იმ მსოფლმხედველობას რადიკალურად ეწინააღმდეგება, რომლის წყალობითაც "სელექსიონმა" ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ლუისმა რაულისთვის ადგილი ვერ გამონახა, რადგან მან **ჩავის, ინიესტასა** და **ვილიას** მიანიჭა უპირატესობა. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს ბიჭები სწორედ კარისკენ იყურებიან და შეტევას დინამიკას, სისწრაფესა და სიმწვავეს მატებენ. ჩვენი მხირდან რაულის დაწუნება სისულელე იქნებოდა, მაგრამ დასამალი არ არის, რომ ესპანეთს ვილიას დრიბლინგები და სისწრაფე უფრო გამოადგა. გამართლებული აღმოჩნდა, საუცხოო ფორმაში მყოფი გუტის მადრიდში დატოვებაც.



კასილიასი ესპანეთის მეფე ხუან კარლოსმა ჩაიხუტა

ხოსე მარია გენიალური ნახევარმცველია, მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ჩავისა და ინიესტას ტანდემი უფრო პროდუქტიული გამოდგა. ამ ბიჭებს თვალდახუჭული ესმით ერთმანეთის. რამდენიმე მოკლე პასით, მათ ნებისმიერი გუნდის ნახევარდაცვის გადალახვა და ფორვარდის საგოლე პოზიციაზე გაყვანა შეუძლიათ. გუტი კი ოდნავ სხვა ყაიდის მოთამაშეა და ჩავისთან, ან ინიესტასთან შესათამაშებლად ბევრი დრო დასჭირდებოდა.

ცალკე საუბრის თემაა **მარკოს სენას** თამაში. ნატურალიზებულმა ესპანელმა ფაქტობრივად არავინ არ გაახარა. ოთაბრძოლების 90-95 პროცენტი მისი გამარჯვებით სრულდებოდა. სენას ღირსება მხოლოდ მონინაალმდეგის შეტევების ჩაშლა არ გახლდათ, ის თავად იწყებდა სახიფათო იერიშებს. ამ ჩემპიონატზე სენა საოცრად ჰგავდა იმ **კლოდ მაკელელეს**, რომელიც "რეალის" ერთ-ერთი ბურჯი იყო. ნახევარდაცვის მეოთხე იმედი **დავიდ სილვა** იყო. ამპლუით ის განაპირა ნახევარმცველია, მაგრამ შესაძლებლობისთანავე ცენტრში შემოდიოდა და ტექნიკური ილეთებით მეტოქის საჯარიმოსთან დაძაბულობას ქმნიდა. სწორედ ნახევარდაცვა მიგვაჩნია დიდი ესპანური საოცრების სულისჩამდგმელად. შუახაზის ფეხბურთელებს გასაოცარი თავდაჯერებულობით ამოჰქონდათ ბურთი. საგულისხმოა, რომ ამ რგოლში არც ერთი ისეთი ფეხბურთელი არ ყოფილა, რომელიც ბურთის ტარებისას თავს დაბლა ხრის. ყველა წინ იყურებოდა და ბურთს ფეხში გრძნობდა. ამით ისინი ერთ ჯადოსნურ წამს იგებდნენ და შეტევებს უდიდეს სიმწვავეს სძენდნენ. ესპანელებს ყოველთვის იქ მიჰქონდათ ბურთი, სადაც ნაკლები სიმჭიდროვე იყო. ცხადია, არც ეს ხდებოდა შემთხვევით.

დაცვა ქების მეტს არაფერს იმსახურებს, **პუიოლის, მარჩენას, კაპდევილასა** და **რამოსის** ოთხეულმა ფენომენალური სამუშაო შეასრულა. ესპანელი მცველები პოზიციურ შეცდომებს, ფაქტობრივად, არ უშვებდნენ. რა თქმა უნდა, ტექნიკურ წუნს ვერც ისინი გაექცნენ, მაგრამ პოზიციის სწორად შერჩევის წყალობით, **იკერ კასილიასს** მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე მოუხდა ოსტატობის დემონსტრირება. კასილიასზე ალარაფერს ვამბობთ, ის კასილიასია და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მოკლედ, ესპანეთმა სილამაზე და მრავალფეროვანი ფეხბურთი გვაჩუქა. ყველაფერი მართლაც საათივით იყო აწყობილი, სენა მცველების მიერ გადმოგდებულ ბურთებს ეუფლებოდა და სწრაფი პასით შეტევებს იწყებდა, ჩავი და ინიესტა თამაშს შლიდნენ, სერხიო რამოსი წინ წასვლას არ იზარებდა და უკან დაბრუნებასაც არ აგვიანებდა, კაპდევილა შეტევებში შედარებით ნაკლებად მონაწილეობდა, მაგრამ მარცხენა ფლანგზე ესპანეთს სწრაფი და ტექნიკური დავიდ სილვა ჰყავდა. ისევ და ისევ მოკლე პასებით, ტექნიკითა და დრიბლინგით ესპანეთი თამაშის მოწინაალმდეგის მოედანზე გადატანას ახერხებდა და ამით საკუთარ კარს ხიფათს არიდებდა. **ფერნანდო ტორესი** მეტოქეებს მოსვენებას არ აძლევდა. მან მხოლოდ ორი ბურთი შეაგდო, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის ფასი განუსაზღვრელია. "სელექსიონი" დავიდ ვილიას ტრავმამაც ვერ გატეხა. **ფაბრეგასი** შუახაზისა და ტორესის კიდევ ერთი დამაკავშირებელი ფეხბურთელი აღმოჩნდა. არაგონესი, შეცვლების დროსაც არ ცდებოდა. ერთი შეხედვით, ფინალში ტორესის გამოცვლა შეცდომა იყო, ხომ შეიძლებოდა გერმანელებს გოლი გაეტანათ და ესპანეთს კიდევ ერთი გოლი დასჭირვებოდა? მაგრამ ლუისი **დანი გუისას** უსიტყვოდ ენდობოდა. შესაძლოა, ბევრი შეგვეკამათოს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ პრიმერა დივიზიონის დასვენებულ ბომბარდირს დაღლილ **"ელ ნინიოზე"** მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია.

თამაშის მაღალ ორგანიზებულობაზე ვისაუბრეთ, ნახევარდაცვის პლუსებს ხაზი გავუსვით, დაცვის საიმედოობა გავიხსენეთ, შეტევის ეფექტურობა კომენტარს არ საჭიროებს. დავიდ ვილია ისე გახდა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი, რომ ექვსი მატჩიდან ორი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ესპანეთს ფანტაზია რომ არ აკლდა, უკვე შევთანხმდით სანახაობრივი თვალსაზრისით, მათ ვერავინ შეედრება. აქვე ისიც აღვნიშნეთ, რომ არაგონესი სწორ შეცვლებს აკეთებდა... ამ ყველაფრის შემდეგ მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, ესპანეთი იდეალური გუნდი იყო...

"ბარსელონის" ნახევარმცველი **ჩავი ერნანდესი** კი, ალბათ, ორმაგად ბედნიერია. უეფას ტექნიკურმა კომიტეტმა ის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა. ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ორგანოს მაღალჩინოსნებმა ეს გადაწყვეტილება მარტივად ახსნეს, ჩავი ესპანეთის ნაკრების თამაშის რიტმს განსაზღვრავდა და გუნდის წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანაო.

*"ეს წოდება ჩემთვის უდიდესი პატივია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ესპანეთის ნაკრებიდან არავის გამოყოფა არ შეიძლება. ჩვენ ყველა ერთ საქმეს ვემსახურებოდით და ამ წოდებას ყველა ერთნაირად ვიმსახურებთ. დიდი მადლობა უეფას, რომ ასე დამაფასა"* - თქვა ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშემ.

## სიკვდილი საჩემპიონო ფიესტაზე

კვირას ესპანეთს მართლა არ ეძინა. საზოგადოებრივი არხი საგანგებო რეჟიმში მუშაობდა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან პირდაპირი ჩართვებით გადიოდა ეთერში. ძნელია იმ ემოციების სიტყვიერად გადმოცემა, ხალხი ეიფორიაში იყო, ინჩასები მღეროდნენ და ცეკვავდნენ. სამწუხაროდ, ესპანურ ფიესტას უსიამოვნო ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. სადღესასწაულო საღამოს, მადრიდის საავადმყოფოებში 26 ადამიანი მოათავსეს. მათ სხვადასხვა სახის პრობლემა აწუხებდათ. ზოგი ჭყლეტვის გამო გახდა შეუძლოდ, ზოგი, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაჭრეს, ზოგს კი პოლიციელების ხელკეტების გამო დასჭირდა ექიმების დახმარება. ერთი გულშემატკივარი ახლაც კრიტიკულ მდგომარეობაშია. მას თავის ქალა რამდენიმე ადგილზე აქვს გატეხილი. მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია. ექიმები ვარაუდობენ, რომ მას ბლაგვი საგანი აქვს თავში ჩარტყმული.

საერთო სახალხო დღესასწაულზე მადრიდის ქუჩებში ასოციალური ნაძირლებიც გამოვიდნენ. მათ ხალხმრავლობით ისარგებლეს და მარადიორობა დაიწყეს. ახალგაზრდების რამდენიმე ჯგუფი მადრიდის პრესტიჟულ მაღაზიებს შეესია და ძვირფასი ნივთების გატანა დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა, დედაქალაქის ქუჩებში სპეციალური დანიშნულების რაზმები გაეყვანა. სამართალდამცველებმა შესაშური პროფესიონალიზმი გამოამჟღავნეს. მთლიანობაში პოლიციელებმა 52 ექსტრემისტი დააკავეს. ნაწილს ხულიგნობაში ედება ბრალი, ნაწილს კი ძარცვაში.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს; კვირას ერთი ადამიანი დაიღუპა. ისევ და ისევ მადრიდში, კერძოდ ალკალას მოედანზე 40 წლის მამაკაცი მოწყვეტით დაეცა, თავი მარმარილოს ფილას დაარტყა და ადგილზე გარდაიცვალა.

## მილიონი ადამიანი და კასილიასის დაუვიწყარი სიტყვა:

## მიყვარხარ, ესპანეთო!

ეს ისტორია სამწუხარო თემაზე საუბრით რომ არ დავასრულოთ, გეტყვით, რომ სამშობლოში დაბრუნებულ ესპანეთის ნაკრებს ბარახას აეროპორტში 100 ათასი ადამიანი დახვდა, ბევრად მეტი მივიდოდა, მაგრამ იქ ფიზიკურად ვერ დაეტეოდნენ. გულშემატკივრებს ტრიუმფატორები აეროპორტში დიდ ხანს არ დაუყოვნებიათ. მათ იცოდნენ, რომ მადრიდის ქუჩებში გაცილებით მეტი ადამიანი იყო გამოსული და სხვა გულშემატკივრებს ანგარიში გაუწიეს. "სელექსიონი" საგანგებო ავტობუსში ჩასვეს და სიბელესის მოედნისკენ წაიყვანეს. დედაქალაქის ცენტრში მილიონზე მეტი ქომაგი იყო გამოსული. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ფიესტა რამდენად ვნებიანი და მხიარული იქნებოდა.

ზეიმის ორგანიზატორებმა საგანგებო პოდიუმზე იკერ კასილიასი მიიწვიეს. გუნდის კაპიტანმა დაუვიწყარი სიტყვა წარმოთქვა: *"მიყვარხარ, ესპანეთო! მოგესალმებით, საყვარელო ინჩასებო, თქვენს ძალას ავსტრიაშიც ვგრძნობდით. ჩვენ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ, რამხელა წარმატებას მივაღწიეთ. ახლა ყველა ემოციებით ვართ დახუნძლულები და კიდევ ვერ ვხვდებით, რომ ისტორია შევცვალეთ. გავა დღეები და დავმშვიდდებით. ყველაფერს ცივი გონებით გავაანალიზებთ და აღმოვაჩენთ, რომ გმირები ვართ. ეს უკვე სხვანაირი ემოცია იქნება, ემოცია, რომელიც დაძინების საშუალებას არ მოგვცემს. დიდება ესპანეთს, დიდება სელექსიონს, დიდება ლუისს და დიდება მეფეს!"*

**ილია ნიკოლაიშვილი**




ფერნანდო ტორესი

# დამარცხებულებსაც ასე ხვდებიან...

## ბუნდესნაკრებს ბერლინში 100 ათასი კაცი შეეგება



პოდოლსკი ფანებს მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის

ევროპის ვიცე-ჩემპიონი გერმანიის ნაკრები გუშინ ნაშუადღევს შინ დაბრუნდა. ბრანდენბურგის კარიბჭესთან ბუნდესგუნდს 100 ათასი ფანი დახვდა. ამით, ქომაგებმა საყვარელ ნაკრებს მადლობა გადაუხადეს. რა თქმა უნდა, საფინალო სასტვენის შემდეგ ბევრი სხვაგვარად ფიქრობდა და, ალბათ, გვარიანადაც ილანძღებოდა, მაგრამ ემოციებმა გადაიარა და ფანებმა გააცნობიერეს, რომ ფინალისტობაც არაა პატარა საქმე. თუ ტენდენციას გავყვებით, გერმანიის ნაკრების პროგრესი აშკარაა. ევროპის წინა ჩემპიონატზე, **რუდი ფიოლერის** გუნდი ჯგუფიდანაც ვერ გავიდა. ორი წლის წინათ, შინაურ მუნდიალზე, **იურგენ კლინსმანის** მიერ დამოძღვრილმა კრებულმა ბრინჯაო იკმარა, კვირას კი **იოახიმ ლიოვის** ბიჭებმა ევროპულ ვერცხლს შეავლეს ხელი. ახლა, მზერა უკვე სამხრეთაფრიკული ბატალიებისკენა მიპყრობილი და ეტყობა, ავსტრია/შვეიცარიაში ნაჩვენები შედეგი გერმანელებს იმედს აძლევს...

*"ბუნებრივია, როცა ფინალში გადიხარ და მარცხდები, მეტად გულდასაწყვეტია. უკან გრჩება ამდენი შრომა, წვალება და ბოლოს სხვა იმარჯვებს..."* აცხადებს **მიხაელ ბალაკი** ტელეინტერვიუში.

ლიოვი კი ესპანეთის ნაკრებზე რევანშს ორი წლის შემდეგ გეგმავს: *"ჩვენ დავძლევთ საკვალიფიკაციო ეტაპს და თუ სამხრეთ აფრიკაში ესპანეთს შევხვდით, იქ დავამარცხებთ, იქ ავიღებთ რევანშს".*

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები

## 23 საუკეთესო უეფას ვერსიით


ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია)


იკერ კასილიასი (ესპანეთი)


ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია)


ჟოზე ბოსინგვა (პორტუგალია)


ფილიპ ლამი (გერმანია)


კარლოს მარჩენა (ესპანეთი)


კეპლერ პეპე (პორტუგალია)


კარლეს პუიოლი (ესპანეთი)


იური ჟირკოვი (რუსეთი)


ჰამით ალთინთოფი (თურქეთი)


ლუკა მოდრიჩი (ხორვატია)


მარკოს სენა (ესპანეთი)


ჩავი ერნანდესი (ესპანეთი)


კონსტანტინ ზირიანოვი (რუსეთი)


მიხაელ ბალაკი (გერმანია)


სესკ ფაბრეგასი (ესპანეთი)


ანდრეს ინიესტა (ესპანეთი)


ლუკას პოდოლსკი (გერმანია)


ვესლი სნეიდერი (ჰოლანდია)


ანდრეი არშავინი (რუსეთი)


რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)


ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)


დავიდ ვილია (ესპანეთი)

## ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

უეფას ვერსიით

ჩავი ერნანდესი
ესპანეთი

**დაიბადა:** 25.01.80
**პოზიცია:** ნახევარმცველი
**ნომერი:** 8
**სიმაღლე:** 170
**წონა:** 68 კგ
**კლუბი:** ბარსელონა
**ნაკრებში:** 63 მატჩი
**გოლი:** 7



ლაურეატები ლელოს ვერსიით

# ჩვენი რჩეული ინიესტაა

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი ამ გათამაშების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი იყო. ჯგუფური ეტაპის და მერე უკვე პლეი ოფის მატჩების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა. შესანიშნავი მოედნები, ჩინებული ქომაგობა და, რაც მთავარია, მაღალი კლასის ფეხბურთი - სამი კვირის განმავლობაში ამ სიამოვნებით ვტკბებოდით. თუმცა ყველა ლამაზ ზღაპარს აქვს დასასრული და ევროპის ჩემპიონატიც დასრულდა, დასრულდა ესპანეთის ნაკრების ღირსეული და დამსახურებული გამარჯვებით. ამიტომაც არ იყო მოულოდნელი ის ფაქტი, რომ უეფას ტექნიკური ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ სიმბოლურ ნაკრებში ერთდროულად 9 ესპანელი მოხვდა. აქვე, განვმარტოთ, რომ ბოლოხანს დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ამ ტურნირის დასრულების მერეც 23 ფეხბურთელი დასახელდა. "ლელოს" საკუთარი მოსაზრება გააჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით და ისე, როგორც ჯგუფურ ეტაპზე, ახლაც "მამა-პაპურ", 11-კაციან სიმბოლურ ნაკრებს შემოგთავაზებთ.

ტურნირის საუკეთესო მეკარედ **იკერ კასილიასი** მივიჩნიეთ. ესპანეთის ნაკრების კაპიტანს ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობაზეც უნდა ჰქონოდა პრეტენზია, მაგრამ...

დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ჰამით ალთინთოფი** (თურქეთი) პორტუგალიელ **ბოსინგვას** ვამჯობინეთ. საინტერესოა, რომ ამ ჩემპიონატზე ალთინთოფმა მარჯვენა მცველადაც ითამაშა, მარჯვენა ნახევარმცველადაც და საყრდენადაც.

დაცვის ცენტრში ერთი ადგილი **პეპეს** (პორტუგალია) უნდა დავუჯავშნოთ. ევრო 2008-ზე ნათლად გამოჩნდა, რომ "რეალს" ამ თანამედროვე სტილის მცველში 30 მილიონი ევრო ტყუილად არ გადაუხდია. "ლელოს" სიმბოლურ ნაკრებში, დაცვის ცენტრში პეპეს მეწყვილედ არც **კარლეს პუიოლი** ვარჩიეთ და არც **კარლოს მარჩენა** (ორივე ესპანეთი), არამედ... **ჯორჯო კიელინი!** ჩვენი აზრით, იტალიის ნაკრებიდან ამ ჩემპიონატზე თუ ვინმე იყო გამოსარჩევი, სწორედ კიელინი (**ჯანლუიჯი ბუფონთან** ერთად).

მარცხენა მცველებში საუკეთესოდ **იური ჟირკოვი** ვცანით და ვფიქრობთ, ამაში საკამათო არაფერი უნდა იყოს. რუსეთის ნაკრების მცველმა (თავის კლუბში შემტევი ნახევარმცველის ფუნქცია რომ აქვს) მთელი ჩემპიონატი შთამბეჭდავად ჩაატარა და ვეჭვობთ, რომ კარიერა ისევ ცსკა-ში გააგრძელოს.

ესპანელთა წარმატების ძირითადი მიზეზი ამ ნაკრების, მართლაც, ფანტასტიკური ნახევარმცველების შთამბეჭდავი თამაში იყო. აბა, როგორ შეიძლებოდა **მარკოს სენა** ან **ანდრეს ინიესტა** სიმბოლურში არ შეგვეყვანა? ეგ კი არა, გავკადნიერდებით და მეტსაც ვიტყვით: ჩვენი სუბიექტური აზრით, თუ ვინმეს ეკუთვნოდა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება, ერთ-ერთი ინიესტა უნდა ყოფილიყო... თუმცა, როგორც იცით, უეფას ტექნიკურმა ჯგუფმა სხვაგვარად განსაჯა და საუკეთესო ფეხბურთელად ინიესტას თანაგუნდელი (კლუბშიც და ნაკრებშიც) **ჩავი ერნანდესი** დაასახელა. აი, თითქმის ისე მოხდა, ოთხი წლის წინათ რომ იყო: 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად **თეო ზაგორაკისის** დასახელებას ხომ არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ჩავი ჩვენი რჩეულიცაა, თუმცა მხოლოდ სიმბოლურ ნაკრებში.

სენა და ჩავი ცენტრში გავამწესეთ, ინიესტა მარცხნივ, მარჯვნივ კი **ბასტიან შვაინშტაიგერი**. შვაინშტაიგერი უდავოდ საუკეთესო იყო თავის გუნდში, თუმცა მისი დამაჯერებელი ასპარეზობა საკმარისი არ აღმოჩნდა გერმანიის ნაკრების საბოლოო წარმატებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენს სიმბოლურში ადგილი ვერ მოვუძებნეთ სხვა გამორჩეულ ნახევარმცველებს - **მიხაელ ბალაკს** (გერმანია), **ლუკა მოდრიჩს** (ხორვატია), **არდა თურანს** (თურქეთი), **სესკ ფაბრეგასს** (ესპანეთი), **ვესლი სნეიდერს** (ჰოლანდია)...

თავდასხმაში ერთი ადგილი უკონკურსო იყო - **დავიდ ვილია** ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა! ჩვენს სიმბოლურში მისი მეწყვილის კანდიდატურაც არ უნდა იყოს საკამათო - **ანდრეი არშავინს** ორი მატჩიც ეყო, მსოფლიოს აღიარებული გრანდების ნომერ პირველი სატრანსფერო სამიზნე რომ გამხდარიყო. მოკლედ, შთამბეჭდავი თავდასხმის ხაზი გამოვიდა, თუმცა სხვა, არანაკლებ ჩინებული ფორვარდებიც ვიხილეთ: **ფერნანდო ტორესი** (ესპანეთი), **ლუკას პოდოლსკი** (გერმანია), **ნიჰათ ქავეჩი** (თურქეთი), **რომან პავლიუჩენკო** (რუსეთი)...

... ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ, ყველა მსხვილი საბუქმეიქერო კანტორა თავის მომხმარებელს მრავალფეროვან ფსონებს სთავაზობდა. ჩემპიონობის ფავორიტად, უმეტეს შემთხვევაში, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის ნაკრებს ასახელებდნენ, საუკეთესო ბომბარდირობას, უპირველეს ყოვლისა, ტორესსა და **ლუკა ტონის** უწინასწარმეტყველებდნენ. აი, ვინ უნდა გამხდარიყო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, ამაზე თითქმის არავინ მარჩიელობდა - **კრისტიანო რონალდო** ამ ნომინაციაში უპირველესი ფავორიტი იყო. დანარჩენი კი თავად განსაჯეთ, ვინ და როგორ გაამართლა ფავორიტის სტატუსი...

**გია ტუხაშვილი**

მეკარე: **კასილიასი** (ესპანეთი)

მცველები: **ჰამით ალთინთოფი** (თურქეთი), **პეპე** (პორტუგალია), **კიელინი** (იტალია), **ჟირკოვი** (რუსეთი)

ნახევარმცველები: **შვაინშტაიგერი** (გერმანია), **სენა** (ესპანეთი), **ჩავი** (ესპანეთი), **ინიესტა** (ესპანეთი)

თავდამსხმელები: **არშავინი** (რუსეთი), **ვილია** (ესპანეთი)

## ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

ლელოს ვერსიით

ანდრეს ინიესტა
ესპანეთი

**დაიბადა:** 11.05.84
**პოზიცია:** ნახევარმცველი
**ნომერი:** 6
**სიმაღლე:** 170 სმ
**წონა:** 65 კგ
**კლუბი:** ბარსელონა
**ნაკრებში:** 29 მატჩი
**გოლი:** 4



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA

# იგორი ყოველ სიტყვას ბოლომდე წონის



იგორ კოკოშკოვი

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** გასული სეზონის შემდეგ "დეტროიტ პისტონსიდან" "ფინიქს სანსში" გადავიდა. იგი ახალ გუნდს უკვე შეუერთდა და მთავარი მწვრთნელის **ტერი პორტერისგან** სერიოზული მისიაც დაეკისრა – "ფინიქსი" ლას ვეგასის საზაფხულო კემპზე უნდა გაიყვანოს. ეს ამბავი რომ შევიტყვეთ, დაუყოვნებლივ კემპის გამართვის თარიღები მოვიძიეთ, საინტერესო იყო, საქართველოს ნაკრების შეკრებას ხომ არ ემთხვეოდა. ლას ვეგასის ტურნირი 11-19 ივლისს გაიმართება, ხოლო საქართველოს ნაკრები 25 ივლისს იკრიბება. ასე რომ, იგორ კოკოშკოვი ამერიკიდან საქართველოში ჩამოსვლას თავისუფლად მოასწრებს.

იგი ამჟამად თავიდან-ბოლომდე საქმეებშია ჩართული და ამიტომ იქაური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ნაკრებზე კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ "დეტროიტსა" და "ფინიქსზე" ისაუბრა.

რა შეხედულებების მწვრთნელი ჩამოვა საქართველოში, ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს. ამას ჟურნალისტ **ნიკოლა ოლიჩის** სტატიიდან შევიტყობთ.

*"NBA მსოფლიოს ყველაზე კარგად ორგანიზებული და მომგებიანი ორგანიზაციაა,"* – აცხადებს იგორ კოკოშკოვი, რომელიც პირველი არაამერიკელი NBA-ს მწვრთნელი გახლდათ. სერბი სპეციალისტი ჯერ "კლიპერსმა" მიიწვია, შემდეგ სამი წელიწადი "დეტროიტში" გაატარა, რამდენიმე დღის წინათ კი, "ფინიქსის" სამწვრთნელო შტაბში ჩაირიცხა. იცით, რა არის კოკოშკოვის მთავარი პლუსი? – ამ საკითხზე საინტერესო შენიშვნა გააკეთა მისმა ერთ-ერთმა შეგირდმა 2005 წელს: *"იგორი ყოველ სიტყვას ბოლომდე წონის".*

"დეტროიტ პისტონსი" გასულ სეზონში NBA-ს ნახევარფინალში გავიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მსოფლიოს საუკეთესო ოთხეულში შევიდა, მაგრამ კლუბის ბოსებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ისინი ჩემპიონობას ითხოვდნენ. საინტერესოა, რას ფიქრობს ამ საკითხზე იგორ კოკოშკოვი: *"დეტროიტელებს შესანიშნავი ორგანიზაცია აქვთ, სადაც ყველაფერი წეს-რიგშია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უფროსობა მხოლოდ ჩემპიონობას ითხოვს. აქედან გამომდინარე, ნაგების უფლება არავის აქვს..."*

სერბი სპეციალისტი NBA-ს მსოფლიოს საუკეთესო ლიგად მიიჩნევს და ზოგადად სამწვრთნელო საკითხსაც ეხება: *"15 წლის უკან გენერალური მენეჯერის ფუნქციებს მეტად ცერემონიული დატვირთვა ჰქონდა, ახლა ერთიორად ფუნქციური გახდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით ასაკოვანი მწვრთნელები, რომლებიც ძველი მეთოდებით მუშაობენ, შედეგსაც იღებენ, რადგან მათ დიდი გამოცდილება და ქარიზმა აქვთ.*

*სწორედ გამოცდილი მწვრთნელებისა და კარგი ორგანიზაციის წყალობით, "პისტონსი" დასავლეთის კონფერენციაში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდია.*

*"დეტროიტი" კარგად დაზეთილი მანქანაა. მისი წარმატების საწინდარი გენერალური მენეჯერი ჯო დუმარსია, რომელიც კრიტიკულ სიტუაციებშიც კი არ ჩქარობს და გადაწყვეტილებას დიდი ხნის ფიქრის შემდეგ იღებს. როცა იგი რამეს წყვეტს, ცაში არ დაფრინავს – ორივე ფეხით მიწაზეა. "პისტონსში" იერარქიაა, გუნდის მთავარი პერსონა მთავარი მწვრთნელიც კი არ არის. იგი თავის ადგილასაა, გენერალური მენეჯერი - თავის ადგილას და კალათბურთელები – თავის ადგილას."*

**ჯო დუმარსმა** მთავარ მწვრთნელთან **ფლიპ სონერსთან** გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ NBA კალათბურთელების ლიგაა. ამ მოსაზრებას კოკოშკოვიც ეთანხმება: *"ეს ნორმალურია. NBA სწორედ მოთამაშეების ლიგა უნდა იყოს და არა მწვრთნელების, რადგან პროგრესი კალათბურთელთა ინდივიდუალიზმს მოაქვს. მწვრთნელები, ქომაგები და აგენტები ხომ სწორედ კალათბურთელებზე არიან დამოკიდებულნი. გულშემატკივარი დარბაზში არა მწვრთნელის, არამედ მოთამაშის საყურებლად მიდის."*

ზოგიერთი არაამერიკელი კითხულობს – NBA მსოფლიოს საუკეთესო ლიგაა? საინტერესოა, საიდან მოდის ასეთი შეკითხვა...

*"NBA ოფიციალურად არავის ულიარებია მსოფლიოს უპირველეს ლიგად. ასეთი ტიტული არ არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ყველაზე მომგებიანი ლიგაა. თუნდაც ევროლიგა, შემოსავლიანობის თვალსაზრისით, NBA-სთან ახლოსაც ვერ მივა. ევროპულ კლუბში 20 მილიონი ევრო რომ დააბანდო, უახლოეს მომავალში 40 მილიონს ვერ ამოიღებ, ამერიკაში კი სწორედ ასეა. ამიტომაცაა საუკეთესო კალათბურთელები სათამაშოდ NBA-ში რომ მიდიან. სადღეისოდ საკალათბურთო მონოპოლია სწორედ ამერიკის ხელშია,"* – აცხადებს იგორ კოკოშკოვი.

მართალია, ზოგადად NBA-ს ვერც ერთი ლიგა ვერ გაუტოლდება, მაგრამ ევროპაში არის ზოგიერთი კლუბი, რომელსაც შეუძლია კალათბურთელს იმდენი გადაუხადოს, რამდენსაც ამერიკაში იღებენ, მით უმეტეს, რომ ევრო დოლართან შედარებით მეტად მყარია. ევროპაში მოთამაშე 1.5 მილიონ ევროს რომ მიიღებს, ეს NBA-ში აღებულ 3 მილიონ დოლარს უდრის, ამიტომ ძალიან რთულია ამერიკული ლიგის პრესტიჟის შენარჩუნება. ასეთ პირობებში ამერიკელ კალათბურთელს ევროპაში წასვლას ვერ დაუშლი... ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება გააჩნია იგორ კოკოშკოვს: *"NBA და ევროპული კალათბურთი ერთმანეთისგან ბევრად განსხვავდება. მთავარი განმასხვავებელი სტიმულირებაა – ვფიქრობ, ნებისმიერი კალათბურთელის ოცნება NBA-ში მოხვედრაა, ამიტომ ყველა ცდილობს მინიმალური შანსიც კი გამოიყენოს ნაციონალურ ასოციაციაში სათამაშოდ. ევროპაში კი ის ამერიკელები მიდიან, რომლებიც NBA-ში ვერ ხვდებიან."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელბურთი. ევროთასები

# ევროთასებზე მხოლოდ თბილისი ითამაშებს



ირაკლი კეკელიძე

23 ივლისს, ევროპის ხელბურთის ფედერაცია საკუთარი თასის გათამაშების წილისყრას ჩაატარებს, რომელზეც ბოლო წლებში სისტემატიურად თამაშობს ორი წამყვანი ქართული კლუბი - სტუ-"თელავი" და "თბილისი". თუმცა, წლევანდელი სეზონი გამონაკლისი იქნება, რაკილა სტუ-მ გადაწყვიტა, რომ ევროთასებზე არ ითამაშებს. ამდენად, ევროპაში ქართულ ხელბურთს მხოლოდ "თბილისი" წარმოადგენს.

და თუ რა გახდა იმის მიზეზი, რომ სტუ-მ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი თქვა, ამაზე კლუბის მთავარი მწვრთნელი **ირაკლი კეკელიძე** გვესაუბრება.

- უარი რამდენიმე მიზეზის გამო ვთქვით. ჯერ ერთი, რომ გუნდი ჩამოსაყალიბებელია და ამჟამად საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, ვინ რჩება და ვინ მიდის. ამას გარდა, ევროთასებზე თამაშს სოლიდური ფინანსები[ც] სჭირდება (დაახლოებით 10-15 ათას ევრო თითოეულ ეტაპზე. კ.ხ) და ისე[თ] ჯობია, რომ ეს თანხა ახალი სეზონისთვის გუნდის უკეთ მომზადებას მოვახ[მ]აროთ. ფული თუ იქნება, საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორიო[ო]დე საერთაშორისო მატჩის ჩატარებ[ა] პრობლემა არ არის. მოკლედ, კლუბი[ს] ხელმძღვანელობასთან მოვილაპარაკეთ და ერთხმად გადავწყვიტეთ, რო[მ] წლევანდელი ევროთასები გამოვტო[ვ]ოთ.

**- როგორც შევიტყვეთ, ახალი სეზონიდან თელავი აღარ დაგაფინანსებთ, რადგან საკუთარი გუნდის ჩა[მო]ყალიბება უნდა.**

- ვერაფერს გეტყვით, ამის თაობაზ[ე] ჯერ არაფერი გადაწყვეტილა.

**კობა ხატისაშვილ[ი]**

კრივი. ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი

# ხელცარიელი პლოვდივიდან

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში დასრულდა ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი. სამწუხაროდ, შეჯიბრება ჩვენთვის საკმაოდ წარუმატებელი გამოდგა. შვიდი ქართველი მოკრივედან ყველა პირველ-მეორე შეხვედრებშივე გამოეთიშა ტურნირს და უმედლოდ დავრჩით.

საქართველოს ნაკრები პლოვდივშ[ი] ასეთი შემადგენლობით იმყოფებოდ[ა]: **ლევან კაჟაშვილი** (46 კგ), **ავთანდილ ჭუბაბრია** (48), **სევერიან ჭილაძე** (51), **გიგა ბუკია** (54), **ჯანიკო არსენიძე** (60), **დავით თავაძე** (66), **ივერი ზოიძე** (86).

**კობა ხატისაშვილ[ი]**

ჭიდაობა

# კიდევ სამი მედალი დაუგავპილსიდან

ლატვიის ქალაქ დაუგავპილსში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი კადეტ მოჭიდავეთა შორის. ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და გუნდური პირველობაც არავის დაუთმეს. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა (მწვრთნელი **ვაჟა კრავეიშვილი** )შედეგი შედარებით მოკრძალებულია – ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო. ვერცხლის მედალი მოიპოვა 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე **ქემალ ხარაბაძემ**. ბრინჯაო ირგუნეს: **გიორგი დავითაიამ** (50) და **უშანგი ქიტიაშვილმა** (69).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართველთა ექვსი მედალი მშვიდობის ყულაბაში

ისრაელის ქალაქ ჰაიფაში გაიმართა ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი – „ძიუდო მშვიდობისთვის", რომელშიც ბრწყინვალედ იჭიდავეს ჩვენმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმა და 6 მედალი დაისაკუთრეს. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ **ლაშა შავდათუაშვილი** (55), **კობა ქასოევი** (66) და **შალვ[ა] ნინიძე** (81), ვერცხლის მედლები აიღე[ს] **გოჩა გულბათაშვილმა** (60) და **ამირა[ნ] იანვარაშვილმა** (73), ხოლო ბრინჯა[ოს] წილად ხვდა **ზაზა პირველს** (55).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# არონადან ვალენსიაში



გიორგი შარაბიძე

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მეფარემ **გიორგი შარაბიძემ** კლუბი გამოიცვალა – ტენერიფეს "არონადან" "ვალენსიაში" გადავიდა. ქართველმა კალათბურთელმა ვალენსიელთა ყურადღება მაისში გამართულ ესპანეთის ჭაბუკთა ჩემპიონატში მიიპყრო, რომლის მსვლელობისას 4 მატჩში 50 ქულა ჩააგდო და 23 მოხსნა მიითვალა.

207 სმ. სიმაღლის გიორგი ახალი გუნდის მაისურს მომავალი სეზონიდან მოირგებს. მას "ვალენსიაში" თანატოლი ქართველი **თორნიკე შენგელია** დახვდა, რომელთან ერთად ივლისში 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი აქვს სათამაშო. ეს დუეტი ამჟამად ესპანეთშია და ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის, **მიხეილ კობეშავიძის** თქმით, თბილისში 7 ივლისს ჩამოვა.

ხკ. კელს შევახსენებთ, რომ შარაბიძემ ტენერიფეს "არონაში" ორი სეზონი გაატარა და სათანადო პროგრესის შემდეგ ესპანური გრანდის, "ვალენსიას" ყურადღება მიიპყრო.

"არონა" სპეციფიკური გუნდია. მასში ნიჭიერ ახალგაზრდებს კრებენ, შემდეგ ძლიერი მწვრთნელის ხელში ამუშავებენ და ესპანურ გრანდებში ანაწილებენ. სხვათა შორის, "არონადან" "ბარსელონაში" მიხვდნენ **კოკა ტომარაძე** და **დიმიტრი ფაცაცია**. კოკა ახლაც კატალონიაშია, ხოლო ფაცაცია გასულ სეზონში ამერიკის "არკანზასის" კოლეჯის ღირსებას იცავდა. ზემოთ ნახსენები კალათბურთელების გარდა ტენერიფეს "არონაში" სხვადასხვა დროს თამაშობდნენ **ირაკლი ჯგერენაია, გრიგოლ ხანიაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, გრიგოლ შვანგირაძე...**

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ვტოსპორტი. საქართველოს ჩემპიონატი

# ...იძინაშვილების ...ჯახური ტრიუმფი



რუსთავის რბოლის პოდიუმი. ბიძინაშვილები პირველები არიან

კვირას, რუსთავის ავტოდრომზე ...ული რბოლაში საქართველოს ჩემპი-...ატის, "რომპეტროლი-2008"-ის, მო-...გი ეტაპი გაიმართა. პილოტების ...ტესობა კვლავ "ჰონდა სივიკის" მო-...ლით ასპარეზობდა (**არჩილ ბიძი-...ვილი, ოთარ თავართქილაძე, დათა ...ჯაია, სანდრო ლომაძე, ერიკ მხი-...რიანი**). მათთან ერთად **მამუკა (მევ-...დ) მელაძე** და **არჩილ ჩიქოვანი** ...ტროენ საქსოთი" გამოდიოდნენ.

პროფესიონალებთან ერთად, ჩემპი-...ატში კვლავ განაგრძობენ ასპარე-...ბას "იუნიორები" "სუძუკი სვიფტის" ...ელებით: **დიმიტრი ქობულია, გი-...გი კოდუა, გიგა ბიძინაშვილი** და ...ვით მენთეშაშვილი. იმ დღეს **თორ-...ე ჩარგეიშვილის** დებიუტი შედგა.

სანამ წრიული რბოლის პერიპეტი-...ე მოგითხრობდეთ, შეგახსენებთ, ...მ ამ ასპარეზობას წინ უძღოდა გი-...ტური სავაჭრო ცენტრის, "ბრენდ-...ლის" და ავტოკლუბის ერთობლივი ...ცია, ტესტშეჯიბრება ავტომოყვა-...ლთათვის.

მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულა-...ლია ე.წ. Celebrity Race ანუ ცნობი-... ადამიანების რბოლა, ოსტატობის ...ონსტრირება, მანქანის მართვის ...ნიკა. რაღაც ამის მსგავსი ჩატარდა ...ა დღით. საღამოს წამყვანად მოგ-...ლინა მშვენიერი **თიკა ფაცაცია**. ...ე იასპარეზა შეჯიბრებაში. მონაწი-...ა რეგისტრაციის შემდეგ, რომელ-...შორის იყვნენ **ნინო ლეჟავა, ლალი ...როშკინა** და ბევრი სხვა, მანქანით ...ვენებელი გამოსვლა მოაწყო 11 ...ს **ნოდარ კოდუამ** და ტაშიც კი და-...ახურა. შეჯიბრების არსი:"ბრენდ-...ის" შენობის წინ, პატარა ტერიტო-...ზე, განალაგეს ყუთები. ერთ-ერთ-...წყლით სავსე ჭიქა იდგა. მონაწილეე-... ერთი სადგომიდან უნდა გამოსუ-...ყვნენ, მეორეში შესულიყვნენ, ყუთი ...ა გადაეწიათ თეთრი ხაზის იქით ..., რომ წყალი არ დაღვრილიყო და ...დეგ უკუსვლით უნდა შესულიყვნენ ...ამე სადგომში. ეს ზუსტად და რაც ...ძლება სწრაფად უნდა გაეკეთები-...

...როგორც ორგანიზატორებმა აღ-...ნეს, ამგვარ ერთობლივ აქციებს რე-...ულარული სახე მიეცემა და ხუთი-ექვ-...ტაპის შემდეგ საქართველოს ჩემპი-... გამოვლინდება. მანამდე კი, პირვე-... ეტაპის საერთო ჩათვლის სამეული ... გამოიხატა: 1. **ნოდარ თოფურიძე** - ...4 წმ; 2. **კახა ცეცხლაშვილი** - 34.42 ... 3. **ფატუნა გიორგაძე** - 34.75 წმ. ...ს საერთო ჩათვლაში, გუნდურში კი ...ბატონებმა გაიმარჯვეს. პრიზიო-...ი სამახსოვრო დიპლომებით და ...ვანდელი წლის ჰოროსკოპული ...ოლო-თოჯინით, სიმპათიური ვირ-...ნათი დაჯილდოვნენ.

"ბრენდმოლის" შენობაში სტუმრე-... მოპატიჟებისას ჩემი და ბევრი ...ს ყურადღება მიიპყრო ფორმულა 3-ის ბოლიდმა, რომელიც შემოღობილი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბარიერს იქით გადაბიჯება იკრძალებოდა. თუმცა ვერ მოვითმინე და ჯერ ბორბალზე ჩამოვჯექი, მერე კოკპიტშიც მოვთავსდი, მაგრამ ყველაფერ ამას ბოდიშის მოხდა მოჰყვა. ამ ბოლიდით საქართველოს ჩემპიონატში **სანდრო მირიანაშვილი** ასპარეზობდა. ახლა ის **ზურაბ ბეჟაშვილს** ეკუთვნის.

კვირის ბოლოს, ისევ "ბრენდმოლის", ავტოკლუბის და "ავტომოტივის" ერთობლივი ტესტი-შეჯიბრება უნდა მოეწყოს და ეს იქნება საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი, თუმცა, ვფიქრობ, ამგვარი ასპარეზობის იმ დღეს გამართვა, როცა ფორმულა 1-ის ეტაპია (დიდი ბრიტანეთის გრან პრი) ნამდვილად დაუშვებელია.

ახლა კი დავუბრუნდეთ წრიულ რბოლას რუსთავის ავტოდრომზე. როგორც ხდება ხოლმე, ამჟამადაც მთავარი მოქმედი გმირები იყვნენ ბიძინაშვილი, თავართქილაძე, მელაძე, ლომაძე. ისინი პაექრობდნენ მაღალი საპრიზო ადგილებისთვის, რომლებიც ორი რბოლის ჯამში უნდა განაწილებულიყო. ბიძინაშვილი, ერთი შეხედვით, ფრთხილობდა, რადგან წინა ეტაპზე სახიფათო მართვის გამო მიღებული შენიშვნა არ გააქტიურებულიყო და სანქციებში არ გადაზრდილიყო. თუმცა იმ დღეს არჩილს კონკურენტი არც ერთ რბოლაში არ ჰყავდა. არა, დანარჩენების სიძლიერე ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ყველაფრის მიზეზი ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა იყო.

ბიძინაშვილმა თავიდანვე დიდი მანძილით ჩამოიტოვა მეტოქეები, ორივე რბოლა პირველ ადგილზე დაასრულა და საერთო ჩათვლაში გამარჯვებაც გაინაღდა. მეორე ადგილზე ლადო კუხიანიძე (ჰონდა სივიკი) გავიდა, მესამეზე - მამუკა მელაძე.

"იუნიორებში" 5 მანქანიდან "ცოცხალი" მხოლოდ ორი დარჩა, ამიტომ მეორე რბოლა აღარ გამართულა და გამარჯვება გიგა ბიძინაშვილს დარჩა. მეორე ადგილით ავტოსპორტში დებიუტი აღნიშნა თორნიკე ჩარგეიშვილმა.

როგორც ხედავთ, რუსთავის ავტოდრომზე, მაყურებელი ბიძინაშვილების ოჯახური ტრიუმფის მოწმე გახდა. რბოლებს შორის შესვენებისას გულშემატკივრებს კვლავ შესთავაზეს დრიფტში კონკურსი. კვადროციკლებით და მოტოციკლებით ოსტატობის დემონსტრირებით ხალხი ძალზე გაერთო.

ბოლოს გამოცხადდა, რომ 10 აგვისტოს, ბათუმში, გაიმართება რალი შავი ზღვის თასზე, რომლის ორგანიზატორიც ასევე იქნება "რომპეტროლი". მისმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიონალებს შორის პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ პილოტებს გადაეცემოდათ შესაბამისად 200, 163 და 100 ლ ბენზინი.

**დავით ჩუბინიძე**

რაგბი. შავი ზღვის თასი

# ჯერ ჩვიდმეტწლამდელებში...




დღეს, ფოთში შავი ზღვის ქვეყნების თასის გათამაშება დაიწყება ჩვიდმეტწლამდელ მორაგბეთა შორის. ტურნირი, რომლის გამართვაც თვიდან ბოლომდე საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივაა, პირველად ტარდება და მასში ოთხი გუნდი იასპარეზებს. საქართველოს ნაკრებს მეტოქეობას უკრაინის, რუმინეთისა და დასავლეთი საქართველოს ნაკრები, იგივე "კოლხი რაინდები" გაუწევენ. ეს უკანასკნელი ტურნირზე რუსეთის ნაკრების ნაცვლად დაუშვეს, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლა გაუგებარი მიზეზით ახსნა.

პირველ შეხვედრას საქართველოს ნაკრები, რომელსაც **ბადრი ბოხუა** და **სპირიდონ ლიპარტელიანი** წვრთნიან დღეს უკრაინის ნაკრების წინაამდეგ გამართავს. დასავლეთი საქართველოს ნაკრები კი რუმინელებს დაუპირისპირდებიან. ამ წყვილებში გამარჯვებულები ფინალში თასისთვის ითამაშებენ. დამარცხებულები კი მესამე ადგილისთვის მატჩში შეერკინებიან ერთმანეთს.

საქართველოს რაგბის კავშირს განზრახული აქვს, ტურნირის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდოს და სამომავლოდ შესაძლოა შავი ზღვის ქვეყნების თასის გათამაშებაში უფროსი ასაკის ნაკრებები ან საკლუბო გუნდებიც ჩაერთონ.

**საქართველოს ნაკრები:**

პირველი ხაზი: გიორგი შენგელია(ყოჩები), შმაგი ჯაჯია (აია), ბაჩო კვიჩინაშვილი(უნივერსიტეტი), ზურაბ ერისთავი (აია), მერაბ მატკავა (ფოთი), ნიკა ჟვანია (უნივერსიტეტი).

მეორე ხაზი: კოტე ჟღენტი (უნივერსიტეტი), კოტე მიქაუტაძე (არმაზი), ილია ლობჟანიძე (ყოჩები),

მესამე ხაზი: დავით ლოსაბერიძე (აია), ლევან ჩილაჩავა (უნივერსიტეტი), ლევან თხელიძე(აია), რეზო ჟღენტი(არმაზი), გიორგი ჭყოიძე(ლელო).

№9: ჯიმი ლამბაშიძე (ლელო), რამაზ ჯინაშვილი(უნივერსიტეტი).

№10: ლუკა კვარაცხელია (ყოჩები).

№12-13: აკა ხიპაშვილი (ლელო), გიორგი მარგიანი (აკადემია), ვანო გაბროშვილი (აკადემია).

№11-14: გიორგი ონიანი (აია), ლევან გოგოლაშვილი(აკადემია).

№15: უჩა მჭედლიშვილი (ლელო), ბახვა კობახიძე (ყოჩები).

**ბესიკ ჯანგავაძე**

IRB-ის რეიტინგი

# ბორჯღალოსნები ათეულის სიახლოვეს

დღეიდან საქართველოს ეროვნული ნაკრები რაგბიში IRB-ის ახალი რეიტინგის მიხედვით მსოფლიოში სიძლიერით მეცამეტე გუნდია. ავსტრალიელი მწვრთნელის, **ტიმ ლეინის** ნაკრები აქამდეც პიკზე იყო, რეიტინგში არნახულად მაღალ, მე-14 ადგილზე, დღეს კი ჩვენმა ნაკრებმა ტონგა უკან ჩამოიტოვა და ისტორიაში პირველად მე-13 ადგილზე გადაინაცვლა. „ბორჯღალოსანთა" ამაღლებაში ამჯერად მათი სიჩაუქე არაფერ შუაშია, გასულ კვირას ჩვენი ნაკრები უქმობდა, ჩვენზე წინ მდგომმა ტონგამ ტესტმატჩი წააგო სამოასთან (15:20) და დაახლოებით ერთი სარეიტინგო ქულა დაკარგა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჩვენთვის სასიხარულო ცვლილებისთვის. საქართველოს ნაკრებს კვლავ 69,43 ქულა აქვს, მაგრამ ამჯერად მე-13 ადგილზეა, ტონგას მძლეველი სამოას შემდეგ. თუმცა სამოამდე საკმაოდ შორია – ზღვისრეთელებს 72,35 ქულა აქვთ. ერთიცაა, დაახლოებით იმავეს ვწერდით რამდენიმე თვის წინაც ტონგას შემთხვევაში, მაგრამ საბოლოოდ ძალიან მალე გადავასწარით. მე-14 ადგილზე კანადის ნაკრებია 68,81 ქულით, ტონგამ კი ორი საფეხური დაკარგა და მე-15 ადგილზეა – 68,52 ქულით.

მოწინავე ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა, ავსტრალიის ნაკრებმა არგენტინა მესამე პოზიციიდან ჩამოაგდო. გთავაზობთ მოწინავე ათეულის რეიტინგლისტს და ერთა თასზე მონაწილე ქვეყნების მდგომარეობას:

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| IRB რეიტინგი | |
|---|---|
| 1. სამხრეთ აფრიკა | 90,81 |
| 2. ახალი ზელანდია | 89,79 |
| 3. ავსტრალია | 84,56 |
| 4. არგენტინა | 83,42 |
| 5. ინგლისი | 83,10 |
| 6. უელსი | 80,12 |
| 7. საფრანგეთი | 79,24 |
| 8. ირლანდია | 77,18 |
| 9. შოტლანდია | 76,92 |
| 10. ფიჯი | 76,77 |
| .. 13. საქართველო | 69,43 |
| .. 17. რუმინეთი | 67,20 |
| .. 18. რუსეთი | 63,94 |
| .. 21. ესპანეთი | 61,55 |
| .. 22. პორტუგალია | 58,88 |
| .. 25. გერმანია | 57.05. |

ჭიდაობა

# კურტანიძე მეშვიდეს დასჯერდა



რაფაელ მარტინეტი ბაქოში

გუშინ შეგპირდით, რომ ბაქოს „ოქროს დიდ პრიზზე" ქართველ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გამოსვლაზე დაწვრილებით მოგიყვებოდით, თუმცა მანამდე აზერბაიჯანელთა მუყაითობაზე გვინდა გიამბოთ. შარშან თავად გახლდით ბაქოში ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატზე და, მინდა გითხრათ, რომ ამ ქვეყანაში ჭიდაობას ძალზე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. სპორტის ეს სახეობა პრეზიდენტის პატრონაჟით ვითარდება, ბიზნესმენებიც არ იშურებენ თანხებს აზერბაიჯანში ჭიდაობის უფრო წინ წამოსაწევად . შედეგიც ხილულია, წლეულს „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირს თავად FILA-ს პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი** დაესწრო. გუშინ ბაქოში გაფორმდა ხელშეკრულება FILA-ს და აზერბაიჯანულ კონსორციუმს, „ატაჰოლდინგს" შორის, რომელიც 2012 წლის დეკემბრამდეა ძალაში. ბაქო „ოქროს დიდი პრიზის" ფინალს კიდევ ოთხი წელიწადი უმასპინძლებს. წლევანდელი ტურნირის საპრიზო ფონდი კი 300 ათასი დოლარი იყო.

ქართველი „თავისუფლები" ახალგაზრდული შემადგენლობით წავიდნენ „ოქროს დიდ პრიზზე", გამონაკლისი მხოლოდ **ლუკა კურტანიძე** იყო. ბაქოში სულ რვა ქართველმა ფალავანმა იჭიდავა და ორი შინისკენ მედლით მკერდდამშვენებული წამოვიდა. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა 22 წლის **ნიკოლოზ გაგნიძემ**, ხოლო 120 კილოში **ლაზარე მარსაგიშვილს** წილად ბრინჯაო ხვდა. ლუკა კურტანიძემ კი, სამწუხაროდ, ვერ იყოჩაღა – მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

60 კილო წონით კატეგორიაში **მალხაზ ზარქუამ** მეექვსე ადგილი დაიკავა 12 მონაწილეს შორის. 66 კილოში პირველ წრეში აზერბაიჯანელ **ჟაბრალი ჰასანოვთან** ორ პერიოდში დამარცხდა **ზურაბ კოტორაშვილი** – 0:1, 1:1. **გიორგი ბალიაშვილმა** კი აზერბაიჯანელ **ნამიკ ჰეიბეტოვს** მოუგო – 3:0, 3:0. თუმცა გიორგი მეორე წრეში უკრაინელ ფავორიტ **ანდრეი სტადნიკთან** ვერას გახდა – 1:6, 1:3. ბალიაშვილმა შემდეგში რეპეშაჟშიც წააგო. საბოლოოდ მან მე-7 ადგილი ირგუნა, კოტორაშვილი კი მე-14 ადგილს დასჯერდა.

74 კგ. წონით კატეგორიაში **იაკობ მაკარაშვილი** უმალვე დამარცხდა მასპინძელ **აგილ გულიევთან** – 0:2, 0:1. ქართველი 11 კაცში მე-10 ადგილზე გავიდა.

ნიკოლოზ გაგნიძემ (84) ვერცხლის მედლისკენ გზა ასე გაიარა: პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში აზერბაიჯანელ **ილჰამ აბიდოვს** მოუგო – 3:1, 3:0, ნახევარფინალში კი კიდევ ერთი მასპინძელი **ჰაცი ალიკანოვიც** დაამარცხა – 2:0, 0:1, 1:1. ფინალში ჩვენი ფალავანი ირანელ **რეზა იაზდანის** დაეჭიდა, ირანელმა თითო პერიოდში თითო ქულა იმყოფინა „ოქროს დიდი პრიზის" დასაუფლებლად.

96 კილოში **დაჩი ქერაშვილს** ერთი ორთაბრძოლა ამყოფინეს, ის ირანელ **აბაზარ ესლამისთან** დამარცხდა – 1:5, 2:2. შემდეგ ირანელმაც წააგო და ქართველი წონაში ბოლოსწინა, მე-7 ადგილზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# გენმა გაიმარჯვა!



ალექსანდრე მეტრეველი

ყველაზე დიდი ჩოგბურთელი ქართველებს ალექსანდრე მეტრეველი გვყავდა. მის რეგალიებს არ ჩამოვთვლით, მაგრამ მსოფლიოში იმ დროს თუ ვინმე იქნევდა ჩოგანს რიგიანად, ერთ-ერთი ქართველი მეტრეველიც გახლდათ და მისი ძალა და სახელი დღემდე ახსოვს ყველას. საბჭოთა სივრცეში ხომ თანასწორი არავინ ჰყავდა აღიარებულ ლიდერს. ცნობილი სენტენციაა, - მამის გენები შვილებზე ისვენებენო. ამ ნათქვამში იმას გულისხმობენ, რომ შვილები, თუკი მამის პროფესიას აირჩევენ, ისეთივე წარმატებულები ველარ ხდებიან. ცხადია, გამონაკლისი ყველა სფეროშია, მაგრამ ძირითადად, მართლაც მართლდება ზემოთქმული. ალექსანდრე მეტრეველის შემთხვევაშიც ასე იყო: მისმა ვაჟიშვილებმა ჩოგბურთი კი შეიყვარეს და პროფესიულადაც მიუდგნენ საქმეს, მაგრამ მამის დონის სპორტსმენი არც ერთი მათგანისგან არ გამოვიდა. თუმცა შესაძლოა, ეს „წყვეტა" შვილიშვილმა - ალექსანდრე მეტრეველმა შეავსოს და დიდი ბაბუის ტრადიციაც გააგრძელოს, არც ის არის გამორიცხული, რომ პატარამ დიდ ალექსანდრეს აჯობოს კიდეც... ამის წინაპირობა ნამდვილად შეიმჩნევა: სანდრო (ძირითადად ასე მიმართავენ მას) მეტრეველმა პირველად კარიერაში ზედიზედ ორჯერ მოიგო საერთაშორისო ტურნირი 16-წლამდე ჩოგბურთელთა შორის: ერთი კვირის წინათ „ავსტრიის ავიახაზებზე" იმარჯვა, გასულ უქმეებზე კი „რენასა და დათოს" თასის გათამაშებაში იპირველა; ამასაც არ დასჯერდა და წყვილთა შორისაც პირველი ადგილი დაიჭირა, ამ საქმეში მას რუსი ნიკიტა კუშნარიოვი შეეხიდა.

სანდრო უკვე წელიწადია, რაც რუსეთში, ქალაქ ტოლიატიში ცხოვრობს და ვარჯიშობს. ამ ქალაქში დიდი ალექსანდრე მეტრეველის სახელობის ჩოგბურთის აკადემია დაარსდა და ალექსანდრეც ამ აკადემიის მოსწავლეა.

**- სანდრო, გილოცავ წარმატებებს. ყველას აზრით, შენი პროგრესი გასაოცარია. რის ხარჯზე მიაღწიე ასეთ ზრდას?**

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ერთი წელია, რაც ტოლიატიში ვვარჯიშობ. იქ ძალიან კარგი საჩოგბურთო სკოლა გაიხსნა. აშკარად მომიხდა იქაური ვარჯიშები და შედეგიც ამიტომ მოვიდა. თუმცა ყველაფრის თავი და თავი მაინც მამაჩემია, ის გახლავთ ჩემი მწვრთნელი და თუკი რამ გავაუმჯობესე საჩოგბურთო თვალსაზრისით, მამის დამსახურებაა.

**- კონკრეტულად, თამაშის რა კომპონენტს ხვეწდით?**

- ბევრს ვვარჯიშობდი უკანა ხაზიდან თამაშის გაუმჯობესებაზე, ჰაერიდან დარტყმებზე, ჩაწოდებებზე. ამან შედეგი გამოიღო და ახლა თავს უფრო თვითდაჯერებულად ვგრძნობ.

**- ორ კვირაში ორ ტურნირში იმარჯვე; ერთიც წყვილები მოიგე. არ დაიღალე?**

- ტოლიატიში, გარდა იმისა, რომ საჩოგბურთო კომპონენტებში ვვარჯიშობ, საერთო ფიზიკურ მომზადებასაც გავდივარ. ამისთვის რამდენიმე მწვრთნელი მყავს. დაღლით არ დავღლილვარ და ეს, ცხადია, ჩემი მწვრთნელების დამსახურებაა.

**- როგორც ჩანს, იქაური პირობები ძალიან მოგწონს...**

- რა თქმა უდა, თბილისურ პირობებს ვერც შევადარებ.

**- მწვრთნელად მამა კი გყავს, მაგრამ ალბათ, ცოდნას ბაბუაც გიზიარებს...**

- სამწუხაროდ, ბაბუა ტოლიატიში იშვიათად ჩამოდის - წელიწადში სამჯერ თუ ჩამოვა და ისიც - ერთი კვირით. რალაც შენიშვნებს კი მაძლევს, მაგრამ ჩემს ჩოგბურთელად ჩამოყალიბებაში მაინც უდიდესი წვლილი მამას უკავია.

**- რახან რუსეთში ვარჯიშობ, ალბათ, სკოლაშიც იქ დადიხარ.**

- არა, თბილისის გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში ვსწავლობ დღემდე. საბედნიეროდ, სკოლის ხელმძღვანელობა ანგარიშს მიწევს, ხელს მიწყობს და როცა დრო გამომიჩნდება, მაშინ ვაბარებ ტესტებსა და გამოცდებს. სხვათა შორის, ახლა სწორედ ტესტების დრო იყო და ეს პრობლემაც წარმატებით დავძლიე.

**- მიღწეულზე რომ არ გაჩერდები, ფაქტია. უახლესი გეგმები როგორი გაქვს?**

- ორშაბათს (ინტერვიუ გასულ შაბათს არის ჩაწერილი) ერევანში მივდივარ, სადაც ორი საერთაშორისო ტურნირია, იქაც 16-წლამდელთა შორის ვიასპარეზებ. ერევნის შემდეგ კი ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატზე გავემგზავრები. ეს ტურნირი სტარტს 20 ივლისს, მოსკოვში აიღებს. იმედი მაქვს, რომ აღნიშნულ ტურნირებშიც კარგ შედეგს ვაჩვენებ.

ზვიად შათირიშვილი

# ჩახნაშვილს მოგება აშორებს



მაკა ჩახნაშვილი

ერთი მოგებაც და საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (179) შესძლებს იტალიის ქალაქ კუნეოს ტურნირის, „ბანკა რეგიონალე ევროპეას" ძირითად ბადეში გასვლას. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია. მე-2 ნომრად განთესილმა მაკა ჩახნაშვილმა მეორე საკვალიფიკაციო წრეში სლოვენიელი **ტინა ობრესი** (607) ორ სეტში დაამარცხა – 6:3, 6:3. ეს შეხვედრა მერვე კორტზე გაიმართა და საათნახევარს გაგრძელდა. დღეს მაკა საკვალიფიკაციო ბადეში მე-8 ნომრად განთესილ სერბს, **ტეოდორა მირჩიჩს** ხვდება, ამ მატჩის გამარჯვებული „ბანკა რეგიონალე ევროპეას" ძირითად ბადეშია.

ნაკლებად წარმატებული გამოდგა ჩვენებისთვის ბოსტონის (აშშ) საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიაკციო ბადე. 21 წლის **სალომე დევიძემ** (528), რომელიც ხვალ ხდება 22 წლის, პირველ წრეში ჰოლანდიელ **ბო ვერჰულსდონკთან** (589) წააგო – 6:7 (5), 3:6. ხოლო „უაილდ ქარდით" მიწვეულმა **სოფიო მელიქიშვილმა** (995) ბრძოლა ამერიკელ **ტაია როლთან** (773) დათმო – 3:6, 1:6. ამ ტურნირში ძირითადი ბადიდან ჩაებმება 18 წლის **ანა ტატიშვილი**.

სირიის დედაქალაქ დამასკოში 10 ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში 17 წლის **მარიამ კუპრეიშვილი** უკრაინელ **პოლინა კონოპს** შეხვდება. კონოპი ქართველზე ორი წლით უმცროსია. ორივე ჩოგბურთელი ურეიტინგოა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# სამი ქართველი ჩელენჯერზე



ირაკლი ლაბაძე

ასეთი რამ დამოუკიდებელი ქართული ჩოგბურთის ისტორიას არ ახსოვს - კვირის ATP-ის „ჩელენჯერის" სერიის ტურნირებში სამმა ქართველმა ვაჟმა შეაბიჯა. ტურინში მეშვიდედ იმართება- „ცირკოლო დელა სტამპა", რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია, იტალიაში **ირაკლი ლაბაძეს** ვიხილავთ. დუბლინში სტარტი აიღო „შელბურნ აირიშ ოფენმა" საპრიზო ფონდით 75 ათასი ამერიკული დოლარი, სადაც **ლაზარე კუხალაშვილმა** იასპარეზა, ხოლო ამერიკულ ვინეტკაში „ნილსენ ჩემპიონშიპი" იწყება, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ვინეტკაში **მიხეილ ჩადუნელი** ვიხილეთ. საოცარია, რომ სამივე ჩვენებური ურეიტინგო ჩოგბურთელია.

27 წლის ლაბაძე ტრავმამდელი რეიტინგით სარგებლობს რამდენიმე ტურნირზე. მხოლოდ ამის წყალობით მოხვდა ტურინის ტურნირის ძირითად ბადეში მსოფლიოს ყოფილი 42-ე ჩოგანი. უიმბლდონზე წარუმატებელი ცდის მერე ირაკლი დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას იტალიური ტურნირიდან შეეცდება. პირველ წრეში ლაბაძის მეტოქე 26 წლის პოლონური წარმოშობის არგენტინელი **ხუან პაბლო ბუეზიცკია**. ბუეზიცკი აქამდე წყვილთა თანრიგის სპეციალისტად ითვლებოდა, მაგრამ მან ერთეულებში ისე მოუმატა, რომ წლის დასაწყისში მსოფლიოს საუკეთესო ასეულშიც შევიდა, დღეისთვის არგენტინელი მსოფლიოს 189-ე ჩოგანია.

დუბლინის ტურნირამდე 17 წლის ლაზარე კუხალაშვილისთვის მიღწევა უფრო დაბალი კატეგორიის, „ფიუჩერსის" სერიის ტურნირში თამაში იყო, „ჩელენჯერზე" კი ის პირველად მიიწვიეს, რა თქმა უნდა, საკვალიფიკაციო ბადეში. 75-ათასიანი ტურნირის პირველ საკვალიფიკაციო წრეში ლაზარე 23 წლის რუმინელ **იოან-ალექსანდრუ კოჟანუს** შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა – 6:7 (7), 4:6. თუმცა ამ ეტაპზე, ლაზარესთვის ირლანდიის ლია პირველობაზე თამაშიც კარგია.

ჩვენთვის ყველაზე მოულოდნელი კორტებზე 28 წლის მიხეილ ჩადუნელის გამოჩენა იყო, რომელსაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი მატჩი აქვს გამართული, ისიც „ფიუჩერსის" სერიის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში. ვინეტკაში პირველ საკვალიფიკაციო წრეში ჩადუნელი მე-7 ნომრად განთესილ კორეელს, **აე-სუნ ანს** ეთამაშება.

17 წლის **სერგი სიხარულიძე** სტამბოლში, „ფიუჩერსის" სერიის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში იყო, სადაც მას „უაილდ ქარდი" მისცეს. ჩვენებურმა პირველ წრეში თურქი **ნური თარიმი** დაამარცხა – 7:5, 6:4, მაგრამ ძირითად ბადეში ვერ გავიდა, რადგან მეორე წრეში თავად დამარცხდა თურქ **სერკან დილეკთან** – 3:6, 4:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

# ელიტაში ისევ ორი ლევანია

გუშინ, ტოკიოში სუმოს ახალი რეიტინგ-ლისტი (იაპონელთა ენაზე – ბანძუკე) გამოქვეყნდა. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტმა **ლევან გორგაძემ** (რომლის საბრძოლო სახელია **ტოჩინოშინი**) პირველი ტურნირი უარყოფითი ბალანსით დაასრულა, ის მეორე დივიზიონში არ დააქვეითეს. შეგახსენებთ, რომ მაისის ბაშოზე ელიტის ორმა ქართველმა ცუდად იჭიდავა, განსაკუთრებით ეს კომუსუბის ტიტულის ყოფილ მფლობელ **ლევან ცაგურიას (კოკაის)** ეხება, რომელმაც 15-დან მხოლოდ 3 ორთაბრძოლა მოიგო. არადა, კოკაი ნახევარ ნაბიჯში იყო კომუსუბის ტიტულის დაბრუნებამდე. ახალმა რეიტინგმა კოკაი აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირობიდან დასავლეთის მეათე ნომრობამდე გადაისროლა. ახალი რეიტინგის მიხედვით, ამდენი ელიტაში არავის დაუკარგავს. სამაგიეროდ, პრაქტიკულად არაფერი დაკარგა ტოჩინოშინმა, ჩვენებური აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირა იყო და ახლა დასავლეთის ამავე ნომრით იასპარეზებს, რაც რეიტინგში მხოლოდ ნახევარი საფეხურით უკუსვლას ნიშნავს. გავარდნას გადარჩა საქართველოს მესამე წარმომადგენელიც, **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** რანგით მესამე, მაკუშიტას დივიზიონში ჭიდაობს, უარყოფითი ბალანსის გამო მან გვარიანად დაიხია უკან, მაგრამ მაკუშიტადან არ გავარდნილა, ის მაკუშიტას დივიზიონის 54-ე ნომერი იქნება.

კოკაიმ და ტოჩინოშინმა ტრადიციული აწონვის ცერემონიალიც გაიარეს. 27 წლის კოკაი სიმაღლით 189 სანტიმეტრია და 146 კილოს იწონის. ჩვენ გაცილებით მასიური კოკაიც გვახსოვს, ახლანდელზე 20 კილოთი მძიმე. ლევანს სუმოში 297 ორთაბრძოლა აქვს მოგებული (შემდეგ ბაშოზე მესამე მოგება მისთვის საიუბილეო, მე-300 იქნება) და 245 წაგებული. უმაღლეს დივიზიონში კოკაიმ ზუსტად 200 ბრძოლა მოიგო და 205 წააგო. 20 წლის ტოჩინოშინი 191 სანტიმეტრია და 149 კილოს იწონის, ცხოვრებაში პირველად ის კოკაიზე მძიმეა. ტოჩინოშინს პროფესიულ სუმოში 82 მოგება და მხოლოდ 32 მარცხი აქვს, უმაღლეს დივიზიონში კი მისი ბალანსი ჯერ უარყოფითია – 7-8.

ბანძუკეს მნიშვნელოვან ცვლილებათაგან აღვნიშნავთ ორი დიდი ჩემპიონის როქს – იმპერატორის თასის 22-გზის მფლობელი **ასაშორიუ** აღმოსავლეთის იოკოძუნა გახდა, ხოლო მისი თანამემამულე მონღოლი **ჰაკუჰო** – დასავლეთის. ჩემპიონთა კვარტეტის თანაბარ წევრთაგან პირველი ბულგარელი **კოტოოშუ** გახდა, იმპერატორის თასის ამჟამინდელი მფლობელი. ოძეკი **ჩიოტაიკაის** კი უახლოეს ბაშოზე ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოუწევს, უარყოფითი ბალანსი მისთვის დამღუპველი იქნება. სეკივაკის ტიტული შეინარჩუნეს მონღოლმა **ამამ** და **კოტოშოგიკუმ**. მიუხედავად ათი მოგებისა მაისის ბაშოზე იაპონელთა იმედს, **კისენოსატოს** არ მისცეს სეკივაკის ტიტული, ის კვლავ კომუსუბია. კომუსუბის ტიტული დაიბრუნა **ტოიონოშიმამ**. დაბოლოს, ელიტაში დებიუტი ოთხ სუმოისტს ექნება: **კიმურაიამას, კორიუს, მასაცუკასას** და **ჩიოჰაკუჰოს**.

წლის მეოთხე სუპერტურნირი (ბაშო) ნაგოიაში, აიჩია პრეფექტურის გიმნაზიუმში გაიმართება. ის 13 ივლისს დაიწყება და 27-ში დასრულდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კალათბურთი. ევროპული სატრანსფერო ბაზარი

# გრანდები აქტიურობენ



პლანინიჩი (მარჯვნივ) ერთ დროს NBA-ში თამაშობდა

გასული კვირა ევროპულ კალათბურთში რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერით აღინიშნა. ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი, მოსკოვის ცსკა იყო, რომელსაც მომავალი სეზონიდან ახალი გამთამაშებელი ეყოლება.

არმიელთა ხელმძღვანელობას სასწრაფოდ უნდა მოენახა საბერძნეთის "ოლიმპიაკოსში" გადასული ტეო პაპალუკასის შემცვლელი. საუბრობდნენ ლიტველი ვარსკვლავის, **შარუნას იასიკიავიჩუსის** დამატებაზე, მაგრამ "პანათინაიკოსის" მცველის მაღალი სატრანსფერო ღირებულების გამო, ცსკა-მ არჩევანი სხვა კალათბურთელზე შეაჩერა. ეს გახლავთ ხორვატი **ზორან პლანინიჩი**, რომელმაც შარშანდელი სეზონი ესპანეთის "ტაუგრესში" გაატარა.

პლანინიჩი ტექნიკური, უნივერსალური მცველია, რომელსაც სამ პოზიციაზე შეუძლია თამაში, აქვს კარგი პასი და დაყენებული შორეული ტყორცნა. ხორვატი ადრეული ასაკიდან გახდა ევროლიგის ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი ფიგურა. მისი ნიჭი არც ოკეანის გაღმა დარჩენილა შეუმჩნეველი და პლანინიჩმა ორი სეზონი "ნიუ ჯერსი ნეტსში" გაატარა. ცსკა-ს მწვრთნელები დარწმუნებულნი არიან, რომ ზორანის მისვლით, მათი გუნდის თამაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება.

ცნობილი ხდება, რომ არმიელები მხოლოდ პლანინიჩის ტრანსფერით დაკმაყოფილებას არ აპირებენ. თითქმის გადაწყვეტილია ამ გუნდში სლოვენიის ნაკრების ცენტრის, **ერაზმ ლორბეკის** გადასვლა. საიდუმლოდ რჩება იმ თანხის ოდენობა, რომელიც ცსკა-მ სლოვენიელის ამჟამინდელ კლუბს, "რომას" უნდა გადაუხადოს, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ცსკა-ში ლორბეკის წლიური ხელფასი 900 ათასი ევრო იქნება.

■ ■ ■

ახალი სეზონისთვის დიდი გეგმები აქვს საბერძნეთის "პანათინაიკოსს" და ამ კლუბის ხელმძღვანელობა შემადგენლობის გასაძლიერებლად, თანხებსა და მონდომებას არ იშურებს. ბერძნების პირველი შენაძენი ფორვარდი **ანტონის ფოცისი** გახდა, რომელმაც მოსკოვის "დინამო" დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. კალათბურთელმა გამოიყენა კონტრაქტში არსებული პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მას ევროლიგაში მოთამაშე რომელიმე კლუბში გადასვლის უფლება ჰქონდა. ფოცისმა მშობლიური "პანათინაიკოსი" აირჩია, საიდანაც იწყებდა კიდეც გზას დიდი კალათბურთისკენ. "პაოსთან" გაფორმებული კონტრაქტი სამწლიანია და თითო სეზონში ფოცისი 1.5 მილიონ ევროს მიიღებს.

გარდა ამისა, "პანათინაიკოსმა" ორი წლით გაიფორმა ამერიკელი მცველი **დრიუ ნიკოლასი**. ამ უკანასკნელმა შარშან, სკანდალურად დატოვა "ეფეს პილსენი". თურქებმა კალათბურთელი თებერვალში გარიცხეს გუნდიდან, ვინაიდან ნიკოლასმა უსაფრთხოების მოსაზრებით ბელგრადში, "პარტიზანთან" ევროლიგის მატჩზე გამგზავრება არ ისურვა.

"პანათინაიკოსის" კიდევ ერთი ვარსკვლავური შენაძენი შეიძლება გახდეს ცენტრალური თავდამსხმელი **ლაზაროს პაპადოპულოსი**. ამ კალათბურთელზე უფლებები მადრიდის "რეალს" ეკუთვნის, მაგრამ ესპანელები მზად არიან ბერძნებთან მოლაპარაკებების დასაწყებად და უფრო მეტიც, "სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობამ უკვე კონკრეტული წინადადებითაც მიმართა "პაოს". კერძოდ, "რეალი" პაპადოპულოსში ზემოთ ნახსენებ შარუნას იასიკიავიჩუსს ითხოვს. მადრიდელები მზად არიან, ფულიც დაამატონ ლიტველი ვარსკვლავის ხელში ჩასაგდებად. თუ ეს გარიგება შედგება, "პაოდან" წასვლა მოუწევს ხორვატ ცენტრს, **ანდრია ჟიჟიჩს**, რომლის მიმართ დაინტერესებას გამოთქვამენ "ციბონა" და "მაკაბი".

და კიდევ ერთი. "პანათინაიკოსმა" არგენტინელი **ლუის სკოლას** კონტრაქტის გამოსყიდვის წინადადებით "ჰიუსტონ როკეტსს" მიმართა, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიუღია.

■ ■ ■

არანაკლებ აქტიურია სატრანსფერო ბაზარზე "პანათინაიკოსის" მთავარი მტერი - "ოლიმპიაკოსი". პაპალუკასის ტრანსფერის შესახებ უკვე გითხარით. ამას გარდა, ბერძნებმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს ისრაელის ნაკრების გამთამაშებელ **იოთამ ჰალპერინთან**, რომელიც 2001 წლიდან დღემდე თელ-ავივის "მაკაბიში" თამაშობდა. შარშან ამ გუნდმა ევროლიგის ფინალში გააღწია, თავად ჰალპერინი კი, ტურნირის მეორე სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ბერძნულმა მხარემ, "მაკაბის" კომპენსაციის სახით 650 ათასი ევრო გადაუხადა.

გასაკვირი არ არის, რომ პაპალუკასისა და ჰალპერინის შეძენის შემდეგ, ბერძნულ კლუბში ლიტველი მცველის **არვიდას მაციაუსკასისთვის** არ მოინახა ადგილი. ამ უკანასკნელმა ფეხის ტრავმის გამო, თითქმის მთლიანად გამოტოვა შარშანდელი სეზონი და "ოლის" ხელმძღვანელობა ბოლომდე დარწმუნებული არ არის იმაში, შეძლებს თუ არა არვიდასი სრულად გამოჯანმრთელებას. ახლა, მხარეები იმ საკომპენსაციო თანხის ოდენობაზე მსჯელობენ, რომელიც მაციაუსკასმა მოქმედი კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში უნდა მიიღოს. ხელშეკრულების თანახმად, ლიტველმა "ოლიმპიაკოსში" კიდევ ორი სეზონი უნდა ითამაშოს და ამისთვის ჯამში, 4.4 მილიონი ევრო ეკუთვნის.

სავარაუდოდ, "ოლიმპიაკოსს" დატოვებს ამერიკელი ფორვარდი **კუინტელ ვუდსი**. მიზეზი: მეორე დოპინგტესტითაც დადასტურდა, რომ კალათბურთელი მარიხუანას ეწეოდა. ადრე, ვუდსს არაერთხელ ჰქონდა პრობლემები სამართალდამცავებთან: ნარკოტიკების შენახვასა და მოხმარებისთვის, ძაღლების ბრძოლების ორგანიზებისთვის, ავტომობილის მართვის მოწმობის გარეშე ტარებისთვის... ახლა ამერიკელს დისკვალიფიკაცია ელის, რომლის ვადაც მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სხვათა შორის, "ოლიმპიაკოსი" NBA-ის ფრონტზეც მუშაობდა და მეტად სარფიანი წინადადება შესთავაზა "ნიუ ორლეანის" ფორვარდს - **პრედრაგ სტოიაკოვიჩს**. "ოლი" მზად იყო სერბისთვის, ორწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 20 მილიონი გადაეხადა, მაგრამ პეჟამ უარყო ბერძნების წინადადება და განაცხადა, რომ მისი მომავალი მხოლოდ NBA-ს უკავშირდება.

■ ■ ■

ესპანეთში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი "ტორონტო რეპტორზიდან" გათავისუფლებული **ხორხე გარბახოსას** გარშემო. ამ კალათბურთელის ხელში ჩასაგდებად სამი კლუბი - "რეალი", "ბარსელონა" და "უნიკახა" იბრძვის. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა ხორხეს, სეზონში 2 მილიონი ევრო შესთავაზა.

ამასობაში, "რეალმა" არგენტინელი მცველი **პეპე სანჩესი** გაიფორმა, "ბარსელონას" NBA-დან წამოსული კიდევ ერთი ესპანელი, **ხუან-კარლოს ნავარო** ერგო. "ვალენსიამ" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა "მანრესას" თავდამსხმელ **რაფაელ მარტინესთან**, ხოლო "ხუვენტუდი" "ტაუგრესიდან" ლიტველი ფორვარდის, **სიმას იასაიტისის** გადაბირებას ცდილობს.

**გია თვალაბეიშვილი**



იასიკიავიჩუსი შესაძლოა "რეალში" აღმოჩნდეს

ცურვა. მსოფლიო რეკორდები

# ფელპსი და ჰოფი რეკორდებით ხურდებიან

მძლეოსანთა პარალელურად, ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი ამერიკელ მოცურავეებსაც დაეწყოთ, რომლებიც პეკინის ოლიმპიადის საგზურების მოსაპოვებლად, ერთმანეთს შტატ ნებრასკის ქალაქ ომაჰაში ეჯიბრებიან.

რვადღიანი ტურნირის პირველსავე საღამოს სამ ფინალურ გაცურვაში მსოფლიოს ორი რეკორდი დამყარდა. თავი გამოიჩინეს **მაიკლ ფელპსმა** და **კეიტი ჰოფმა**, რომლებმაც რეკორდები 400 მეტრზე ინდივიდუალურ, შერეულ სტილში გააუმჯობესეს.

რა თქმა უნდა, ომაჰაში ყურადღების ცენტრში ფელპსი იმყოფება, ვინც პეკინში თავისი სახელოვანი თანამემამულის, **მარკ სპიცის** მიღწევის გამეორებას აპირებს, ეს კი ოქროს შვიდი ან მეტი მედლის მოპოვებას ნიშნავს. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ ოლიმპიადაზე სპიცის მიღწევის გამეორების იმედი ჰქონდეს, ფელპსს ჯერ იმ დისციპლინებში საგზურის მოპოვება მართებს, რომლებშიც პეკინში ასპარეზობას გეგმავს.

400 მეტრზე ინდივიდუალურ, შერეული სტილის ფინალში ფელპსს მეტოქეობა მისივე მეგობარმა **რაიან ლოხტემ** გაუწია, ვისაც წინასწარ გაცურვებში საუკეთესო შედეგები ჰქონდა. მაგრამ ფინალში ფელპსის ჯერი დადგა, რომელმაც დისტანცია ოთხ წუთსა და 5.25 წამში გაცურა და ძველ რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, თითქმის წამი მოაკლო.

*"როცა აუზში ვარ, ყველაფერს ვგრძნობ. გარწმუნებთ, რომ არა ლოხტე, რეკორდს ვერ დავამყარებდი. სტარტიდანვე ვგრძნობდი მის სიახლოვეს, რაც მაიძულებდა, უფრო სწრაფი ვყოფილიყავი. ფინიშზე, როცა ტრიბუნის ხმაური გავიგე, მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდა. მოკლედ, ტურნირი მარჯვენა ფეხზე დავიწყე"*, - ნაფინიშევს განაცხადა ფელპსმა.

პირველი რეკორდიდან არ გასულა ბევრი ხანი და ტრიბუნა კვლავ ახმაურდა. ამჯერად ამაში "დამნაშავე" **კეიტი ჰოფი** იყო, რომელმაც იგივე დისტანცია 4 წუთსა და 31.12 წამში გაცურა და 12 000 მაყურებელს ფეხზე კიდევ ერთხელ წამოდგომის საბაბი მისცა.

*"რეკორდზე ადრეც ვოცნებობდი, მაგრამ რაც მეტად მსურდა, მით უფრო არ გამომდიოდა. ახლა კი რეკორდი დავივიწყე და ყურადღება პეკინის საგზურის მოპოვებაზე გადავიტანე. ჰოდა, რეკორდიც დავამყარე. არ დაგიმალავთ და ვიტყვი, რომ მაიკლის შედეგმა ძალა მეც შემმატა. სტარტამდე საკუთარი თავი ფსიქოლოგიურად განვაწყვე და ბოლომდე დავიხარჯე"*, - განაცხადა ჰოფმა, ვინც ათენის ოლიმპიადაზე 15 წლისამ იასპარეზა, მსოფლიოს წინა ორ ჩემპიონატზე კი ოქროს სამ-სამი მედალი მოიპოვა.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა 400 მეტრზე თავისუფალი სტილის ფინალი, სადაც რეკორდი არ დამყარებულა, მაგრამ ფინიში მეტად საინტერესო იყო. საბოლოოდ, პირველი სამეული, რომელმაც პეკინის საგზური მოიპოვა, სულ 0.39 წამმა დააშორა. გამარჯვება კი **ლარსენ იენსენს** დარჩა.

100 მეტრზე ბრასის ნახევარფინალში, რეკორდამდე ცოტა დააკლდა **ბრენდან ჰანსენს**, ვინც დისტანცია 59.24 წამში გაცურა და სულ რაღაც 0.11 წამი დააკლდა თავისივე რეკორდამდე. მეორე მხრივ, მისი შედეგი ამ სეზონში, მსოფლიოში საუკეთესოა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**


ფელპსმა შესარჩევი ოლიმპიური ტურნირი რეკორდით დაიწყო

კრივი. მსუბუქი წონა

# პაკიაო WBC-ს ტიტულს დაეუფლა

ლას ვეგასში, "მანდალაი ბეი სენტერის" საკრივო არენაზე, ფილიპინელმა **მანი პაკიაომ** მეცხრე რაუნდში ნოკაუტი აგემა ამერიკელ **დევიდ დიასს** და მას WBC-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) ვერსიით, მსუბუქი წონის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა.

პაკიაომ (47-3-2, 36 ნოკაუტი) ყველა ასპექტში დაჯაბნა ან უკვე მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი. მისი მარჯვენა ჰუკები და აპერკოტები, ასევე ცაციათი შესრულებული პირდაპირი დარტყმები ხშირად სწვდებოდა მიზანს. ფილიპინელი შეუდარებელი იყო რინგზე მოძრაობაშიც.

ფილიპინელმა ბრძოლა თავიდანვე აგრესიულად დაიწყო. მან სწრაფად მიაგნო ჩემპიონის დაცვაში სუსტ წერტილებს და პირველივე რაუნდიდან შეუდგა მის დაბომბვას. მეორე რაუნდში დიასს (34-2-1, 17 ნოკაუტი) ცხვირი გაუტყდა, მომდევნოში კი პაკიაომ მას მარჯვენა წარბიც გაუხეთქა. რეფერიმ ამერიკელის წარბიდან ძლიერი სისხლდენის გამო, ბრძოლა რამდენჯერმე შეაჩერა.

თუკი ჩემპიონი იშვიათად მაინც ახერხებდა დარტყმას, უმალ უფრო ძლიერ პასუხს ღებულობდა. შეხვედრის შემდეგ, მან დაიჩივლა, არ მეგონა, თუ მანი ასეთი სწრაფი იყოო. პაკიაომ კი გაკვირვება იმის გამო გამოთქვა, რომ რეფერიმ ბრძოლა უფრო ადრე არ შეაჩერა.

მეცხრე რაუნდი რომ დაიწყო, კაცი იფიქრებდა, პაკიაო ჩემპიონს მოკვლას უპირებდა. ფილიპინელი აშკარად გააცოფა იმ ფაქტმა, რომ ამერიკელმა მის შეტევებს ამდენ ხანს გაუძლო. პაკიაოს შეტევამ კულმინაციას მეცხრე რაუნდში მიაღწია, როცა მისი მარჯვენა ჰუკი დიასს სახეში მოხვდა. ჩემპიონი შეტორტმანდა და უმალვე კიდევ ერთი, მომცელავი დარტყმაც მიიღო, რამაც ძირს დასცა. ტკივილებით გატანჯული დიასი ზურგზე დაეცა და მაშინვე რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა – ტექნიკური ნოკაუტით პაკიაოს გამარჯვება დააფიქსირა.

ამგვარად, პაკიაომ მსუბუქ წონში თავისი პირველივე გამოსვლა გამარჯვებით დაასრულა. ის პირველი აზიელი მოკრივეა, ვინც ოთხ სხვადასხვა წონაში შეძლო მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვება. ნაბრძოლევს კი განაცხადა, ამ წონაში თავს კარგად ვგრძნობ და კარიერას აქვე გავაგრძელებო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჩოგბურთი. უიმბლდონი

# ბურთი და მოედანი უილიამსებს დარჩათ

მას შემდეგ, რაც უიმბლდონის გათამაშებას მესამე წრეში სერბი **ან ივანოვიჩი** გამოეთიშა, ორ ჩოგბურთელს – სერბ **ელენა იანკოვიჩსა** და რუს **სვეტლანა კუზნეცოვას** ქალთა შორის მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსის მოპოვების შანსი გაუჩნდათ. მაგრამ არ გასულა დიდი დრო და ბალახის სლემ-ტურნირი მათაც დაემშვიდობა.

ამგვარად, ტურნირის ქალთა ბადეში, მეოთხედფინალურ ეტაპზე, უმაღლესი განთესვის ნომრის (მეხუთე) მქონე ჩოგბურთელად რუსი **ელენა დემენტიევა** შემორჩა, ვინც უფრო თიხისსაფარიანი კორტების მოთამაშეა და უიმბლდონზე მისი საუკეთესო შედეგი მეოთხედფინალში თამაშია. მეექვსე და მეშვიდე ნომრებით კი ამერიკელი დები, **ვენუს** და **სერენა უილიამსები** თამაშობენ, რომლებსაც ამ ტურნირის ჩემპიონის ვინაობა პირად დაპირისპირებაში ორჯერ ჰყავთ გარკვეული (ორივეჯერ სერენამ მოიგო). დანარჩენებისგან კი, თუ რაიმეა მოსალოდნელი, ალბათ მხოლოდ პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკასგან**, ვისაც უიმბლდონი გოგონათა შორის აქვს მოგებული და ვინც გუშინ ტურნირი კუზნეცოვას დაატოვებინა.

საინტერესო ფაქტი: 1927 წლიდან, რაც უიმბლდონზე განთესვის სისტემა შემოიღეს, პირველად ხდება, რომ მეოთხედფინალს მოწინავე ოთხეული ვერ აღწევს. შეგახსენებთ, რომ ივანოვიჩს და რუს **მარია შარაპოვას** ტურნირი რეიტინგის პირველი ასეულის მიღმა მყოფმა ჩოგბურთელებმა დაატოვებინეს. იანკოვიჩი კი ტაილანდელ **ტამარინ ტანასუგარნთან** დამარცხდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბადეში უმაღლესი ნომრის მქონე ჩოგბურთელს (იანკოვიჩი მეორე ნომერი იყო), თამაშმა მე-18 კორტზე მოუწია.

ეს სად გამიშვეს, კორტამდე რომ მიმეღწია, ლამის ვერტმფრენიც კი დამჭირდა. მგონი, ამ ადგილს ავტომობილების პარკირებისთვისაც იყენებენო, - წაგების შემდეგ ბუზღუნებდა სერბი ჩოგბურთელი, ვისაც კორტზე გასვლამდე, ტრავმირებულ მარცხენა მუხლში გამაყუჩებლის ინექცია დასჭირდა.

რა თქმა უნდა, მისგან განსხვავებულ ხასიათზე იყო ტანასუგარნი, ვინც 31 წლისაა და კარიერაში პირველად შეძლო უიმბლდონის მეოთხედფინალში გასვლა. ის პირველი ტაილანდელი მეჩოგნე, ვინც უიმბლდონის რვა საუკეთესოს შორის გავიდა.

რაც შეეხებათ უილიამსებს, მათ მეოთხე წრეში გამარჯვება არ გასჭირვებიათ. მოქმედმა ჩემპიონმა ვენუსმა ორ სეტში გაასალა რუსი **ალისა კლეიბანოვა**, სერენას კი ასევე ორი სეტი დასჭირდა თანამემამულე **ბეთანი მატეკის** დასამარცხებლად.

სხვათა შორის, კორტებთან დაკავშირებული უკმაყოფილება უილიამსებმაც გამოხატეს. ორივეს გუშინ მეორე კორტზე მოუწია თამაშმა, კორტზე, რომელსაც ხშირად "ჩემპიონთა სასაფლაოდაც" მოიხსენიებენ. თუმცა გუშინ ამ მეტსახელმა არ გაამართლა და საქმე ისე მიდის, ეს კორტი დებს ფინალამდეც კი ვერ შეუშლის ხელს. ჰო, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – უილიამსებს ჯერ ერთი სეტიც კი არავისთვის დაუთმიათ. დაკიდევ, ვენუსმა რომ "ოლ ინგლენდ კლაბის" კორტებზე პირველი ორი ტიტული მოიპოვა, ამის მერე, ზედიზედ ორჯერ, ფინალში სერენასთან დამარცხდა. მას შემდეგ, უფროსმა უილიამსმა უიმბლდონი კიდევ ორჯერ მოიგო და ახლა თუ ფინალში ისევ სერენას შეხვდა...ბურთი და მოედანი უილიამსებს დარჩათ

გაცილებით საინტერესო შეხვედრები გუშინ მამაკაცთა ბადეში შედგა. მათგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, **როჯერ ფედერერისა** და **ლეიტონ ჰიუიტის** დაპირისპირება იყო. ამ შეხვედრამდე, მსოფლიოს პირველ ჩოგანს ოზი მეჩოგნე ზედიზედ 11-ჯერ დაემარცხებინა. ჰიუიტი მებრძოლი სულისკვეთებით კი გამოირჩევა, მაგრამ ისე ვეღარ ბრწყინავს, როგორც მაშინ, თავად რომ იყო პირველი ჩოგანი. ჰოდა, ამჯერადაც წაგებულმა დატოვა კორტი. თან ისე, რომ მეტოქეს მეტნაკლები წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ხელში გაუწია, რომელშიც გამარჯვებული ტაიბრეიკზე, დაძაბულ ბრძოლაში გამოვლინდა.



მარიმ თვითონაც გაიხარა და ბრიტანელი ქომაგიც გაახარა

შვეიცარიელს ახლა საქმე ხორვატ **მარიო ანჩიჩთან** ექნება, ჩოგბურთელთან, ვინც ბალახის კორტზე ბოლომ (2002 წელს) დაამარცხა. ფედერერი ამბობს, მაშინ მარიოსთან იმის გამო წავაგე, რომ მისი შესაძლებლობები სათანადოდ არ შევაფასეო.

საინტერესოა, ექვსი წლის შემდეგაც ხომ არ შეძლებს ანჩიჩი თავისი მიღწევის გამეორებას. ისიც საინტერესოა, ფინალში ზედიზედ მესამედ ხომ არ ვიხილავთ ფედერერისა და **რაფაელ ნადალის** დუელს, რომელიც, როგორც წესი, საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში ესპანელის ტრიუმფით იწყება ხოლმე. ნადალმა გუშინ იოლად დაამარცხა რუსი **მიხაილ იუჟნი**.

ძალიან საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ ფრანგ **რიშარ გასკესა** და ბრიტანელ **ენდრიუ მარის**. თავიდან ფრანგმა ორი სეტის მოგება შეძლო და თითქოს, შეხვედრაც მასვე უნდა მოეგო, მაგრამ მესამე ხელში შოტლანდიელმა თამაში გარდატეხა შეიტანა და ზედიზედ სამი სეტის მოგებით, მეოთხედფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა. გუშინვე ბრძოლას კვიპროსელი პლეიბოი **მარკოს ბაღდატისი** გამოეთიშა. ისიც თავიდან **ფელისიანო ლოპესთან** შეხვედრაში დაწინაურდა, მაგრამ ესპანელმა მეოთხე სეტში მატჩ პოინტები მოიგერია, მეხუთეში კი თავად მიაღწია გამარჯვებას.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**კაცები. მეოთხე წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 20) 7:6(7), 6:2, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 17) 6:3, 6:3, 6:1; **რიშარ გასკე (საფრ, 8)**-ენდი მარი (ბრიტ, 12) 7:5, 6:3, 6:7(3), 2:6, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 31)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 10) 5:7, 6:2, 3:6, 7:6(4), 8:6; **მარატ საფინი (რუს)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი, 13) 6:4, 6:3, 5:7, 6:1; **მარიო ანჩიჩი (ხორვ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 22) 3:6, 4:6, 6:3, 6:4, 13:11; **არნო კლემანი (საფრ)**-მარინ ჩილიჩი (ხორვ) 6:3, 7:5, 6:2; **რაინერ შუტლერი (გერმ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერბ) 6:4, 3:6, 6:4, 7:6(4)

**ქალები. მეოთხე წრე**

**ტამარინ ტანასუგარნი (ტაილ)**-ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2) 6:3, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 14)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4) 6:4, 1:6, 7:5; **ელენა დემენტიევა (რუს, 5)**- შაჰარ პეერი (ისრ, 24) 6:2, 6:1; **სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-ბეთანი მატეკი (აშშ) 6:3, 6:3; **ვენუს უილიამსი (აშშ, 7)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:3, 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 18)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8) 4:6, 7:6(0), 6:3; **ძი ჭენი (ჩინ)**-აგნეშ სავაი (უნგრ, 15) 6:3, 6:4; **ნადია პეტროვა (რუს, 21)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:1, 6:4

## TV სპორტი

**1 ივლისი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-შალკე.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ნანსი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.
18:10 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. ეინდჰოვენი-ცსკა.
22:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
00:10 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სანდერლენდი-ნიუკასლი.
07:50 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
09:20 ჰოკეი. NHL სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. კოლორადო-დეტროიტი.
10:55 სპორტკლუბი.
11:20 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
13:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-სამპდორია.
15:15 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
15:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ე. ბონდარენკო-ცვეტკოვა. ბირმინგემი. ინგლისი.
17:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბირმინგემი-ასტონ ვილა.
19:40 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. პოლონეთი (LIVE).
22:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:41 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
23:10 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.
01:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-სამპდორია.
03:35 ფეხბურთი. დოკუმენტური ფილმი.
04:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ე. ბონდარენკო-ცვეტკოვა. ბირმინგემი. ინგლისი.
06:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
06:30 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. ავსტრია-გერმანია.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
15:30 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. თურქეთი-გერმანია.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. ესპანეთი-გერმანია.
19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:00 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
20:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. პოლონეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
22:15 მულტისპორტი.
22:45 პროფესიული კრივი. დ. სპადა (იტალია)-მ. ჩენდროვსკი (პოლონეთი) (LIVE).
01:00 რალი. IRC-ს სერია. ბელგია.
01:30 სპიდვეი. შვედეთის გრანპრი.
02:30 სპიდვეი. შვედეთის გრანპრი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
12:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
13:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. დალასი-ნიუ იორკი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. კლივლენდი-ორლანდო.
17:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. არიზონა-გრენდ რეპიდსი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. კლივლენდი-ორლანდო.
23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. ესპანეთი-გერმანია.
00:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. არიზონა-გრენდ რეპიდსი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ანგელჰოლმი | 0:3 |
| კვიდინგი-მიალბიუ | 1:0 |
| ვასბი-იორგრიტე | 2:1 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-კეფლავიკი | 2:2 |
| რეიკიავიკი-აკრანესი | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-მარიეჰამნი | 1:0 |
| ინტერი-ტამპერე | 2:2 |
| კოტეპე-იარო | 1:4 |
| ვაასა-მიუპა | 0:0 |
| კუოპიო-ჰონკა | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| კაპა-ატლანტისი | 0:0 |
| ტპვ-ოულუ | 0:4 |
| ვიიკინგიტი-ტპ47 | 3:1 |
| **არგენტინა** | |
| **პლეიოფი** | |
| ხიმნასია (ხ)-უნიონი | 1:0 |
| **ბრაზილია** | |
| გრემიო-ინტერნასიონალი | 1:1 |
| ფლუმინენსე-ბოტაფოგო | 0:0 |
| პალმეირასი-ნაუტიკო | 2:0 |
| **ჩილე** | |
| უნ. ჩილე-დეპ. ნუბლენსე | 2:1 |

მძლეოსნობა. თითქმის რეკორდი

# გაის ახალი მიღწევა: 9.68 წამი!!!

**ტაისონ გაიმ** გუშინ, შტატ ორეგონის ქალაქ იუჯინში, აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევ ტურნირზე, ასი მეტრი 9.68 წამში გაირბინა. ეს 0.04 წამით ნაკლებია იამაიკელი **უსაინ ბოლტის** მსოფლიო რეკორდზე, მაგრამ სამწუხაროდ, რეკორდად მაინც არ დაფიქსირდა, რადგან ამერიკელ მსოფლიო ჩემპიონს დასაშვებზე ძლიერი ზურგქარი ეხმარებოდა.

რეკორდის დასაფიქსირებლად აუცილებელია, რომ ზურგქარის სიჩქარე 2.0 მეტრი/წამში, ან ამაზე ნაკლები იყოს. გაის ფანტასტიკური გარბენისას კი ქარის სიჩქარე 4.1 მ/წმ იყო. რა თქმა უნდა, 25 წლის სპრინტერს რეკორდს არავინ ჩაუთვლის. სამაგიეროდ, მას ამ მიღწევის გამეორების და ოლიმპიური ოქროს მოპოვების შანსი პეკინის ოლიმპიადაზე ექნება.

*"მართალია, ეს შედეგი რეკორდად არ ჩაითვლება, მაგრამ მას ჩემთვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, ის ჩემს განწყობას გააუმჯობესებს. ადრეც მჯეროდა, რომ 9.70 წამზე სწრაფად სირბილი შემეძლო, ახლა კი ეს ყველამ დაინახა"*, - განაცხადა გაიმ, ვინც წინა დღეს, მეოთხედფინალურ გარბენზე აშშ-ის რეკორდი (9.77) დაამყარა და მაშინვე დაიქადნა, ფინალში გაცილებით უკეთესი შედეგი მექნებაო.

გაის წარსულში ცნობილი ამერიკელი სპრინტერი **იონ დრამონდი** ავარჯიშებს, რომელიც თურმე ყოველთვის იმის მცდელობაშია, თავის შეგირდს ჩაუნერგოს, რომ მას 9.6 წამში სირბილი შეუძლია.

შეგახსენებთ, რომ ერთი თვე არც გასულა მას შემდეგ, რაც უსაინ ბოლტმა მსოფლიო რეკორდი - 9.72 წამში დაამყარა. მანამდე რეკორდი (9.74) მის თანამემამულე **ასაფა პაუელს** ეკუთვნოდა. სხვათა შორის, გაის 9.68 წამამდე, ყველა დროის საუკეთესო შედეგი ბარბადოსელ **ობადელე ტომპსონს** ეკუთვნოდა, რომელმაც 1996 წელს, ქარის დახმარებით, ასი მეტრი 9.69 წამში გაირბინა.

გაის ახლა ისღა დარჩენია, 200 მეტრზე სპრინტშიც იბრძოლოს პეკინის საგზურისთვის. შეგახსენებთ, რომ ის ორივე სპრინტერულ დისტანციაზე მსოფლიოს ჩემპიონია, თუმცა სპრინტერული დუბლის პეკინში შესრულება ძალიან გაუჭირდება, რადგან იქ ორივე დისტანციაზე ისეთი ძლიერი კონკურენტი ეყოლება, როგორიც ბოლტია – იამაიკელმა სპრინტერმა ორივე დისტანციაზე მოიპოვა პეკინის საგზური და ოლიმპიადაზე იმავე მიზნით გამოვა, რითაც გაი – მასაც ოქროს ორივე მედლის დაუფლება სურს, რეკორდი კი პეკინში მთავარი არ იქნება.

აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებში ვერ მოხვდა სიგრძეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი **დუაიტ ფილიპსი**, ვისი მაქსიმუმიც ამჯერად 8.20 მეტრი იყო და ამით მეოთხე ადგილს დასჯერდა. პეკინში გამგზავრების უფლება კი მის წინ გასულმა სამმა მხტომელმა – **ტრევორ კინლიმ** (ბოლო ნახტომი 8.36 მეტრი) და მეორე-მესამე ადგილებზე გასულებმა – **ბრაიან ჯონსონმა** და **მიგელ პეიტმა** მოიპოვეს.

ნაკრებში მოხვედრა ძალიან გაუჭირდა ჭოკით ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონ **ბრედ უოკერსაც**, რომელმაც 5.65 მეტრით მესამე ადგილი ძლივს დაიკავა. მასზე უკეთესი შედეგები ჰქონდათ ვეტერანებს, **დერიკ მაილსსა** (5.80 მეტრი) და **ჯეფ ჰარტვიგს** (5.70 მეტრი). პირველი 35 წლისაა, მეორეს კი ოლიმპიადის დასრულებიდან რამდენიმე დღეში 41 შეუსრულდება.

ოლიმპიურ ნაკრებში ვერ მოხვდა 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ვერცხლის ყოფილი მედალოსანი, **ლაშინდა დიმუსიც**, ვისაც მეტოქეებმა ბოლო ბარიერზე გაასწრეს და საჩეულს მიღმა დატოვეს. ამავე დისტანციაზე მამაკაცებს შორის უსწრაფესი იყო მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ბერშოუნ ჯექსონი**, რომელმაც უკან მოიტოვა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **კერონ კლემენტი**. მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი **ანჯელო ტეილორი**.



ტაისონ გაი მალე ფრენასაც დაიწყებს

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჩოგბურთი

# ნაცნობი უცნობი ფედერერი



მომავალი ვარსკვლავი 1981 წლის 8 აგვისტოს ბაზელში, სამხრეთაფრიკელი ქიმიკოს-ფარმაკოლოგისა და მისი შვეიცარიელი კოლეგა ქალის ოჯახში დაიბადა. მას **როჯე** დაარქვეს, მაგრამ თავისი წარმომავლობის გათვალისწინებით, ჩოგბურთელი დაჟინებით ითხოვს, რომ **როჯერი** დაუძახონ.

■ ■ ■

კანონის თანახმად, შვეიცარიის 20-დან 45 წლამდე ასაკის ნებისმიერ მოქალაქეს, უფლება არ აქვს, უარი თქვას სამხედრო სამსახურზე. ბუნებრივია, უწყება როჯერ ფედერერსაც მიუვიდა, მაგრამ მან კატეგორიულად განაცხადა: "ჯარში არ წავალ!" საბოლოოდ, კონფლიქტი მოაგვარეს: ჩოგბურთელი დაავალდებულეს, თავისი სამოქალაქო ვალი კორტზე მოეხადა.

■ ■ ■

წლევანდელი უიმბლდონის წინ, ფედერერს პროფესიულ კარიერაში, ერთეულთა თანრიგში 730 მატჩი ჰქონდა ჩატარებული, რომელთაგანაც 588 მის სასარგებლოდ დასრულდა. წყვილებში უარესად არის საქმე: 105 მოგება და 70 წაგება.

■ ■ ■

როჯერის პირველი მწვრთნელი იყო **სვენ გრიუნველდი**. სწორედ მან ასწავლა თავის მოწაფეს უძლიერესი და უზუსტესი დარტყმა, რომელიც შემდეგ შვეიცარიელმა სრულყოფამდე მიიყვანა.

■ ■ ■

ყველაზე დიდხანს, ფედერერი ავსტრალიელ მწვრთნელთან, **პიტერ კარტერთან** თანამშრომლობდა. როჯერის აზრით, სწორედ პიტერმა ჩამოაყალიბა ის ნამდვილ ჩოგბურთელად. 2002 წლის აგვისტოში, ეს სპეციალისტი სამხრეთ აფრიკაში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

■ ■ ■

ფედერერის მეგობარი გოგონაა **მირკა ვავრინეცი**. ის სლოვაკეთშია დაბადებული, შვეიცარიული პასპორტი აქვს და თავის რჩეულზე სამი წლით უფროსი გახლავთ. თავის დროზე, თვითონაც იყო დაკავებული პროფესიული ჩოგბურთით, მაგრამ კარიერა 2002 წელს ტრავმის გამო დაასრულა. ითავსებს როჯერის პრესმდივნის ფუნქციებს.

■ ■ ■

**ჟულიეტი** - ასე ჰქვია ძროხას, რომელიც ფედერერს უიმბლდონზე პირველი ტრიუმფის შემდეგ სამშობლოში აჩუქეს. ასეთი მძიმე პრიზი როჯერს არასოდეს მიუღია - ჟულიეტის წონა თითქმის 800 კილოგრამია.

■ ■ ■

როჯერი პირველი შვეიცარიელია, რომლის ფოტოც სიცოცხლეშივე გამოსახეს საფოსტო მარკაზე.

■ ■ ■

ცნობილია, რომ თიხნარის კორტებზე თამაში ფედერერისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ მას კარიერაში არასოდეს მოუგია როლან გაროსი. ჯამში მოპოვებული 55 ტიტულიდან, ფედერერს გრუნტზე მხოლოდ 7 ტურნირი აქვს მოგებული.

■ ■ ■

ჩოგბურთელის სიტყვებით, კარიერის დასაწყისში ის კორტზე იდიოტური საქციელით გამოირჩეოდა. *"ვერაფრით ვახერხებდი ემოციების მოთოკვას. ნებისმიერი საბაბით ვახეთქებდი ჩოგანს კორტზე, რაც კონცენტრაციაში ხელს მიშლიდა. ახლა მესმის, რომ მოედანზე ყველაფერი კარგად მაშინ გამომდის, როცა ემოციების შეკავებას ვახერხებ"*, - აცხადებს შვეიცარიელი.

■ ■ ■

კარიერაში პირველი ტიტული 2001 წლის თებერვალში მოიპოვა, როცა მილანის ტურნირის ფინალში ფრანგი **ჟულიენ ბუტიე** დაამარცხა - 6:4, 6:7, 6:4.

■ ■ ■

ერთეულთა თანრიგის ფინალებში ფედერერს 20-ჯერ აქვს წაგებული, აქედან თითქმის ნახევარი - ცხრა მარცხი მას ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** აგემა. სწორედ რაფას ბრალია ის, რომ როჯერი ზედიზედ სამჯერ, 2006, 2007 და 2008 წლებში როლან გაროსის ფინალში მარცხდებოდა.

■ ■ ■

პროფესიული კარიერის დასაწყისში, ფედერერი ვარჯიშებისას მთავარ აქცენტს უკანა ხაზიდან დარტყმებზე აკეთებდა. ტექნიკასთან პრობლემების გამო, ის უბრალოდ, ვერ იტანდა ბადესთან გასვლას. დღეს კი, შვეიცარიელის არსენალში უამრავი ტაქტიკური სვლაა, რომელსაც წარმატებით იყენებს ხოლმე.

■ ■ ■

2008 წლის უიმბლდონამდე, ფედერერს კორტზე 40 979 981 დოლარი ჰქონდა გამომუშავებული.

■ ■ ■

შვეიცარიელ ვარსკვლავს სამი ძირითადი ჰობი აქვს - გოლფი, ფეხბურთი და მთის თხილამურები. გარდა ამისა, არის კიდევ მუსიკა და კომპიუტერული თამაშები. როჯერი იმასაც აღიარებს, რომ, როცა სიზარმაცე დარევს ხელს, შეუძლია მთელი დღე ინვეს შეზლონგზე.

■ ■ ■

2008 წლის 23 მაისს, 230 კვირა შესრულდა იმ დღიდან, რაც ფედერერი უწყვეტად უდგას სათავეში მსოფლიო კლასიფიკაციას. ეს აბსოლუტური მსოფლიო რეკორდია. მაგრამ ATP-ის რეიტინგში ლიდერობის საერთო ხანგრძლივობით, შვეიცარიელი ჯერჯერობით, ჩამორჩება **პიტ სამპრასს** (286 კვირა), **ივან ლენდლსა** (270) და **ჯიმი კონორსს** (268).

როჯერი მსოფლიო კლასიფიკაციას 2004 წლის 2 თებერვლიდან უდგას სათავეში.

■ ■ ■

ფედერერის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლის მოპოვებაა. *"ეს არის ჩემი მთავარი ამოცანა და მისი შესრულება არც ისე იოლი იქნება. თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და შესაბამისად, დაძაბულობა პიკს აღწევს ხოლმე. ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული კორტის საფარზე და ჩემს სათამაშო ფორმაზე"*, - ამბობს ფედერერი.

■ ■ ■

ფედერერს ერთეულთა თანრიგში 55 ტიტული აქვს მოგებული, წყვილებში - 7. როჯერი "დიდი სლემის" 12 ტიტულის მფლობელია - უიმბლდონი (2003-07), აშშ-ის ღია პირველობა (2004-07) და ავსტრალიის ღია პირველობა (2004, 2006, 2007).

■ ■ ■

უიმბლდონი როჯერის საყვარელი ტურნირია, რომლის მოგებასაც ის ზედიზედ მეექვსედ აპირებს. სწორედ ლონდონურ ბალახზე მოახდინა ფედერერმა თავისი პირველი ხმამაღალი სენსაცია, როცა 2001 წელს, უიმბლდონის მეოთხე წრეში თვით პიტ სამპრასი დაამარცხა.

■ ■ ■

როჯერის რეზიდენცია მდინარე რაინის ნაპირას, ობერვილში მდებარეობს. ჩოგბურთელი კატეგორიულ უარს ამბობს სხვა ქვეყანაში გადასახლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში რთული საგადასახადო სისტემა მოქმედებს.

■ ■ ■

**სტეფან ედბერგი** ფედერერის კუმირი იყო, თუმცა შვედი ჩოგბურთელის გარდა, როჯერი **ბორის ბეკერის** ოსტატობის გამოც ვერ ფარავდა აღფრთოვანებას.

■ ■ ■

იუნიორთა ასაკში ფედერერის წარმატებები 1996 წლიდან იღებს სათავეს. ორი წლის შემდეგ, მან პირველი ადგილი დაიკავა იუნიორთა მსოფლიო კლასიფიკაციაში და თანატოლებს შორის უიმბლდონის მოგებაც შესძლო. რამდენიმე დღეში, ფედერერი პროფესიონალებს შორის გადავიდა.

*"ჩემთვის ყველაზე დიდი მოტივაცია თავად როჯერ ფედერერი გახლავთ. ბევრს ვვარჯიშობ და ვიბრძვი ტურნირებზე, რადგან საკუთარი თავისთვის შემდეგის დამტკიცება მსურს: ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი, რისი მიღწევაც შემიძლია. ხანდახან თავად მიკვირს ჩემი მიღწევების და ვეცდები, უმაღლეს დონეზე კიდევ დიდხანს ვითამაშო, მაგალითად, 35 წლამდე. ამასთან, ვცდილობ, ჩემს კარიერაში ბომონდური ცხოვრება მინიმუმამდე დავიყვანო. მხოლოდ ჩოგბურთი მჭირდება"*, - ამბობს ფედერერი.

**გია თვალაბეიშვილი**

ფოტო-ინფო



**"მანჩესტერ იუნაიტედის"** ფორვარდმა **უეინ რუნიმ** ახლახან იქორწინა და ახლა თაფლობის თვით ტკბება. პაპარაცები ცდილობენ, ახალდაქორწინებულების ცხოვრების არც ერთი დეტალი არ გამორჩეთ და ორი დღის წინათ, მეტად საინტერესო რამ აღმოაჩინეს - თურმე, რუნი სიგარეტს ეწევა. აქამდე ეს ფაქტი არავისთვის იყო ცნობილი და ახლა საინტერესოა, რა რეაქცია ექნება ამ ახალ ამბავზე სერ ალექს ფერგიუსონს...

ავტოსპორტი

# ისევ უემბლიზე და ისევ შუმისთან ერთად



გადაწყდა, რომ ავტოსპორტის სამყაროში ცნობილი "ჩემპიონთა რბოლა", წლეულსაც ლეგენდარულ "უემბლის" სტადიონზე გაიმართება. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა წლის ბოლოს, 14 დეკემბერს გაიმართება.

"უემბლის" მინდორზე ტრასის დასაგებად, 2 ათასი ტონა ასფალტი დასჭირდებათ და ეს საფეხბურთო სტადიონი ერთი დღით ნამდვილ ავტოდრომად გადაიქცევა. ასეთი რთული სამუშაოების ჩატარება ნამდვილად ღირს, რადგან ამ შოუში პირველობისთვის, ფორმულა 1-ის პილოტების გარდა, რალის, ნასკარისა და სხვა სარბოლო სერიის ვარსკვლავები იბრძვიან.

"ჩემპიონთა რბოლის" მუდმივი სტუმარია მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი**, რომელმაც შარშან წააგო ფინალი DTM-ის სერიის ჩემპიონთან, **მატიას ექსტრიომთან**. ლეგენდარული გერმანელი წლეულსაც აპირებს მთავარი პრიზისთვის ბრძოლას.

*"ჩემპიონთა რბოლა" - ეს ნამდვილი სუპერშოუა. პილოტები გულიანად ვერთობით ხოლმე, მაყურებლები კი, უდიდეს სიამოვნებას იღებენ, ვინაიდან პრაქტიკულად, ტრასაზე მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრში არიან"*, - ამბობს შუმი, რომელმაც მართალია, წააგო შარშანდელი რბოლა, მაგრამ თანამემამულე **სებასტიან ფეტელთან** ერთად, ერთა თასის მოპოვება შესძლო.

**გია თვალაბეიშვილი**

# ანეკდოტი როდმანზე

დენის როდმანმა ბარში ქალი გაიცნო, მოეწონა და სასტუმროს ნომერში დაპატიჟა. როცა კალათბურთელმა მაისურა გაიხადა, ქალმა მის ხელზე Reebok-ის სვირინგს მიაქცია ყურადღება და გაკვირვება ვერ დამალა.

- უცნაური არჩევანია...

- იცი, როცა კალათბურთს ვთამაშობ და კამერა ამ ტატუზე ამახვილებს ყურადღებას, Reebok-ი ამ რეკლამისთვის ფულს მიხდის.

ერთი წუთის შემდეგ, დენისმა შარვალი გაიხადა და ქალმა Puma-ს ტატუ შეამჩნია. დენისმა ანალოგიური ახსნა-განმარტება მისცა. ბოლოს, როცა კალათბურთელი მთლიანად გაშიშვლდა, ქალმა მის მამაკაცურ ღირსებაზე ასეთი წარწერა აღმოაჩინა - Aids (შიდსი) და შიშისგან დაიყვირა:

- შიდსით დაავადებულთან არ დავწვები!

- მოეშვი, ლამაზო, - ღიმილით უთხრა როდმანმა. - ერთ წუთში დაინახავ, რომ ეს სიტყვაა Adidas.